# არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№12 (159). 8–21 ივნისი, 2012 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი



## ვინ დაიცავს ქართული ჯავშანმანქანების მეტყვიამფრქვევეებს?

## ვაზიანიდან ყანდაარში

## აფხაზურ სანგარში გადაპატიჟებული ქართველი მებრძოლის ნაამბობი

## კუნთების თამაში კავკასიურად

ეროვნული ბიბლიოთეკა



საუკუნის გასროლა 49



თავდასხმა მეჰრანის ავიაბაზაზე 35



ბრიტანული მუხლუხებიანი ჯავშანმანქანები 30

დამოუკიდებლობის აღლუმი ქუთაისში 16





სიმონა პაპას თავგადასავალი 52

მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანა 54



# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 სამხედრო სიახლეები

**ვიზიტი**

7 სამხრეთკავკასიური ვოიაჟი და ქართული იმედები...

**პრობლემა**

8 ვინ დაიცავს ქართული ჯავშანმანქანების მეტყვიამფრქვევებს?

**ნამდვილი ამბავი**

11 აფხაზურ სანგარში გადაპატიჟებული ქართველი მებრძოლის ნაამბობი

**რეგიონი**

14 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა

**ალბუმი**

16 დამოუკიდებლობის დღის ალბუმი

**ბალანსი**

19 კუნთების თამაში კავკასიურად

**შეიარაღება**

22 რუსული „კამაზი" იტალიურბორბლებიან ტანკებს აწყობს?

**კრიზისები, კონფლიქტები, ომები**

24 შრი-ლანკა — როგორ უნდა მოგვარდეს 30-წლიანი კონფლიქტი

**ტანკმშენებელი ქვეყნები**

30 ბრიტანული ჯავშანტექნიკა — თანამედროვე მუხლუხებიანი ჯავშანმანქანები

**სპეცდანაყოფები**

35 თავდასხმა მეჰრანის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე

**100 დიდი მხედართმთავარი**

38 ედუარდ III

**ინოვაციური ტექნოლოგიები**

40 პარაშუტები მეორე მსოფლიო ომში

**ლოკალური ომები**

44 კუბაში შეჭრა

**სამხედრო ისტორიები**

46 ვაზიანიდან ყანდაარში

**ამერიკის წარსული**

49 ბილი დიქსონის „საუკუნის გასროლა"

**ლიტერატურული გვერდი**

52 სიმონა პაპას თავგადასავალი

**„არსენალის" იარაღის მაღაზია**

54 ხელით სასროლი მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანა


გარეკანზე: ფრანგული შვეულმფრენი Eurocopter EC725 Caracal-ი

## რედაქციისგან

26 მაისს რვა წელი შესრულდა, რაც გამოდის სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი „არსენალი" და ჩვენი ერთგული მკითხველი დაგვეთანხმება, რომ მიუხედავად არაერთი ფინანსური პრობლემისა (ყოველწლიურად ძვირდებოდა საგაზეთო ქაღალდიც და სტამბაში ბეჭდვის საფასურიც), „არსენალის" ფასი არ გაზრდილა. როგორც 2004 წელს ღირდა 1,5 ლარი, ეს ღირებულება რვა წლის განმავლობაში შევინარჩუნეთ. „არსენალი" თვითდაფინანსებაზეა, ანუ რამდენი ჟურნალიც გაიყიდება, იმით არსებობს. ჩვენ შეიძლება ძალზე იშვიათი გამონაკლისიც ვიყოთ ქართულ მასმედიაში, რომელსაც არც საერთაშორისო გრანტი მიუღია და არც სხვა დახმარება. თუკი ჩვენს ერთგულ მკითხველს სურს კვლავ სისტემატურად იკითხოს „არსენალი", რეალობა მოითხოვს, რომ ჟურნალის ფასი 50 თეთრით გავზარდოთ და „არსენალის" გასაყიდი ფასი შემდგომი ნომრიდან 2 ლარი გავხადოთ. ჩვენ არ გვსურს დავაზარალოთ მკითხველის ინტერესები, ამიტომაც ჟურნალის ფასის გაზრდასთან ერთად ყველანაირად ვეცდებით, „არსენალი" წასაკითხად უფრო საინტერესო გავხადოთ.


მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი



ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73



რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
4.06.2012

გაზეთ „კვირის პალიტრის"
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

# შევარდენს ძვირად ღირებული რობოტი ვერ შეცვლის



როცა ტექნიკური პროგრესი არნახულ მასშტაბს აღწევს და უპილოტო, ნახევრად ავტონომიური თუ დისტანციურად მართვადი აპარატებისგან სასწაულებრივი შესაძლებლობები უკვე აღარავის უკვირს, სწორედ მაშინ ადამიანი დასახმარებლად არა რობოტს, არამედ უხსოვარი დროიდან საქმეში „ნაცად“ სულიერს — შევარდენს უხმობს.

თურმე, ადამიანს ჯერ კიდევ სჭირდება ამ მტაცებელი ფრინველის დახმარება, ოღონდ არა ნადირობაში და თან, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საფრანგეთია.

საქმე პარიზში გასამართ ტრადიციულ საჩოგბურთო ტურნირის „როლან გაროსის“ დაცვას ეხება, რომლის ორგანიზატორებმა ვერაფრით მოიფიქრეს, როგორ აარიდონ საჩოგბურთო კორტებს დედაქალაქში მომრავლებული სხვადასხვა გარეული ფრინველის, განსაკუთრებით კი მტრედების „შემოტევა“. ორგანიზატორებმა რჩევა ადგილობრივ პოლიციას ჰკითხეს და გამოსავალსაც მიაგნეს, — ფრინველებისგან ტურნირს შევარდნები დაიცავენ.

თურმე პარიზელ სამართალდამცველებს გაწვრთნილი შევარდენი კარგა ხანია ჰყავთ. ოღონდ მათ არა სანადიროდ, არამედ ქალაქის მოედნების ფრინველთა არმიისგან გასათავისუფლებლად მაშინ იყენებენ, როდესაც მიტინგებისა თუ სხვადასხვა ღონისძიების გამართვა იგეგმება.

# სტელს-გამანადგურებლების აქილევსის ქუსლს ულტრაიისფერი სატყუარა თუ უშველის

ამერიკელებმა სტელს-თვითმფრინავების შექმნას ათეულობით მილიარდი დოლარი კი შეალიეს, თუმცა „უჩინარებს“ ჯერ კიდევ აქვთ „აქილევსის ქუსლი“ და აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ ისეთი ტექნოლოგიის შექმნის აუცილებლობაზე დაიწყო ზრუნვა, რომელიც საბრძოლო თვითმფრინავს ულტრაიისფერ დიაპაზონშიც შეუმჩნეველს გახდის.

ამერიკელი სამხედროები ულტრაიისფერ დიაპაზონში მოქმედი სითბური სატყუარას მსგავსი მოწყობილობის საჭიროებაზე საუბრობენ. ეს ახალი სისტემა გაუჩინარების იმ ტექნოლოგიებს უნდა დაემატოს, რომელიც, მაგალითად, მეხუთე თაობის გამანადგურებელ F-35-ზეა გამოყენებული. აპარატი უმნიშვნელო რადიოლოკაციური და ინფრაწითელი სიგნატურით (ხილულობით) კი ხასიათდება, თუმცა, ულტრაიისფერ დიაპაზონში მტერსაც და მოყვარესაც თვალში ეჩხირება.

ახალმა ულტრაიისფერმა სატყუარამ სწორედ ამ დიაპაზონზე გათვლილ დამიზნების სისტემებზე უნდა იმოქმედოს ეფექტურად. შესაძლოა, ეს სპეციალური ნივთიერებისგან წარმოქმნილი ღრუბელიც იყოს, რომელიც ულტრაიისფერ სხივებს შთანთქავს.

# ირანმა ამერიკული „კობრას“ ასლი შექმნა




ირანი უახლოეს სამხედრო სწავლებაში სამამულო წარმოების დამრტყმელი შვეულმფრენის წარმოდგენას აპირებს, რომელიც, როგორც ამბობენ, ამერიკული AH-1 Cobra-ს ზუსტი ასლია. ამავდროულად, ირანის სახმელეთო ჯარების ბრიგადის გენერალი აცხადებს, რომ ახალი სისტემებით აღჭურვილი მათი შვეულმფრენები ზოგიერთი პარამეტრით ამერიკულ AH-64 Apache-ს უტოლდებიან.

მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ირანი 1960-70 წლებში აშშ-ისგან მიღებული „კობრების“ მოდერნიზაციას შეუდგა. ამერიკელებმა ირანელთათვის შვეულმფრენების მიწოდება ქვეყანაში ისლამისტური რევოლუციის შემდეგ შეწყვიტეს.

ეჭვობენ, რომ ამჟამად თეირანი ამერიკული წარმოების თვითმფრინავებისა და შვეულმფრენებისთვის საჭირო კომპონენტებს საზღვრებს გარეთ არალეგალურად ყიდულობს. შარშან აშშ ირწმუნებოდა, რომ საერთაშორისო ქსელი გამოავლინა, საიდანაც თეირანი AH-1 ტიპის შვეულმფრენებისთვის სათადარიგო ნაწილებსა და ძრავებს ყიდულობდა.

# დაჯავშნული მანქანა ყველაზე მდიდარი ჩინელებისთვის

ლატვიურმა კომპანია Dartz – მა ჩინეთის საავტომობილო ბაზრისთვის ავტომობილ Prombron-ის დაჯავშნული ვერსია „შავი დრაკონი“ შექმნა. ჯავშანმანქანა საკმაოდ მდიდრულია — გარედან ვერცხლის დეტალებით გაწყობილ კაბინას რადიატორის ცხაურზე ოქროს ლოგოტიპი ამშვენებს, რომელიც ბრილიანტისა და ლალის თვლებითაა მოჭედილი.

შვიდადგილიან დაჯავშნულ ავტომობილს 4 კარი აქვს, 3+1 სქემით (მარჯვნივ — 3, მარცხნივ — 1). მისი ე. წ. Pullman-სალონი (კაფსულა), რომელიც მრავალ სიკეთესთან ერთად რადიაციისგანაც დაცულია, და მდიდრულობით ავტომობილის ექსტერიერს არაფრით ჩამოუვარდება. მანქანაში ინტეგრირებულია ინტერნეტთან უკაბელო კავშირი და თანამგზავრული ტელევიზია 42-დუიმიანი მონიტორით. სალონი გალაქული შავი ხითა და მაღალი ხარისხის ტყავითაა გაწყობილი.

დაბოლოს, ფასზეც ხომ უნდა ვთქვათ — ამ „დრაკონის“ შეძენის მსურველებს, რომლის გამოშვება ინდივიდუალური დაკვეთით სულ 12 ეგზემპლარად იგეგმება, 8 მლნ აშშ დოლარის გაღება მოუწევს.

# ეკზოჩონჩხის სიკეთეს ამერიკული სპეცრაზმი ავღანეთში გამოცდის



კომპანია Lockheed Martin-ის შექმნილ საბრძოლო ეკზოჩონჩხ HULC-ს უახლოეს მომავალში ავღანეთში გაგზავნიან. სავარაუდოდ, HULC-ს სპეცდანიშნულების რაზმი გამოიყენებს, რომელიც ცხელ წერტილში 2014 წელს კოალიციის ჯარების გასვლის შემდეგაც დარჩება.

2010 წელს ეკზოჩონჩხის პირველი ვერსია გამოჩნდა. ეს უფრო „ტლანქი კონსტრუქციაა“ და შეუჩერებლად მხოლოდ ერთ საათს მუშაობდა. HULC-ის უახლესი ვერსია კი გაცილებით მძლავრი ბატარეიითაა აღჭურვილი და 8-საათიან რეჟიმში მუშაობს. კომპანიაში მიღწეულით არ კმაყოფილდებიან და ნებისმიერი პირობებისთვის სამუშაოს 72 სთ-მდე გაზრდაზე ფიქრობენ. ეს კი სავსებით საკმარისი იქნება სპეცდანიშნულების რაზმის საშუალოსტატისტიკური მისიებისთვის.

ეკზოჩონჩხის უახლეს ვარიანტს 90 კგ ტვირთის წაღება შეუძლია, რაც საველე პირობებში მყოფი მებრძოლისთვის დიდი შეღავათია. მთავარია, HULC-ი ძალიან მარტივი მოსახმარია და მასთან შესაგუებლად ადამიანს სულ რაღაც საათნახევარი სჭირდება, რის შემდეგაც სიარულს, სირბილსა და გადახტომას ჩვეულებისამებრ ახერხებს.

# აშშ და ირანი მეგობრობენ... ჯერ მხოლოდ ზღვაზე

ქვეყნებს შორის მტრობა მტრობად, მაგრამ შუა ზღვაში გასულ მეზღვაურს როცა უჭირს, სახელმწიფოთა შორის დაძაბული ურთიერთობის მოგვარება პოლიტიკოსებს უნდა მიანდო, გაჭირვებულს კი შველა აღმოუჩინო. აგერ მაგალითიც: ახლახან არაბეთის ზღვაში ირანის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდები პატრულირებდნენ, როდესაც მეკობრეების დატყვევებულ ამერიკულ გემს მხსნელად მოევლინნენ.

გემი Maersk Texas ადენის ყურეში მეკობრეთა რამდენიმე სწრაფმავალი კატერის გარემოცვაში აღმოჩნდა. ამერიკელი მეზღვაურების შველის მოთხოვნის სიგნალს პირველები სწორედ ირანელი სამხედროები გამოეხმაურნენ. მათი გემების დანახვაზე მეკობრეები დაფრთხნენ და მიიმალნენ, ამერიკულმა გემმა კი გზა მშვიდად განაგრძო.

ცნობისთვის, ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც ერთმანეთთან მოქიშპე აშშ და ირანი ზღვაში ერთმანეთს ეხმარებიან. წლის დასაწყისში ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალებმა 13 ირანელი მეთევზე სომალელ მეკობრეთა ტყვეობიდან გაათავისუფლა.



# წყალქვეშა ნავზე ქალების გამოჩენას ოფიცრების ცოლები ეწინააღმდეგებიან



აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებში დასრულებისკენ მიდის პროგრამა და მოსალოდნელია, რომ წყალქვეშა ნავების ეკიპაჟებში ქალებსაც ვიხილავთ. უკვე ორი წელია, 12 ამერიკელი ქალი-ოფიცერი ორ წყალქვეშა ნავზე მსახურობს და კიდევ ორისთვის მორიგ კონტინგენტს ამზადებენ.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რის გამოც სუსტი სქესის წარმომადგენლებს წყალქვეშა ფლოტში სამსახურის ნებას რთავენ, მამაკაცების უკმარისობაა. მაგალითად, ოთხი წლის წინ სამხედრო-საზღვაო აკადემიამ წყალქვეშა ფლოტისთვის 92 მამაკაცი-ოფიცერი მოამზადა, როცა საჭირო 120 იყო. აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებში წყალქვეშა ნავზე სამსახური ნებაყოფლობითია, ხოლო მსურველებს მკაცრ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და აკადემიურ მოთხოვნებს უყენებს.

მოკლედ, ამერიკულ წყალქვეშა ფლოტში ქალების დამკვიდრებას წინ ვეღარაფერი აღუდგება, თუ არა ისევ ქალები. დიახ, „კაბიანების“ სუბმარინებზე გამოჩენა ყველაზე მეტად იქ მყოფი მამაკაცი-ოფიცრების ხმელეთზე დარჩენილ ცოლებს ადარდებთ. არც გაემტყუნებათ, წყალზედა სამხედრო ხომალდებზე, სადაც შერეული ეკიპაჟები კარგა ხანია არის, სამსახურებრივი რომანი, სპონტანური სექსი, ღალატი თუ ეჭვიანობის ნიადაგზე ოჯახების დანგრევა, არცთუ იშვიათია და რა მოხდება წყალქვეშ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეორე მსოფლიო ომის ვეტერანმა მძარცველი მისივე დანით მოკლა



რუსულ საინფორმაციო საშუალებებით საინტერესო ამბავი გავრცელდა ციმბირის ერთ-ერთ სოფელში, კანოვოში მცხოვრებ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანზე. თურმე 87 წელს მიღწეული პაველ ვერეტელნიკოვი 35 წლის დამნაშავეს გაუმკლავდა, რომელიც მის გაძარცვას აპირებდა.

დანით შეიარაღებული მძარცველი ვეტერანის სახლში ღამით შევიდა და პაველს სასწრაფოდ ფულისა და სამხედრო მედლების გადაცემა უბრძანა. დიდი სამამულო ომის მონაწილეს, რომელსაც მამაცობისთვის 11 მედალი ჰქონია მიღებული, ფაშიზმმა და წლებმა ვერაფერი დააკლო და „ლაწირაკი" მძარცველი აბა, რას შეაშინებდა? ერთი სიტყვით, სწვდა კანოვოელი ვეტერანი მომხდურს და ძიძგილაობაში მისივე დანით გამოასალმა სიცოცხლეს. თუმცა, უშიშარი მოხუცი ამ შემთხვევას მთლად უვნებელი მაინც ვერ გადაურჩა, მკერდში მძიმე ჭრილობით საავადმყოფოში მოათავსეს.

## არმია ხელთათმნით მოსახმარ სენსორულ პლანშეტებს ითხოვს

აშშ-ის არმია აქტიურად მოიხმარს სმარტფონებსა და Android-ის პლატფორმიან მობილურ აპარატურას, თუმცა ამ საჭირო ნივთების გამოყენებაში სამხედროებს ღიმილისმომგვრელი, მაგრამ მეტად სერიოზული პრობლემები მაინც შეექმნათ, — სენსორულ ეკრანზე ხელთათმნით მუშაობა პრაქტიკულად წარმოუდგენელია. საომარ პირობებში მყოფი ჯარისკაცისთვის კი ხელთათმნის წარამარა გახდა-ჩაცმა არცთუ კომფორტულია.

პენტაგონმაც დიდხანს ვერ გაუძლო თავისი ჯარისკაცების საცოდაობის ყურებას და უმალ „სამხედრო ხელთათმნით მოსახმარი თხელი სენსორული ეკრანის" შექმნა ითხოვა.

ახალი ეკრანი მაღალი სიზუსტით უნდა განაპირობებდეს დაჭერის პოზიციას მაშინაც კი, როდესაც მეომარი თუ სამხედრო მფრინავი სქელ ცეცხლგამძლე ხელთათმანს მოიხმარს. მოთხოვნილი ეკრანის ტექნოლოგიას ისიც ართულებს, რომ სმარტფონი თუ პლანშეტი ბრძანებას სპეციალურ შალითაში დაცული უნდა ასრულებდეს.

ასეთი სენსორული ეკრანის შექმნა თუ მოხერხდა, ის არა მხოლოდ სამხედროთა შორის, სახელს კომერციულ ბაზრებზეც გაითქვამს.




## შვეიცარიულ ჯავშანჟილეტს კონდიციონერი აქვს



პრაქტიკაში მიღებული გამოცდილებით ირკვევა, რომ თაკარა მზის ქვეშ ჯავშანჟილეტის ხანგრძლივად ტარება, თანაც თუ მძიმე ტვირთით გარკვეული მანძილია გასარბენი, მებრძოლისთვის ნამდვილი კოშმარია. სწორედ ასეთი შემთხვევისთვის შვეიცარიაში, ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის თანამშრომლებმა ჯავშანჟილეტი შექმნეს, რომელშიც კონდიციონერია ჩამონტაჟებული.

შვეიცარიელთა ჯავშანჟილეტის გამაგრილებელ სისტემას საფუძვლად ტექნოლოგია Coolpad-ი დაედო, რომელიც თავის დროზე სამედიცინო დანიშნულებით შეიქმნა. სისტემა წყლის ცირკულაციაზეა დაფუძნებული და ადამიანის სხეულიდან გარკვეული რაოდენობის სითბურ ენერგიას შთანთქავს. გარდა წყლისა, სისტემას ჰაერით გაგრილების ფუნქციაც აქვს, რასაც მომცრო ქულერი განაპირობებს.

სათქმელად ადვილია, მაგრამ შვეიცარიელთა გამოგონება მრავალწლიანი და საკმაოდ რთული კვლევების შედეგია. რაც მთავარია, კონდიციონერ-ჯავშანჟილეტის ბოლო გამოცდამ წარმატებით ჩაიარა და ახლა უკვე მისი შემქმნელები პროდუქტის კომერციალიზაციის დაწყებაზე ფიქრობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამხრეთკავკასიური ვოიაჟი და ქართული იმედები...

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა სამხრეთკავკასიური ტურნე დაასრულა და ოფიციალური შეხვედრები გამართა ერევანში, ბათუმსა და ბაქოში.

ბათუმში შეხვედრები აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში შექმნილ ყველა სამუშაო ჯგუფში გაიმართა და საუბარი, სავარაუდოდ, ბევრ თემას შეეხო, მათ შორის, საქართველოში მომავალი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას, თანამშრომლობას თავდაცვის სფეროში და ირანის საკითხს.

კლინტონის სტუმრობამდე ქართულ მასმედიაში მუსირებდა აზრი, რომ ამერიკული მხარე ქართველი პარტნიორებისგან ირანთან მიმართებაში დისტანცირების პოლიტიკა გატარებას მოითხოვდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლები უარყოფენ, რომ ამერიკული მხარე ირანთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლებისგან რაიმე დისტანცირებას მოითხოვს და აცხადებენ, რომ საქართველო-ირანის ურთიერთობები კვლავ გაგრძელდება საერთაშორისო რეჟიმით დაშვებულ სფეროებში — ეკონომიკის, კულტურისა და ტურიზმის მიმართულებით.

მართალია, ირანის ატომური პროგრამა კვლავ აქტუალური რჩება დასავლეთისთვის, მაგრამ დღეისათვის ეს პრობლემა ნაწილობრივ გადაფარა სირიის ტრაგიკულმა მოვლენებმა. როგორც ჩანს, სანამ არ მოგვარდება სიტუაცია სირიაში და არ შეწყდება იქ სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი, რაიმე სპეციალური ოპერაციის დაწყება ირანის ატომური ამბიციების შესაჩერებლად, ნაკლებადაა მოსალოდნელი.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტმა პოლიტიკოსებსა და საზოგადოების ნაწილს გაუძლიერა იმედი, რომ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი — აშშ უფრო სერიოზულ დახმარებას გაუწევს ქართულ არმიას თავდაცვითი დანიშნულების შეიარაღების მიწოდების სფეროში.

სექტემბერში, ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში (მათ შორის სომხეთში და ასევე ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში) მოსკოვი ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლების Кавказ-2012-ის ჩატარებას გეგმავს. ამასთან, გამოითქვა შეშფოთებაც, რომ რუსეთმა ეს სწავლება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის განახლებად შეიძლება გამოიყენოს.

ამ შიშს ისიც ამძაფრებს, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომამდე, მოსკოვი ჩრდილო კავკასიაში სწორედ Кавказ-2008 წოდებულ სამხედრო სწავლებას ატარებდა და როკის გვირაბით ცხინვალის რეგიონში შემოჭრა სწორედ ამ სწავლებაში მონაწილე რუსულმა სამხედრო ნაწილებმა განახორციელეს.

პარალელის გავლება არ გვსურს, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, საქართველოს მაშინაც ესტუმრა აშშ-ის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი...

**ირაკლი ალადაშვილი**



# ვინ დაიცავს ქართელი ჯავშანმანქანების მეტყვიამფრქვევეებს?

## „დიდგორების“, „ჰამვების“, „კობრებისა“ თუ „ვულფების“ კოშკურებში მყოფი მეტყვიამფრქვევეები მოწინააღმდეგის ცეცხლისგან ნაკლებად დაცული რჩებიან

26 მაისს ქუთაისში ჩატარებულ ალლუმზე ქართული არმიის შეიარაღებაში არსებული ყველა ჯავშანმანქანის სახეობა გამოიყვანეს, მათ შორის „დიდგორის“ სამი ვარიანტი, ორნაირი „ჰამვი“ (შეუჯავშნავი და შეჯავშნული), „კობრა“, „ვულფი“, „ეჯდერი“ და ქვეითთა საბრძოლო მანქანა „ლაზიკა“.

დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ ყველა მათგანს შეიარაღების კომპლექსი კორპუსს გარეთ, თავზე ჰქონდა გამოტანილი. ერთი მხრივ, ეს სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან ინტენსიური სროლის დროს წარმოქმნილი დამწვარი დენთის აირებით აღარ ივსება თავად ჯავშანმანქანის კორპუსის შიდა ნაწილი და იქ მსხდომთ აღარ უწევთ მომწამვლელი აირების ჩასუნთქვა. მეორე მხრივ, კორპუსის ზემოთ გატანილ შეიარაღებას მართვაც სჭირდება, რის გამოც მსროლელი იძულებულია ნახევარი ტანით მაინც ამოვიდეს მანქანის დაცული ჯავშანკორპუსიდან და ისე ისროლოს ტურელზე დამონტაჟებული ტყვიამფრქვევი.

ასეთ დროს მეტყვიამფრქვევე ეკიპაჟის სხვა წევრებისგან განსხვავებით არასახარბიელო მდგომარეობაში ვარდება, რადგან მისი თავი, მკერდი და ზურგიც ფაქტობრივად დაუცველი რჩება.

მართალია, იმავე „დიდგორზე“, „კობრასა“ თუ „ვულფზე“ მეტყვიამფრქვევის საბრძოლო ადგილი მეტნაკლებადაა დაცული ჯავშანფილებით შეკრული კოშკურით, მაგრამ ის მსროლელს ვერ იცავს ყველა რაკურსიდან და განსაკუთრებით ზემო ხედიდან, თუკი ბრძოლები ქალაქის ქუჩებში მიმდინარეობს და ჯავშანმანქანას საცხოვრებელი სახლების ზედა სართულებიდან ესვრიან.

თუ რამდენად სახიფათოა ეს, თავის თავზე 2008 წლის აგვისტოს ომის დროს შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს „კობრების“ იმ

ერაყში გამოყენებული „ჰამვებიდან“ განსხვავებით ამ შეჯავშნული მანქანის კოშკურაზე არ აყენია დამატებითი ჯავშანმინები



მეტყვიამფრქვევეებმა გამოცადეს, ვისაც ცხინვალის ქუჩებში ბრძოლამ მოუწია.

აგვისტოს ომამდე სამიოდ თვით ადრე ამ სტატიის ავტორმა თავად ნახა, თუ რამდენად აუცილებელია ჯავშანმანქანის კოშკურაში მდგარი მეტყვიამფრქვევის კარგად დაცვა. 2008 წლის 20 მაისს შეჯავშნული „ჰამვების" ჩვენი კოლონა ერაყის ერთ-ერთ მაგისტრალზე მიდიოდა, როდესაც მოულოდნელად აფეთქდა გზის მარჯვენა ნაპირას ჩამონტაჟებული თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა (IED) და ორი ე. წ. დამრტყმელი ბირთვი პირველ „ჰამვის" მარჯვენა მხრიდან მოხვდა. ერთმა მათგანმა მანქანის მარჯვენა ბორბლის დისკი გახვრიტა, მეორე კორპუსის წინა კარს მოხვდა, ჯავშანი გახვრიტა და მცირედ დააზიანა შიგ მყოფნი. აფეთქებისას წარმოქმნილი ორივე დამრტყმელი ბირთვის თანამდევმა მეორადმა ნამსხვრევებმა კი „ჰამვის" კორპუსის მარჯვენა მხარე მთლიანად დაცხრილა, თუმცა ჯავშანი ვერ გაიტანა.



ერაყის გზაზე აფეთქებული ამ „ჰამვის" ქართველი მეტყვიამფრქვევე კოშკურაზე დამატებით დაყენებულმა ჯავშანმინამ იხსნა...

რაც მთავარია, გადარჩა კოშკურაში მდგომი მეტყვიამფრქვევე, რომელსაც აფეთქების დარტყმის ძალამ მხოლოდ თითი მოსტეხა. ის რომ ისეთივე კოშკურაში მდგარიყო, როგორიც „დიდგორებსა" თუ „ვულფებს" აქვთ, ნამდვილად ვერ გადარჩებოდა, რადგან ნამსხვრევებმა მის თავის სიმაღლეზე „გადაიარეს". საბედნიეროდ, მეტყვიამფრქვევე კოშკურაზე დამატებით დამონტაჟებულმა ჯავშანმინებმა იხსნა, რომლებზეც ნათლად ჩანდა ნამსხვრევების მოხვედრის ადგილები.

ამერიკელებსაც მაშინვე არ მოუფიქრებიათ „ჰამვების" კოშკურების მაღალ სიმაღლეზე დაჯავშნა. სომალის ოპერაციაში, ისევე როგორც ერაყის კამპანიის დასაწყისში, მათი „ჰამვები" დაუჯავშნელი იყო. შემდეგ „ჰამვები" კი დაჯავშნეს, მაგრამ მეტყვიამფრქვევე კვლავ დაუცველი რჩებოდა. ერაყის გზებზე არაერთი თავდასხმის შემდეგ პენტაგონი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ჰამვების" დაჯავშნის და განსაკუთრებით კი მეტყვიამფრქვევის დაცვის ხარისხი უნდა გაზრდილიყო.

რატომ უნდა გავიმეოროთ ამერიკელების შეცდომები? ახლავე ხომ შეუძლია „დელტას" იფიქროს იმაზე, რომ „დიდგორების", „კობრების" თუ „ვულფების" მეტყვიამფრქვევეების კოშკურები აღიჭურვოს შეჯავშნული მინებით, რომლებიც არ გააფუჭებს მეტყვიამფრქვევის მიერ კონტროლირებად არეალს, სამაგიეროდ, უკეთესად დაიცავს თავად მას (თუმცა, ჯერჯერობით საპირისპიროს ვხედავთ, რადგან „დიდგორი-3"-დ წოდებულ ჯავშანმანქანა პიკაპში ორი მეტყვიამფრქვევე ძარაზე აბსოლუტურად დაუცველად დასვეს).



შეუჯავშნავ „ჰამვიზე" შეჯავშნული კოშკურის დაყენება აზრს კარგავს

არსებობს მეორე და უფრო კარდინალური გამოსავალი, — „დელტამ" უკვე დაიწყო ჯავშანმანქანების კორპუსის თავზე დისტანციურად მართვადი საიარაღო კომპლექსების დაყენება, რომელიც ხსნის მსროლელის კოშკურის დაცვის გაძლიერების პრობლემას, რადგან იგი ეკიპაჟის სხვა წევრებთან ერთად მანქანის შეჯავშნულ კორპუსში განთავსებული და იარაღს დისტანციურად მართავს.

თუმცა დისტანციურად მართვადი ტყვიამფრქვევებისა თუ ავტომატური ყუმბარსატყორცნის შეჯავშნული კორპუსის გარეთ გამოტანამ ერთი ახალი და სერიოზული პრობლემა გააჩინა (გარდა იმისა, რომ დისტანციურად მართვის რთული და ძვირად ღირებული ელექტრონული მოწყობილობების დაყენება სჭირდება), — კოშკურაში მყოფი მსროლელი ორი ხელით აკონტროლებს ტურელზე დამონტაჟებულ ტყვიამფრქვევს და ჯავშანმანქანის ოღროჩოღრო გზაზე სიარულის დროსაც ინსტინქტურად ასტაბილირებს ლულას და მიზანშიც მეტ-



„კობრების“ მეტყვიამფრქვევებმა ცხინვალის ქუჩებში ბრძოლებისას გამოცადეს, თუ რას ნიშნავს არასრულად დაცულ კოშკურაში ყოფნა

ნაკლებად ზუსტად ისვრის.

თუკი დისტანციურად მართვადი შეიარაღების კომპლექსს ორ სიბრტყეში არა აქვს დაყენებული სტაბილიზაციის მექანიზმი, ზუსტად მიზანში სროლა მანქანის უსწორმასწორო გზაზე სიარულისას არ შეუძლია.

ამიტომაცაა, რომ ყველა თანამედროვე ტანკისა და ქვეითთა საბრძოლო მანქანის კოშკურაში დამონტაჟებულია ორ სიბრტყეში მოქმედი სტაბილიზაციის ავტომატი, რომელიც ლულის სამიზნეზე „აყურებინებს“, რა მანევრი არ უნდა გააკეთოს ამ დროს საბრძოლო მანქანამ.

მართალია, „დიდგორების“ ნაწილზე დააყენეს დისტანციურად მართვადი შეიარაღების კომპლექსი (12,7 მმ და 7,62 მმ კალიბრის ორი ტყვიამფრქვევი), მაგრამ მას ჯერჯერობით არ გააჩნია სტაბილიზაციის სისტემა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ „დიდგორების“ ეკიპაჟს არ შეეძლება მოძრაობის დროს ზუსტად დააზიანოს სამიზნე.

შორს რომ არ წავიდეთ, სტაბილიზაციის მექანიზმი არც „ლაზიკას“ დისტანციურად მართვად შეიარაღების კომპლექსს (23 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი და 7,62 მმ კალიბრის ტყვიამფრქვევი) აქვს, რაც უდიდესი ნაკლია იმ ქვეითი საბრძოლო მანქანისთვის, რომელსაც საპატრულო „დიდგორისგან“ განსხვავებით ბრძოლაში უნდა მოუწიოს ჩართვამ. თუკი ყოველი ზუსტი გასროლის წინ ეკიპაჟმა „ლაზიკა“ შეაჩერა, მაშინ იგი იქით გახდება მოწინააღმდეგისთვის კარგი სამიზნე.



ისრაელის „ვულფზე“ დამონტაჟებული კოშკურაც ვერ დაიკვეხნის სრულყოფილებით

მაგალითად, თურქეთში ნაყიდი „ეჯდერის“ ტიპის ჯავშანტრანსპორტიორები აღჭურვილი არიან დისტანციურად მართვადი შეიარაღების კომპლექსით (40 მმ-იანი ავტომატური ყუმბარსატყორცნი და 7,62 მმ კალიბრის ტყვიამფრქვევი), მაგრამ არ გააჩნიათ სტაბილიზების მექანიზმი, რის გამოც ყოველი ზუსტი გასროლის წინ მანქანა უნდა შეჩერდეს, რათა მსროლელმა ზუსტად ამოიღოს სამიზნე მიზანში. ამ სტატიის ავტორს „ეჯდერიდან“ უსვრია დისტანციურად მართვადი ყუმბარსატყორცნი და კარგად იცის, რა წამგებიანია ყოველი ზუსტი გასროლის წინ გაჩერება.



„დიდგორი-3“-ად მონათლულ ჯავშანმანქანის ძარაზე ორი მეტყვიამფრქვევე სრულიად დაუცველია...

**P.S.** იმედია „დიდგორებსა“ და „ლაზიკებზე“ ცეცხლის მართვის დისტანციურ მოდულებს მალე სტაბილიზაციის სისტემით აღჭურავენ, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ საბრძოლო ეფექტურობას.

***ირაკლი ალადაშვილი***

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აფხაზურ სანგარში გადაპატიჟებული ქართველი მებრძოლის ნაამბობი

**აფხაზეთის ომის შემდეგ წლები გავიდა. ამბები, რომელიც საომარი მოქმედებების პარალელურად იქ ხდებოდა, დღემდე ლეგენდებივით ვრცელდება. ქართველი საზოგადოება და აფხაზების ერთი ნაწილი ერთხმად ამბობენ, რომ ეს იყო აბსურდული ომი, რომ ორივე მხარე წაგებული დარჩა.**

**გიორგი ცერცვაძემ საბჭოთა ჯარში გაცნობილ-დამეგობრებული აფხაზი გუმისთის ბრძოლების დროს შემთხვევით იპოვა და რაც უნდა დაუჯერებელი იყოს, ქართველი მეგობარი რამდენიმე მეომართან ერთად აფხაზების სანგარში დაპატიჟა. დანარჩენს აფხაზეთის ომგამოვლილი ქართველი თავად გვიყვება:**



ფოტოზე შუაში დგას ილო ლოგუა, ზის გიორგი ცერცვაძე

— საბჭოთა ჯარში მომიწია სამსახურმა. გერმანიაში გაგვანაწილეს, ბევრი ქალაქი შემოვიარეთ და ბოლოს ქალაქ შვერინში ჩაგვიყვანეს. სპეციალობით ავტოინჟინერი ვარ. სანამ ჯარში წამიყვანდნენ, ბრიანსკის სასწავლებელში ვსწავლობდი, მაგრამ ინსტიტუტიდან გამრიცხეს (საქართველოში დაბრუნების შემდეგ სწავლა მაინც გავაგრძელე)... ისინი, ვისაც სწავლა დამთავრებული ჰქონდა, ჯარში წელიწად-ნახევარი მსახურობდნენ, დანარჩენები სავალდებულო სამხედრო სამსახურს სრულად იხდიდნენ. ნაწილში 3500 ჯარისკაცი იყო, მათ შორის — 350 ქართველი და რამდენიმე აფხაზი. შვერინში პირველივე მოწყობაზე პლაცზე დაგვაყენეს. მეთაურმა ბრძანა, ქართველებმა, სომხებმა და სხვა ეროვნების პირებმა წინ ერთი ნაბიჯი გადმოდგითო. შემდეგ კი იკითხა, — სხვა ეროვნების წარმომადგენლები ხომ არ არიანო? — კი, ჩვენ, აფხაზები, — უთხრეს აფხაზებმა, — თქვენ იგივე ქართველები ხართ, — უპასუხა მეთაურმა.

**— როგორი იყვნენ აფხაზები თქვენთან ურთიერთობაში?**

— ძალზედ მეგობრული. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა მქონდა ერთ-ერთ სოხუმელ აფხაზთან, ილო ლოგუასთან. რუსულ ჯარში დედოვშჩინა, ჩხუბი და გარჩევები ჩვეულებრივი რამ იყო. კვირაში ერთხელ მაინც დიდი ჯახი ატყდებოდა და აფხაზები ყოველთვის ქართველების მხარეს იყვნენ. პირველი სამი თვე, სანამ კარანტინს გავივლიდით, მე და აფხაზი ილო ცალ-ცალკე ვიყავით, შემდეგ კი ჩვენთან შემოიყვანეს. იმ დღიდანვე დავმეგობრდით... იმ ორი წლის განმავლობაში ერთმანეთის ჭირსა და სიხარულს ვიზიარებდით.

**— ურთიერთობა ჯარის დასრულების შემდეგაც განაგრძეთ?**

— რამდენჯერმე ვიყავი სოხუმში, მაგრამ შინ არ დამხვდა. მაშინ ხომ მობილური ტელეფონები არ იყო და წინასწარ ვერ შევუთანხმდებოდი. თუმცა, შვებულებაში ყოფნის დროს ლეოს



ქართული ფორმირებების პოზიცია

თხოვნით რამდენჯერმე ვესტუმრე მის ოჯახს. ძალიან თბილად მიმიღეს. მეტსახელად „კორკორა“ ერქვა. ჩვენც ასე ვეძახდით...

სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ, მუშაობა სამხედრო სამსახურში, სამოქალაქო პირის სტატუსით გავაგრძელე. მაგრამ ოჯახი ჩემს არჩევანს არ შეეგუა და საქართველოში ჩამომიტყუეს. აქ სწავლა გავაგრძელე და მისი დასრულების შემდეგ მუშაობა იმერეთის რეგიონული სატრანსპორტო პოლიციის განყოფილებაში დავიწყე.

ეს იყო დაახლოებით 1992-93 წლები. ჩვენ რაიონის მუნიციპალიტეტს არ ვექვემდებარებოდით, ბრძანებას თბილისიდან ვიღებდით. ქვეყანაში უკვე არეულობა დაწყებული იყო. სამაჩაბლოს ომი დასრულებული გახლდათ, აფხაზეთში კი ძალიან მძიმე ვითარება იყო. ხმა დადიოდა, რომ მეომრებს ყველაფრის დეფიციტი ჰქონდათ, იარაღის, ტყვია-წამლის, საბრძოლო ტექნიკის... მანამდე ცხინვალის ომშიც რამდენჯერმე მომიწია წასვლამ, ლოკალურ ბრძოლებში, პოლიციის ხაზით ვმონაწილეობდი, ვითარების გაკონტროლება გვევალებოდა. ერთი სიტყვით, სატრანსპორტო პოლიციის სამმართველოს უფროსის მერაბ შენგელიას თხოვნით, აფხაზეთში ჩვენი განყოფილებიდან 8 კაცი წავედით. სახალხო ობიექტების დაცვა და ასევე სატრანსპორტო გადაზიდვების უზრუნველყოფა გვევალებოდა. თუმცა სინამდვილეში რეალურ ომში მოგვიწია ჩართვამ.

აფხაზეთში ბრძოლის ბოლო დღეები იყო. გუმისთის პოზიციაზე განვლაგდით. როგორც მოსალოდნელი იყო, ძალზე მძიმე სიტუაცია დაგვხვდა. მეომრები გაძლებაზე იყვნენ. აღარც ტყვია-წამალი ჰქონდათ და არც საკვები. ბიჭები პანიკაში იყვნენ. იმდენად შეშინებული ვიყავით, რომ ერთ ღამეს სანგართან ძაღლმა გაირბინა (მაშინ არ ვიცოდით, რომ ძაღლი იყო), ერთ-ერთმა, რომელსაც სხვებზე მეტი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა, ავტომატის მთელი ჯერი მიუშვა, რასაც მოწინააღმდეგის საპასუხო ცეცხლი მოჰყვა. მაგრამ იმ ერთი ღამის გარდა, სროლა აღარ ყოფილა.

**— რატომ?**

— ღამით ბრძოლები არ იყო. როგორც კი დღის სინათლე გაკრთებოდა, მაშინვე რომელიმე მხარე იერიშზე გადადიოდა, მაგრამ ვის ან რას ვესროდით, არავინ იცოდა.

**— მეთაურობისგან კონკრეტული დავალება არ გქონდათ?**

— ვის უნდა მოეცა კონკრეტული დავალება? მეთაურობა წასული იყო. ჩვენ ჩარჩენილები ვიყავით, რადგან კონფლიქტის ზონაში თითქმის უპატრონოდ გადავედით. როგორც კი წავიწევდით წინ, მაშინვე მოვიდოდა ბრძანება, რომ უკან დაგვეხია და ჩვენც პოზიციებს ვტოვებდით. დიდი მანძილით წინ არასდროს წავსულვართ.

ღამით სამ-სამი კაცი ვმორიგეობდით, ერთმანეთს ვცვლიდით. ღამის სამზერი მოწყობილობა და ასეთი რაღაცები არ გვქონდა. რამდენჯერ გვამისთვის ამირთმევია ტყვიები, რადგან სხვა გამოსავალი არ მქონდა. იყო შემთხვევები, ადამიანს ელმავალი დასჯახებია. მისი პროზექტურაში გადასვენება და პატრონობა მე მიწევდა, მაგრამ დაღუპული მეომრებისთვის ტყვია-წამლის ბუდის შეხსნა ძალიან ცუდ დღეში მაგდებდა. დაღუპულების უმეტესობა ქართველი იყო. ერთი სიტყვით, სტრესი სტრესზე გვქონდა.

ერთ ღამეს სიგარეტი მოგვინდა. სანგრიდან თავი ამოვყავი, სიტუაცია უნდა შემეთვალიერებინა, გადაადგილებას შევძლებდი თუ არა, რომ სიგარეტი მეშოვა. ჩვენთან ახლოს ქუთაისის სამმართველოს ბიჭები იყვნენ განლაგებული და მათთან წასვლა დავაპირე. სიბნელეში უცებ ადამიანის სილუეტს მოვკარი თვალი, ეტყობა, იმანაც დამინახა და ინსტინქტურად დაიყვირა, პაჟალუისტა, ნე სტრელიატე, ია კორკორა!.. იმავე წამს თვალწინ დამიდგა კადრი, როცა გერმანიიდან შვებულებით ჩამოვედი, მან სოხუმში ალბომის ჩატანა მთხოვა, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: ოტეც! ტვოი კორკორა სინ ვერნიოტსია!.. მისგანვე ვიცოდი, კორკორა ქართულად დააახლოებით ამას რომ ნიშნავდა.

**— მაშინვე მიხვდით ვინც იყო?**

— დიახ, მოულოდნელობისგან წამოვიყვირე, — ლოგუა, ეტა ტი?! ეტყობა, ისიც ჩემსავით რაღაცის საშოვნელად მიდიოდა.

**— ქართულ-აფხაზური პოზიციები ასე ახლოს იყო ერთმანეთთან?**

— დიახ. ზოგჯერ ღამეს ერთმანეთთან გადაძახილში ვათენებდით. ხან ისინი გვეტყოდნენ რამეს, ხან ჩვენ გადავძახებდით. ბევრჯერ უკითხავთ, ქართველებო, რა გვაქვს ერთმანეთთან საომარიო?! ზოგჯერ ქართულადაც გველაპარაკობდნენ, თუმცა, უფრო მეტად რუსულად. არაერთხელ გვიკითხავს, ქართველები და აფხაზები ერთმანეთის მტრები ვართო? მეორე დილით კი, ბრძოლას ვაგრძელებდით...

**— ლოგუამ გიცნოთ?**

— სიტყვა დამთავრებულიც არ მქონდა, ხმით მიცნო, — ცერცვაძე, ეტა ტი!.. — და ჩემკენ გამოემართა. ვიგრძენი, როგორ ამიკანკალდა მუხლები. წამით შემეშინდა, ჩემს პოზიციაზე გადმოსული მეგობრისთვის ვინმეს არ ესროლა და ჩემებს ხელით ვანიშნე, არავინ გაისროლოთ-მეთქი. ამასობაში ის მომვარდა და გადამეხვია. მოულოდნელობისგან ენა ჩამივარდა. — მოი დრუგ, — სიხარულს ვერ მალავდა ჩემი აფხაზი მეგობარი. რამდენიმე წუთი ვისაუბრეთ და შემდეგ მითხრა, — შენი ბიჭები წამოიყვანე და პური ვჭამოთო...

**— რა უპასუხეთ?**

— რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ორი წელი დღედაღამ ერთად ვიყავით და

ეროვნული ბიბლიოთეკა



ომის დროს ასეთი რამეც ხდებოდა...

ვიცოდი, რისი გამკეთებელი იყო. როცა ჩემი აფხაზი მეგობრის მიპატიჟება ქართველ ბიჭებს გადავეცი, შეყოყმანდნენ, ზოგმა პირდაპირ მითხრა, — ყველანი რომ ჩაგვხოცონო?!. მე მივდივარ და ვინც მენდობა, გამომყვეს-მეთქი. კორკორასგან ღალატი შეუძლებელი იყო. აფხაზი თუ თავისიანად მიგიღებს, თავს გაწირავს და არ დაუშვებს, მის სტუმარს რამე დაემართოს. ბიჭების პასუხზე უხერხულობა იგრძნო და ჩამეძია, — ნე დავერიაეშ, და? კანეშნა, დავერიაიუ-მეთქი და გავყევი. გზაში ისინიც დაგვეწივნენ, ვინც თავიდან უარი თქვა. აფხაზების სანგარში ერთად ჩავედით.

**— რა სიტუაცია დაგხვდათ მათ სანგარში?**

— იგივე, რაც ჩვენთან იყო. სხვადასხვა ასაკის მებრძოლები იყვნენ, ჩემი თანატოლებიც და შუახნის კაცებიც. ტყვია-წამალი მათაც ძალიან უჭირდათ, მაგრამ საჭმელი ჩვენზე უკეთესი ჰქონდათ, ადგილობრივები იყვნენ და ეტყობა, მოსახლეობაც ეხმარებოდა. შეშინებული ჩანდნენ. თავიდან ყველა ვდუმდით, შემდეგ კი ნელ-ნელა გავუშინაურდით ერთმანეთს და მოვიკითხეთ, **— რას შვრებით, ბიჭებო, როგორ ხართ-მეთქი... რამდენიმე წუთის შემდეგ დაძაბულობა მოიხსნა და ქეიფი დავიწყეთ.**

**— სადღეგრძელოებიც თქვით?**

— დიახ, ისინი ამბობდნენ, რომ ეს იყო ვიღაცის ხმას აყოლილი, დაუკონკრეტებელი ადამიანების ბრძოლა, რომლებმაც არც კი იციან, რისთვის იბრძვიანო... ბევრი აფხაზეთის ომში საშოვარზე ჩამოვიდა, თუმცა ვიღაცები მართლა გულწრფელად იბრძვიანო. ჩვენთანაც ასე იყო, ბევრი საშოვარზე იყო წასული... რუსულ-ქართულად ვსაუბრობდით. სადღეგრძელოებიც ვთქვით, გაგვიმარჯოს, ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა ყოფილიყოს-მეთქი. საერთო სამშობლოს სადღეგრძელოც დავლიეთ, იმ მიწის, სადაც ერთად უნდა გვეცხოვრა. აგრესიულად ნათქვამი ერთი სიტყვაც არ მახსოვს.

**— ვინ იყვნენ, სამხედრო ნაწილის ჯარისკაცები თუ მოხალისეები?**

— დაახლოებით 30-კაციანი მოხალისეთა ჯგუფი იყო. დილის 4 საათისთვის ავიშალეთ, რადგან შეგვეშინდა, სხვა აფხაზური დაჯგუფება არ წამოგვდგომოდა თავს, ყველას ჩაგვცხრილავდნენ... თავი დაიზღვიეს და რამდენიმე კაცმა ჩვენს პოზიციამდე მიგვაცილა. შემდეგ კი, სანამ თვალს არ მიეფარნენ, მე ვიდექი სადარაჯოზე, ვინმემ არ გაისროლოს-მეთქი...

**როგორც კი გათენდა, ბრძოლა განახლდა. ისინი გვესროდნენ და ჩვენც გავუხსენით საპასუხო ცეცხლი, იქ უკვე ძნელი გასარჩევი იყო, ლოგუა მესროდა თუ სხვა.**


აფხაზი მებრძოლები

**— როდის დატოვეთ გუმისთა?**

— ჩვენი დანაყოფის იქ დარჩენას აზრი არ ჰქონდა. იმ დღეებში „მხედრიონმაც“ დაიხია უკან... საბედნიეროდ, უდანაკარგოდ გამოვედით. ჭუბერამდე ვერტმფრენით გადმოგვაფრინეს, იქიდან კი ზუგდიდამდე ფეხით ჩამოვედით. სახლში მისული ვერც მიცნეს. ეგონათ, ცოცხალი არც კი ვიყავი.

**— ომის შემდეგ თქვენს აფხაზ მეგობართან დაკავშირება არ გიცდიათ?**

— ინტერნეტით ვცადე მისი პოვნა, მაგრამ ვერსად მივაგენი. რამდენიმე რუსი ვიპოვე, ვინც ჩემს ნაწილში მსახურობდა... ძებნაში მისი სოხუმის მისამართიც მივეცი, სოხუმში, ლენინის ქუჩის, 23-ში ცხოვრობდა, მაგრამ ვერსად მივაგენი. ხელი არ ჩამიქნევია, მის ძებნას ვაგრძელებ და იმედია, ვიპოვი. ერთი მეგობარი მყავს, რომელიც ომამდე სოხუმში ცხოვრობდა და ქალიშვილიც იქ გათხოვდა. მამის სანახავად ყოველ წელს ჩამოდის და უნდა ვთხოვო, კორკორას პოვნაში დამეხმაროს.

**— ოჯახი ჰყავდა?**

— კი, ომში რომ შევხვდით, მაშინ მითხრა, რომ ოჯახი შეუქმნია.

**— ქართული იცოდა?**

— დიახ, ჩვეულებრივ ლაპარაკობდა ქართულად... იცით, ხშირად ვფიქრობ იმ უბედურებაზე, რაც 90-იან წლებში აფხაზეთში დატრიალდა. ეს იყო ყველაზე აბსურდული ომი, რომელიც არ უნდა მომხდარიყო.

***ლალი პაპასკირი***

# კავკასიური მოვლენების



აზერბაიჯანი მალე თურქეთიდან 155 მმ-იან თვითმავალ ჰაუბიცა T-155 Firtina-ს მიიღებს

## აზერბაიჯანი

● თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სპეციალისტებმა შექმნეს და ამჟამად ტესტირებას უტარებენ საბრძოლო მოდულს, რომელიც კომკურის, შეიარაღებისა (ქვემეხი, 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი და ავტომატური ყუმბარსატყორცნი) და მართვის სისტემისგან შედგება. მოდულის თავისებურება ის არის, რომ შესაძლებელია მასზე სხვა კალიბრის ქვემეხის დაყენება და ცეცხლის დიდი კუთხით წარმოება.

● რესპუბლიკის სამხედრო პროკურატურა გამოვა თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებიდან და ჩამოყალიბდება ცალკე სტრუქტურად, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი დააფინანსებს.

● რუსულ კორპორაცია „ზაშჩიტას" აზერბაიჯანის ძალოვანმა სტრუქტურებმა დაჯავშნული ავტომობილები Скорпион ЛША Б და ტრანსპორტიორები Скорпион ЛША შეუკვეთეს. პირველი დაახლოებით 110 ათასი დოლარი, მეორე კი დაახლოებით 50 ათასი დოლარი ღირს.

● 23 მაისს იმიშლინის რაიონში, ირან-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის ერთ-ერთ საგუშაგოზე, ორი ჯარისკაცის ცხედარი აღმოჩნდა ავტომატების ტყვიების კვალით. გამოძიების ვერსიით, ერთმა ჯარისკაცმა ჯერ თანამებრძოლი მოკლა და შემდეგ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

● 28 მაისს რესპუბლიკის დღესთან დაკავშირებით ბაქოს ქუჩებში საზეიმო მარშით ჩაიარეს ჰეიდარ ალიევის სახელობის უმაღლესი სამხედრო სკოლისა და ჯაფარყულ ნახჩევანსკის სახელობის სამხედრო ლიცეუმის კურსანტებმა.

● უახლეს თვეებში აზერბაიჯანი თურქეთიდან 155 მმ-იან თვითმავალ ჰაუბიცა T-155 Fırtına-ს. პირველ პარტიას მიიღებს ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც თურქეთის მხარემ ძრავებთან დაკავშირებული პრობლემები გერმანულ MTU-სთან მოაგვარა.

## სომხეთი

● 18 მაისს სამშვიდობო ბრიგადის 39 სამხედრო მოსამსახურე მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში NATO-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სწავლება Cooperative Longbow/Lancer-ში მონაწილეობის მისაღებად გაფრინდა. სომეხი მშვიდობისმყოფლები სამშობლოში 30 მაისს დაბრუნდნენ.

● 21 მაისს დაიწყო ავღანეთში ISAF-ის დაქვემდებარებაში მყოფი ურთიერთმოქმედების ოპერატიულ-საინსტრუქტორო ჯგუფის (OMLT) 5 სომეხი ინსტრუქტორის შეცვლის პროცესი. მათი შემცვლელი სომეხი ინსტრუქტორები ამჟამად მომზადებას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გადიან და ივლისიდან სამსახურს ავღანეთში განაგრძობენ.




სირიაში შეტაკებებს ჰაფეზ ასადის არმიის სომეხი ჯარისკაცები ეწირებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიმოხილვა

● გიუმრის რუსულ 102-ე ბაზაზე სამსახურისთვის გაგზავნილი უმაღლესი სამოქალაქო განათლების მქონე 400 წვევამდელისგან ყოველ მეორეს ტექნიკური განათლება აქვს. ტექნიკური განათლების მქონეთა ერთი ნაწილი საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფებში С-300-სა და Бук-М1-ის კომპლექსებზე გადანაწილდა, ხოლო მეორე კი ქვემეხების, საბრძოლო მანქანებისა და სადაზვერვო ათეულების მეთაურებად, ტოპოგეოდეზისტებად და გამომთვლელებად დაინიშნა.

● მიმდინარე წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით სომხეთის სახელმწიფო საზღვრის დარღვევისთვის 100 პირია დაკავებული. დარღვევათა მეტი ნაწილი თურქეთის საზღვარზე ხდება. დაკავებულთა უმრავლესობა თურქი მეთევზეა, რომლებიც სასაზღვრო მდინარეებში თევზაობენ.

● სირიის არმიის 20 წლის სომეხი ჯარისკაცი ლევონ კუიმჯიანი ერთ-ერთი ბრძოლის დროს სირია-თურქეთის საზღვრის მახლობლად მოკლეს. უფრო ადრე, თებერვალში, ტერაქტს კიდევ ერთი სომეხი 26 წლის ჯარისკაცი ვიგენ აირაპეტიანი ემსხვერპლა.

● რუსული 102-ე სამხედრო ბაზის შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა გადაყვანილია ზაფხულის პერიოდის ექსპლუატაციაზე. სამხედრო სინოპტიკოსების პროგნოზით, მაღალმთიან სასწავლო-საწვრთნელ ცენტრებში „ალაგიოზსა“ და „კამხუტზე“ ჰაერის ტემპერატურა 40 გრადუსს მიაღწევს. ამის გამო სამხედრო ტექნიკაზე 50-მდე ტექნიკური ოპერაცია შესრულდა და დაახლოებით 8 ტ-მდე სხვადასხვა ზეთი, სპეციალური შესაზეთი საშუალება და სითხე გაიხარჯა.

## ჩრდილო კავკასია

● სამხრეთის ოლქის ჯარები წლის ბოლომდე მიიღებენ 40 მოდერნიზებულ ტანკ Т-72БМ-ს, ასზე მეტ ჯავშანტრანსპორტიორ БТР-82А-სა და 500 სატვირთო ავტომობილ КамАЗ-Мустанг-ს. სადაზვერვო ქვედანაყოფებს შეემატება ჯავშანავტომობილები 10 Тигр-М-ი და 50-ზე მეტი Рысь-ი. 2012 წლის ბოლოსთვის ოლქის მოდერნიზებული და თანამედროვე სამხედრო ტექნიკის მაჩვენებელი 80%-ს მიაღწევს.

● 1-ლი ივნისიდან სამხრეთის სამხედრო ოლქის სწავლებების საზაფხულო პერიოდი დაიწყება, სადაც მთავარი ადგილი სტრატეგიულ სამეთაურო-საშტაბო სწავლება „კავკაზ-2012“-ს უკავია.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● რუსულმა კომპანია „როსმორპორტმა“ სოჭიდან გაგრამდე საზღვაო მიმოსვლის ხაზზე ნავიგაციის სეზონი გახსნა. ბრიტანეთში ნაყიდი კატამარანები Sochi-1 და Sochi-2 საკურორტო სეზონის დაწყებასთან ერთად 1-ლი ივნისიდან თითოეულ რეისზე 300 მგზავრს გადაიყვანენ.

● რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ინფორმაციით, ოკუპირებულ აფხაზეთში ამჟამად 1300 მესაზღვრეა, ხოლო საზღვაო საზღვრებს „სობოლისა“ და „მანგუსტის“ ტიპის 8 კატარღა აკონტროლებს.

● 29 მაისს ალექსანდრე ანქვაბმა მიიღო აფხაზეთში რუსული სასაზღვრო სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი ალექსანდრე კომარავცევი, რომლის თქმით, რუსმა მესაზღვრეებმა ქალაქ გალის კაფეში 2 აფხაზი მილიციელისა და 1 სამოქალაქო პირის მკვლელობაზე ინფორმაცია 30 წუთის შემდეგ მიიღეს. ამ ფაქტს ანქვაბმა ურთიერთთანამშრომლობის ცუდი მაგალითი უწოდა.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● 25 მაისს ე. წ. სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს კადეტთა სკოლის პირველი გამოშვება შედგა. კადეტების უმრავლესობა სწავლის გაგრძელებას რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში აპირებს.

● რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ინფორმაციით, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში 1200 რუსი მესაზღვრე მსახურობს.

### თვითაღიარებული ყარაბაღი

● 28 მაისს კომპლექსი „სარდარაპატის“ (1918 წლის მაისში სომხურმა ფორმირებებმა სარდარაპატთან, ბაშ-აპარანსა და კარაკილისთან თურქეთის არმია დაამარცხეს) დათვალიერებისას თვითაღიარებული ყარაბაღის თავდაცვის მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა მოვსეს აკოპიანმა განაცხადა, რომ ყარაბაღის არმია შეხების ხაზზე სიტუაციას სრულად აკონტროლებს, მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი დროდადრო მაინც ირღვევა.

*თემურ ჩაჩანიძე*



სამხრეთის სამხედრო ოლქი წელს იტალიურ-რუსული წარმოების კონსტრუქციის Рысь-ის ტიპის ჯავშანავტომობილებით შეივსება



# დამოუკიდებლობის დღის ალლუმი

26 მაისს საქართველომ მორიგი დამოუკიდებლობის დღე იზეიმა. დამკვიდრებული წესისამებრ, ამ დღეს ჩვენს ქვეყანაში ალლუმით აღნიშნავენ. ტრადიცია ამჯერადაც არ დაირღვა. თუმცა, ალლუმი არა თბილისში, არამედ ქუთაისში, ახალი პარლამენტის წინ ჩატარდა.

ადგილმდებარეობის გარდა, წლევანდელი ალლუმი ბევრი სიახლითა და მართლაც ლამაზი სანახაობით გამოირჩეოდა. მსვლელობის წინ სამხედრო აკადემიის 76-მა მსმენელმა საზეიმო ვითარებაში ფიცი დადო.

ქვეითი ჯარის მსვლელობა მედროშეთა დანაყოფით დაიწყო, რომელსაც კადეტთა ლიცეუმისა და თავდაცვის ეროვნული აკადემიის მსმენელთა დანაყოფები მიჰყვნენ. სხვათა შორის, აკადემიის კურსანტებმა სამხედრო ალლუმში მონაწილეობა პირველად მიიღეს.

თავისი დანაყოფები გენშტაბს, ავიაციასა და განათლების სარდლობასაც ჰყავდა. სამთავრობო ტრიბუნის წინ ჩაიარეს საქართველოს სახმელეთო ჯარების ხუთივე ქვეითი ბრიგადის პირადი შემადგენლობით დაკომპლექტებულმა საალლუმე დანაყოფებმა, თითოეულში 48-ჯარისკაციანი სამწყობრო ჯგუფი შედიოდა.

ქვეით ბრიგადებს ცალკეული ქვეითი და სადაზვერვო ბატალიონები, სპეციალური ოპერაციების ძალები, სწრაფი რეაგირების ჯგუფები, საარტილერიო და საინჟინრო ბრიგადები და ეროვნული გვარდიის პირადი შემადგენლობა მოჰყვა. ქვეითთა ჯარის მსვლელობა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის დანაყოფმა დაასრულა, რომელიც სამხედრო ალლუმზე ასევე პირველად იყო წარმოდგენილი.



ალლუმზე დემონსტრირებული ერთ-ერთი სიახლე — „დიდგორის“ ახალი მოდიფიკაცია

**ჯავშანმანქანა „დიდგორი“**

ჯავშანი უზრუნველყოფს 7,62 მმ-იანი ტყვიებისგან დაცვას

სვლის მარაგი — 500კმ

**„დიდგორი 1“**

ეკიპაჟი — 2 კაცი, დესანტი — 7 კაცი

შეიარაღება — 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი Minigun-ი

**„დიდგორი 2“**

ეკიპაჟი — 2 კაცი, დესანტი — 5 კაცი

შეიარაღება — 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი HCB, ან დისტანციური მართვის მოდული 12,7 მმ-იანი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევებით



ქვეითი ჯარის ჩავლის შემდეგ, აღლუმის ყველაზე საინტერესო ნაწილი დაიწყო და ირაკლი აბაშიძის პროსპექტზე სამხედრო ტექნიკა გამოჩნდა.

პირველი სამი ერთეულით წარმოდგენილი „ლაზიკა“ იყო. ეს მუხლუხებიანი ქვეითთა საბრძოლო მანქანა საქართველოში ქართველმა სპეციალისტებმაააწყვეს. არსებული ცნობით, მას კომბინირებული ჯავშანი აქვს და ყველა რაკურსიდან 14,5 მმ-იანი კალიბრის ჯავშანგამტან ტყვიებს უძლებს.



**დღეისთვის ამ ტიპის საბრძოლო მასალას მხოლოდ ერთადერთი — КПВТ-ს ტიპის მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი მოიხმარს.**

„ლაზიკას“ დიდ უპირატესობას ცეცხლის მართვის დისტანციური სისტემა აძლევს. ძირითადი შეიარაღება 23 მმ-იანი ქვემეხია, ხოლო დამხმარე კი — 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი. დისტანციურ მოდულს ოპერატორი მანქანის შიგნიდან მართავს. მოდულს სადღეღამისო და თერმული კამერები აქვს. შესაბამისად, სამიზნის აღმოჩენა ღამითაც და რთულ მეტეოპირობებშიც იქნება შესაძლებელი.

„ლაზიკებს“ „დიდგორის“ ტიპის ჯავშანმანქანები მოჰყვნენ. ფართო საზოგადოებამ ისინი პირველად შარშანდელ აღლუმზე იხილა. მაშინ ერთდროულად მანქანის ორი ვარიანტის „დიდგორი-1“ და „დიდგორი-2“-ის ჩვენება შედგა. წელს ნაჩვენები მანქანები „დიდგორი-1“-ის მოდიფიცირებული ვარიანტია. ყველაზე თვალსაჩინო სიახლე, „მინიგანიანი“ კოშკურის ნაცვლად, დისტანციური მოდული იყო. მასზე ერთი მსხვილკალიბრიანი და მასთან შეწყვილებული 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევია დამონტაჟებული.

**2008 წელს, რუსებისთვის ყველაზე დიდი მოულოდნელობა, ჩვენს შეიარაღებაში Spyder-ების არსებობა გახლდათ**

ქართული წარმოების ჯავშანმანქანებს, ასევე სამამულო წარმოების ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები მიჰყვნენ. საბჭოური „გრადისგან“ განსხვავებით, მას დაჯავშნული კაბინა აქვს. კონტრსაარტილერიო ცეცხლის ან ჩასაფრებაში მოყოლის შემთხვევაში, ჯავშანკაბინა ხუთკაციან გათვლას ნამსხვრევებისა და ტყვიებისგან დაიცავს.

აღლუმზე კიდევ ერთი ქართული ჯავშანმანქანის დებიუტი შედგა. ის „დიდგორ-3“-ად მოინათლა. „დიდგორების“ სხვა მოდიფიკაციებისგან განსხვავებით, ის სამხიდიანია. ჯავშანკაფსულის უკანა ღია ძარაში მყოფი ორი მეტყვიამფრქვევე მანქანის უკანა სექტორს აკონტროლებს.

მძღოლის ჩათვლით, მანქანა 6 ადამიანზეა გათვლილი და თითოეულ ბორტში ორ-ორი კარი აქვს. დამატებით ჯავშანკაფსულის უკანა კედელზე ლიუკია დატანებული, რომელზეც სათადარიგო საბურავია დამაგრებული. „დიდგორების“ მსგავსად ეს ჯავშანმანქანაც წინა და უკანა ხედვის კამერებითაა აღჭურვილი.

ამ მანქანას სახურავზე „დიდგორების“ ანალოგიური დისტანციური მოდუ-

**2C1 Гвоздика**

**თვითმავალი საარტილერიო დანადგარი**
**საბრძოლო მასა — 15,7 ტ**
**ძრავას სიმძლავრე — 300 ცხ.ძ.**
**სიჩქარე — 60 კმ/სთ-ში**
**კალიბრი — 122 მმ**
**ჭურვების მარაგი — 40 ცალი**
**სწრაფსროლა — 4-5 გასროლა/წთ-ში**
**სროლის მანძილი — 0,3-15,2 კმ**
**ეკიპაჟი — 4 კაცი.**



**ქართველი არტილერისტების განკარგულებაში მყოფი „გვოზდიკას“ საჯარო დემონსტრაცია, პირველად შედგა**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები აქვს დამონტაჟებული. უნიფიცირების თვალსაზრისით, ეს გადაწყვეტილება გამართლებულია.

სამამულო წარმოების ჯავშანტექნიკას უპილოტოები მიჰყვნენ. წარმოადგინეს ასევე ოთხი „ჰაილუქსებზე“ დამაგრებული უპილოტოები.

აბაშიძის პროსპექტზე შემდგომ უკვე ბუქსირებადი არტილერია გამოჩნდა. ექვს ჩინურ სატვირთო ავტომობილზე სამამულო წარმოების 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნები იყო ჩაბმული. მისი ნაღმი 16 კგ-ს იწონის. შესაბამისად, ამ ტიპის შეიარაღების გამოყენება როგორც დაუჯავშნავ, ასევე დაჯავშნულ ტექნიკასთან საბრძოლველად შეიძლება. მათ უკან მომავალი ექვსი „კრაზი“ კი სამ-სამ 152 მმ-იან ბუქსირებად ქვემეხ МСТА-Б-სა და Гиацинт-Б-ს ეწეოდა.

ბუქსირებადი საარტილერიო საშუალებების შემდეგ, M1151-ის ტიპის 10 დაჯავშნული Hummer-ი, ოთხი „კობრა“ და 10 ებრაული წარმოების Wolf-ი გამოჩნდა. სხვათა შორის, შარშანდელ აღლუმთან შედარებით, ამჯერად „ვულფების“ კოშკურები წინიდანაც ჯავშანფარებით იყო დაცული. თავლია კოშკურებში კი 12,7 მმ-იანი НСВ-ები და 7,.62 მმ-იანი ПК-ები იყო დაყენებული.

წონა საბრძოლო გათვლის გარეშე — 9000 კგ
სიგრძე — 6.5 მ
სიმაღლე — 2,26 მ (მოდულის გარეშე)
ძრავას სიმძლავრე — 160 ცხ.ძ.
მაქს. სიჩქარე — 75 კმ/სთ-ში
სვლის მარაგი — 380 კმ.

ჯავშანტრანსპორტიორების სახით, სამთავრობო ტრიბუნის წინ 13-მა თურქულმა „ეჯდერმა“ ჩაიარა. სხვათა შორის, წელს პირველი შემთხვევა იყო, როცა აღლუმში საბჭოური წარმოების БТР-80-ები არ მონაწილეობდნენ.

წლევანდელი აღლუმი გამორჩეული იმითაც იყო, რომ პირველად ებრაული წარმოების Spyder-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის ჩვენება შედგა. აღლუმში მონაწილეობა სამმა გამშვებმა მანქანამ მიიღო. თითოზე „პითონ-5“-ის ტიპის ოთხი საზენიტო რაკეტაა დამონტაჟებული.

2008 წლის აგვისტოში ქართველი მეზენიტეების შეიარაღებაში ამ ტიპის კომპლექსის არსებობა რუსებისთვის დიდი მოულოდნელობა იყო.

აღლუმში მონაწილეობა Оса-ს ტიპის საზენიტო კომპლექსებსაც უნდა მიეღო. მათ ბოლო რეპეტიციაც გაიარეს, მაგრამ ეტყობა გეგმა შეიცვალა.

საზენიტო სისტემების შემდგომ, ჩეხოსლოვაკიური წარმოების 152 მმ-იანი DANA-ს ტიპის ოთხი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, ასევე ჩეხოსლოვაკიური ცხრა RM-70-ის და ისრაელის წარმოების სამი LAR-160-ის ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა გამოჩნდა.

კიდევ ერთი სიახლე აღლუმზე მუხლუხებიანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარებისა და ტანკების გამოჩენა იყო.

მთავრობის ტრიბუნას, ათმა 122 მმ-იანმა 2С1 Гвоздика-მ ჩაუარა. **„არსენალი“ უკვე წერდა გასულ წელს „გვოზდიკების“ შეძენის შესახებ.**

აღლუმში მონაწილე ტექნიკის მსვლელობა T-72-ის ტიპის ტანკებმა დაასრულეს. სხვათა შორის, რვაწლიანი პაუზის შემდეგ, აღლუმში ტანკებმა მონაწილეობა პირველად მიიღეს. სამთავრობო ტრიბუნას ამ ტიპის თორმეტმა ტანკმა ჩაუარა.

ტექნიკის ჩავლის შემდეგ, აღლუმის დასკვნითი, საჰაერო ნაწილი დაიწყო. ერთმანეთის მიყოლებით ქუთაისს ოთხოთხმა UH-1H-ის, Ми-8-ისა და Ми-24-ის (ორი Ми-24В ორი Ми-24П) ტიპის შვეულმფრენმა გადაუფრინა. ყველა მათგანი რომბის წყობით მიფრინავდა. ამავე წყობით იფრინა ჩეხოსლოვაკიური წარმოების მსუბუქმა საბრძოლო-სასწავლმა ოთხმა L-39-მა.

ცაში მოიერიშეები გამოჩნდნენ. მათ უკვე დამკვიდრებული ტრადიციისამებრ ჰაერში საქართველოს დროშის ფერების კვამლი დატოვეს. ექვსმა Су-25-მა „სამკუთხედის“ წყობით გადაიფრინა. აღსანიშნავია, რომ შვეულმფრენებიც და თვითმფრინავებიც ძალიან მჭიდრო მწყობრში და დაბალ სიმაღლეზე მიფრინავდნენ, რაც ლამაზი სანახაობა იყო.

განსაკუთრებული ეფექტურობით მოიერიშეები გამოირჩეოდნენ, რომლებმაც აბაშიძის პროსპექტს 200-250 მ სიმაღლეზე გადაუფრინეს.

აღლუმის დასკვნით ნაწილში დაბალ სიმაღლეზე ერთმა „იროკეზმა“ გადაიფრინა, რომელმაც საქართველოს დროშის ფერების ფურცლები გადმოყარა.

წლევანდელ აღლუმში სხვადასხვა სახეობის 21 ტიპის ტექნიკამ მიიღო მონაწილეობა, აქედან 7 (120 მმ-იანი ნაღმმტყორცნის ჩათვლით) სამამულო წარმოებისაა. აღლუმის საჰაერო ნაწილში კი სამი ტიპის 12 შვეულმფრენი და ორი ტიპის ათი თვითმფრინავი მონაწილეობდა.

**ალექსანდრე აფაქიძე**



წლევანდელი აღლუმის კიდევ ერთი სიახლე. ექვს კაცზე გათვლილი ჯავშანმანქანა



აზერბაიჯანელთა უახლესი რუსული შვეულმფრენი Ми-35М

# კუნთების თამაში კავკასიურად

ოდითგანვე მტრებთან ბრძოლამ კავკასიელებს იარაღის მიმართ იმდენად განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩამოუყალიბა, რომ სხვადასხვა სახის იარაღი აუცილებელ ატრიბუტად იქცა.

XXI საუკუნეში ეთნოკონფლიქტებმა კავკასიის ქვეყნებსა და ოკუპირებულ-აუღიარებელ წარმონაქმნებში იარაღისადმი ლტოლვა კიდევ უფრო გააძლიერა.

ახლა სხვა დროა და იარაღიც ბევრად რთული და გაბარიტულია, ამიტომაც სიძლიერის წარმოჩენის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად აღლუმი ითვლება.

არასრულ ერთ წელიწადში კავკასიის ქვეყნებს პომპეზური აღლუმების ტალღამ გადაუარა, რომელსაც სათავე აზერბაიჯანმა დაუდო.

2011 წლის 26 ივნისს ბაქოში შეიარაღებული ძალების დღისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმში აზერბაიჯანმა არმიის, ავიაციის, ფლოტის, შინაგანი ჯარისა და მესაზღვრეების განკარგულებაში არსებული შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის თითქმის ყველა ნიმუში წარმოადგინა. მათ შორის იყო რუსული წარმოების საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი С-300ПМУ-2 Фаворит-ი.

ადვილი მისახვედრია, თუ რისთვის დასჭირდა აზერბაიჯანს საკუთარი სამხედრო ძლიერების დემონსტრირება, რადგან საპასუხო მასშტაბის აღლუმმაც არ დააყოვნა.

გასული წლის 21 სექტემბერს სომხეთის დედაქალაქში ქვეყნის დამოუკიდებლობის მე-20 წლისთავი გრანდიოზული სამხედრო აღლუმით აღინიშნა, ერევანში რესპუბლიკის მოედანზე პირველად შედგა ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების Р-17 Ельбрус-ის (უფრო Scud-ის სახელით არის ცნობილი) ტიპისა და ტაქტიკური დანიშნულების ОТР-21 Точка-У-ს ტიპის სარაკეტო კომპლექსების საჯარო დემონსტრირება.

სომხეთის არმიის „მიწა-მიწა“ კლასის სარაკეტო კომპლექსებზე კარგა ხანია ხმა დადიოდა, მაგრამ სანახავად კი არასოდეს ყოფილა წარმოდგენილი.

სომხეთმა, როგორც რუსეთის სტრატეგიულმა პარტნიორმა, რაკეტები უანგაროდ, მაგრამ პოლიტიკური მოთხოვნების საფასურად მიიღო.

ერევნიდან აღლუმების ესტაფეტა თვითაღიარებულ ყარაბაღს გადაეცა, სადაც 9 მაისს ქალაქ სტეფანაკერტში



სომეხი ჯარისკაცი რუსული „იგლათი“ აზერბაიჯანული საჰაერო სამიზნეების ჩამოგდებაში ვარჯიშობს

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუსული წარმოების სომხური С-300 ПМ აზერბაიჯანული თვითმფრინავების ჩამოგდებაზეა გათვლილი

არანაკლები მასშტაბის აღლუმი (სამამულო ომში გამარჯვების 67-ე წელი, ქალაქ შუშის აღების მე-20 წელი და ყარაბაღის არმიის შექმნის დღე) შედგა.

სტეფანაკერტის აღლუმზე „სკადებთან“ ერთად შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის რამდენიმე ისეთი ნიმუშიც ვიხილეთ, რომლებიც ადრე ერევანში იყო ნაჩვენები. ასეთი იყო ერევან-სტეფანაკერტის ერთობლივი პასუხი.

სტეფანაკერტის აღლუმის პარალელურად, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზისა და ადგილობრივი მარიონეტული ხელისუფლების ფორმირებებმა ცხინვალის ქუჩებში სამხედრო მსვლელობა ჩაატარეს.

26 მაისს კი ქუთაისმა პირველად უმასპინძლა ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ აღლუმს, რომელიც მეზობელი ქვეყნების ანალოგიური ღონისძიებებისგან განსხვავებით ბევრად მოკრძალებული იყო.

თუ ბაქოსა და ერევნის აღლუმები საბჭოთა-რუსული წარმოების სხვადასხვა დანიშნულების სარაკეტო სისტემითა და ჯავშანტექნიკით იყო დატვირთული, ქუთაისის საალუმო მსვლელობაში წამყვანი ადგილი ეროვნული სამხედრო მრეწველობის ნიმუშებმა დაიკავეს, რაც ყოველმხრივ მისასალმებელია.

ნებისმიერი სამხედრო აღლუმი, ძირითადად, სამხედრო ძლიერების დემონსტრირებასა და მოწინააღმდეგის დაშინებას ემსახურება, იმავდროულად, ამის უკან თითოეული ქვეყნის სამხედრო პოტენციალი და დაპირისპირებულ მხარეთა შორის არსებული სამხედრო ბალანსიც იკითხება.

ამ უკანასკნელის შემთხვევაში კი კარგად ჩანს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის წინასწარ გათვლილი სამხედრო პოლიტიკა, რომლითაც ის კავკასიის ქვეყნებს შორის სამხედრო პარიტეტის მისთვის სასურველ ფარგლებში შენარჩუნებას ცდილობს.

რუსეთმა სომხეთს გადასცა შემტევი საშუალებები — „სკადისა“ და „ტოჩკას“ ტიპის რაკეტები, ხოლო ბაქოს კი რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსი „ფავორიტის“ ორი დივიზიონი დაახლოებით 300 მლნ დოლარად მიჰყიდა.

ახლა მოსკოვი აზერბაიჯანს 360 მლნ დოლარად ღირებულ Ми-35М ტიპის 24 საბრძოლო შვეულმფრენებს აწ-

სომხური „სკადები“ აზერბაიჯანზეა დამიზნებული



ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა წარმოების, ოღონდ უკრაინის თავის დროზე აზერბაიჯანისთვის „ტოჩკა“ სომხეთს ემუქრება

ვდის და ცხადია, ის იმავდროულად თავისი სტრატეგიული მოკავშირის საჰაერო თავდაცვის გაძლიერებაზეც ფიქრობს.

ყოველ შემთხვევაში, ერთმა დასავლელმა სამხედრო ექსპერტმა ფრიად საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა: „აზერბაიჯანს ამ შვეულმფრენებით ყარაბაღის ნახევარი ტერიტორიის ნახევარ დღეში სომხებისგან გაწმენდა შეუძლია“. თუმცა, იმავე ექსპერტმა აღნიშნა, რომ რუსებმა შვეულმფრენები შესაძლოა ისეთი გადამწოდებით აღჭურვონ, რომლის სიგნალიც სომხურ საზენიტო რაკეტებს საფრენი აპარატებისკენ მიმართავს.

ამ კონტრაქტს ერევანი დუმილით შეხვდა და არ გააპროტესტა, ანუ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ამის შესახებ საქმის კურსშია და არ ეშინია; ან ერევანმა დიდი რაოდენობით ხელით გადასატანი საზენიტო სარაკეტო კომპლექსები მიიღო, რითაც მოსკოვმა დაპირისპირებულ მხარეთა შორის პარიტეტი შეინარჩუნა.

კიდევ ერთი საინტერესო მომენტი: 2011 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში ასტრახანთან მდებარე აშულიკის პოლიგონზე თანამეგობრობის წევრი ქვეყნების საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფებმა ერთობლივი სწავლება ჩაატარეს.

საბრძოლო სროლებში სომხეთის საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფებიც მონაწილეობდნენ და მათ საშუალება ჰქონდათ სხვადასხვა ტიპის საფრენი აპარატის ჩამოგდებაში ევარჯიშათ.

**იმავე სწავლებას დამკვირვებლის სტატუსით აზერბაიჯანელი სამხედროებიც ესწრებოდნენ და მათ საკუთარი თვალით ნახეს, თუ რას ნიშნავს რუსულ-სომხური საჰაერო თავდაცვა, რადგან სამიზნეთა შორის იყო МиГ-29, Су-24 და Су-25 ტიპის თვითმფრინავები. ზუსტად ისეთი, როგორიც აზერბაიჯანის სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაშია.**

გამორიცხული არ არის, მიმდინარე წელს აზერბაიჯანმა კიდევ უფრო გრანდიოზული აღლუმი ჩაატაროს. მით უფრო, რომ ქვეყნის შეიარაღებული ძალები სამხედრო ტექნიკის ახალი ნიმუშებით შეივსო.

ამ შემთხვევაში ოპონენტები, ალბათ, საპასუხო ნაბიჯს გადადგამენ.

*თემურ ჩაჩანიძე*



ბაქო სომხური „სკადებისგან“ თავის დაცვას რუსული С-300 ПМУ-2 Фаворит-ით აპირებს

# რუსული „კამაზი" იტალიურბორბლებიან ტანკებს ააწყობს?



## რუსეთის პოლიგონზე CENTAURO-ს ტიპის ჯავშანმანქანები გადიან გამოცდას, რის შემდეგაც მოსკოვმა შეიძლება იტალიური „კენტავრების" ლიცენზირებული წარმოება დაიწყოს

რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელობას ჯერ ის არ ჰქონდა მონელებული, რომ სამამულო „ტიგრების" ნაცვლად არმიამ იტალიური „ივეკოს" Lynx-ების ტიპის ჯავშანმანქანების ლიცენზირებული ვარიანტების შეძენა დაიწყო, რომ ახალი პრობლემის წინაშე დადგა.

ნოვოროსიისკის პორტში იტალიიდან გემმა ჩამოიტანა Centauro-ის ტიპის ორი ჯავშანმანქანა (აღჭურვილი 105 და 125 მმ კალიბრის ქვემეხებით), რომელთა კომპლექსური გამოცდა მოსკოვის ახლოს, პოლიგონზე უკვე დაიწყო.

იტალიური „კენტავრი", ფაქტობრივად, უნივერსალურბორბლებიანი შეჯავშნული შასია, რომლის ბაზაზეც შეიძლება, როგორც სხვადასხვა კალიბრის ქვემეხების, ისე ნაღმსატყორცნების დამონტაჟება.

ძნელი სათქმელია, რატომ დაინტერესდა რუსეთის არმიის გენერალიტეტი მაინცდამაინც ბორბლებიანი ტან-



Centauro-ს ვარიანტი — ქვეითთა საბრძოლო მანქანა Freccia 25 მმ-იანი ავტომატური ქვემეხით

ეროვნული ბიბლიოთეკა

კის შეძენით. როგორც წესი, ამ ტიპის საბრძოლო მანქანების შეჯავშნა არცთუ ისე მაღალი დონისაა, თუმცა მობილურობით გამოირჩევიან.

რუსი სამხედრო ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ იტალიური ბორბლებიანი ტანკები რუს გენერლებს შეიძლება მცირე შეიარაღებულ კონფლიქტებში დასჭირდეთ, დაახლოებით ისეთში, როგორიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი აგვისტოს ომი იყო, მაშინ რუსეთის მუხლუხებიან საბრძოლო ტექნიკას დიდი დრო დასჭირდა ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში შემოსაჭრელად, ბორბლებიანი ტანკები და ჯავშანმანქანები კი ამას უფრო სწრაფად შეძლებდნენ, — მიაჩნიათ რუს ექსპერტებს.

ექსპერტების ნაწილი კი არ გამორიცხავს, რომ ბორბლებიანი ჯავშანტექნიკა რუსეთის დღევანდელ ხელმძღვანელობას იმ მომავალი სახალხო საპროტესტო გამოსვლების ჩასახშობად დასჭირდეს, რომელიც რუსეთის ქალაქებში ნელ-ნელა ძალას იკრებს.

არის კიდევ ერთი და, ეტყობა, არცთუ უსაფუძვლო მოსაზრება. ისევე როგორც Lynx-ის ტიპის ჯავშანმანქანები, Centauro-ს ბორბლებიან ტანკებსაც ერთი იტალიური კონსორციუმი Societa Consortile — Iveco Fiat — Oto Melara აწარმოებს. რუსი ექსპერტების ვარაუდით, თავის დროზე, როდესაც რუსეთის პრემიერ-მინისტრი პუტინი, ხოლო იტალიის კი ბერლუსკონი იყო, მათ შორის გარიგება შედგა, რომლის უკან მრავალმილიონიანი „ოტკატების“ კორუფციული მექანიზმი იმალება.

სანამ რუსეთში არკვევენ, სჭირდებათ თუ არა იტალიური ბორბლებიანი ტანკები, რუსულ პოლიგონზე ისინი გამოცდას გადიან. გამოცდა სამი სახისაა — ლაბორატორიული, საგზაო და საცეცხლე. მათი წარმატებით დამთავრების შემდეგ, იტალიური Centauro-ს ლიცენზირებული წარმოება შეიძლება „კამაზის“ ქარხანამ დაიწყოს.

**ირაკლი ალადაშვილი**

**ჩვენი დოსიე:** 1984 წელს იტალიის არმიამ შეიარაღებაში მაღალმობილური, ბორბლებიანი ტანკების გამანადგურებლის მიღება მოინდომა, რომელსაც იგივე 105 მმ-იანი კალიბრის ქვემეხი ექნებოდა შეიარაღებაში, როგორც M60A1 და Leopard-1 ტიპის ძირითად საბრძოლო ტანკებს.

1991 წელს იტალიის არმიის შეიარაღებაში გამოჩნდა 8X8 ბორბლებიანი ფორმულის ჯავშანმანქანა, რომელსაც კოშკურაში დამონტაჟებული ჰქონდა 105 მმ-იანი ქვემეხი და ორი 7,62 მმ კალიბრის (მათგან ერთი საზენიტო) ტყვიამფრქვევი.

იტალიური ბორბლებიანი ტანკის ეკიპაჟი 4 კაცისგან (მეთაური, დამმიზნებელი, დამტენი და მძღოლ-მექანიკოსი) შედგებოდა. მისი სიგრძე 7,85 მ-ს, სიგანე 2,94 მ-ს, ხოლო სიმაღლე კი 2,73 მ-ს შეადგენს.

512 ცხ.ძ.-ის სიმძლავრის დიზელის ძრავა (რომელიც წინ, მარჯვნივ არის განთავსებული) და ავტომატური გადაცემათა კოლოფი 25-ტონიან „კენტავრს“ ასფალტირებულ გზაზე 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარების საშუალებას აძლევდა. საწვავის მარაგი საკმარისი იყო 800 კმ-ის დასაფარად.

ფოლადის შედუღებული ჯავშანკორპუსი იცავდა 14,5 მმ კალიბრის ტყვიებისგან, ხოლო „კენტავრის“ შუბლა ჯავშანი 25 მმ-იან ჭურვებსაც უძლებდა. დამატებითი ჯავშნის ჩამოკიდების შემთხვევაში 30 მმ-იანი ჭურვებისგან შეიძლებოდა თავდაცვა.

დღეისთვის იტალიის არმიის შეიარაღებაშია 400 Centauro-ს ბორბლებიანი ტანკის ვარიანტი, ასევე 249 ცალი Freeccia (იმავე ბაზაზე შექმნილი ქვეითთა საბრძოლო მანქანა, რომელიც 25 მმ-იანი ავტომატური ქვემეხითაა აღჭურვილი).

84 ცალი Centauro ესპანეთის არმიის განკარგულებაშია, ხოლო 9 ცალი — ომანის. 2000-2002 წლებში აშშ-ის არმია 16 იტალიურ „კენტავრს“ ცდიდა და მიღებული გამოცდილება „სტრაიკერების“ მოდერნიზაციაში გამოიყენა.



ესპანეთის არმიის შეიარაღებაში იტალიური წარმოების 84 ცალი ბორბლებიანი ტანკი Centauro-ა



რუსული БТР-80-ის ბაზაზე დამზადებული Нона-СВК-ა 120 მმ-იანი ნახევრად ავტომატური ქვემეხით



# შრი-ლანკა — როგორ უნდა მოგვარდეს 30-წლიანი კონფლიქტი




თამილ-ილამი შრი-ლანკის რუკაზე

შრი-ლანკა სამხრეთი აზიის ერთ-ერთი უძველესი კულტურის მქონე ქვეყანაა. ის ინდოსტანის ნახევარკუნძულის სამხრეთით, კუნძულ ცეილონზე მდებარეობს. ფართობით ოდნავ ჩამორჩება საქართველოს, თუმცა მოსახლეობის რაოდენობა 21 მლნ-ზე მეტია. ამიტომაც შრი-ლანკა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნად ითვლება. მისი ოფიციალური დედაქალაქია შრი-ჯაიავარდენეპურა, თუმცაღა დედაქალაქის ფუნქციებს უდიდესი ქალაქი კოლომბო უფრო ასრულებს.

ამ ქვეყანაში, ძირითადად, ორი ერი სახლობს — სინჰალელები, ანუ ლანკელები, და თამილები. მათ გარდა არიან ძველი ევროპელი კოლონისტების (ჰოლანდიელებისა და პორტუგალიელების) შთამომავლებიც, რომლებსაც „ბიურგერებს“ ეძახიან და აგრეთვე, არაბები, ანუ მავრები. კუნძულის ცენტრალური ნაწილის ჯუნგლებში ცხოვრობენ შავკანიანი ვედები, რომლებიც შრი-ლანკის უძველეს მოსახლეობად ითვლებიან.

სინჰალელები და თამილები კუნძულზე მეზობელი ინდოსტანის ნახევარკუნძულიდან გადმოვიდნენ. ამავე დროს სინჰალელები მთლიანად გადმოსახლდნენ იქ და თავიანთი სახელი „ლანკა“ ქვეყანასაც უწოდეს;

თამილები კუნძულზე სინჰალელებზე გაცილებით გვიან, შუა საუკუნეებში დასახლდნენ და ინდოეთთან კავშირი არ გაუწყვეტიათ. დღეს სინჰალელთა ხვედრითი წილი მოსახლეობის 75%-ს აღწევს, თამილები კი 18%-ს შეადგენენ. სინჰალელები ინდოარიული ხალხია, თამილები კი დრავიდული. განსხვავებულია მათი რელიგიაც — სინჰალელთა უმეტესობა ბუდისტია, თამილები კი ინდუისტები არიან. მიუხედავად ამისა, ორივე კულტურითა და ზნე-ჩვეულებებით საკმაოდ ახლოს დგას ერთმანეთთან.

1976 წლიდან შრი-ლანკის თამილები იარაღით უპირისპირდებოდნენ ხელისუფლებას და კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა სურდათ.

სეპარატისტთა იმედი შრი-ლანკის არმიამ 2009 წელს დაასამარა, როდესაც მათი პოზიციები ხელის ერთი დაკვრით გაანადგურა. გადარჩენილმა სეპარატისტებმა თავი ჯუნგლებს შეაფარეს და აქტიურობაც შეწყვიტეს. მაშინ ამ ყველაფერს საერთაშორისო ასპარეზზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ფაქტობრივად, შრი-ლანკამ ძალისმიერი მეთოდით საბოლოოდ გადაჭრა 30-წლიანი მწვავე კონფლიქტი, მსოფლიო ისტორიაში კი მსგავსი პრეცედენტები არცთუ ისე ხშირია.

## კრიზისის დასაწყისი: რა სურდათ „თამილ-ილამის გათავისუფლების ვეფხვებს“?

„თამილ-ილამი“ შუა საუკუნეებიდან შრი-ლანკის ჩრდილო ნაწილის არაოფიციალური სახელწოდებაა და „თამილების ახალათვისებულ მიწას“ ნიშნავს.

ინდოსტანის ნახევარკუნძულის სამ-

ხრეთში მდებარე თამილნადუს ქვეყნიდან კუნძულ ცეილონზე თამილები XVI საუკუნეში გადავიდნენ და დამკვიდრდნენ. ისინი მაშინ მონღოლ დამპყრობლებს გაექცნენ.

იმ დროისთვის ცეილონზე უკვე არსებობდა სინჰალური სახელმწიფო პოლონარუვა; სინჰალელები კუნძულზე ძვ. წ. VIII საუკუნეში ჩრდილო ინდოეთიდან გადასახლდნენ, თამილები კარგად მიიღეს და ჩრდილოეთის სანაპიროებზე დაასახლეს, ცეილონი რომ მოღოლთა შემოსევებისგან დაეცვათ.

XIX საუკუნის შუახანებამდე, სანამ ცეილონზე ინგლისელი კოლონიზატორები გამოჩნდებოდნენ, თამილებსა და სინჰალებს შორის ურთიერთობა მშვიდობიანი და ორმხრივ ხელსაყრელი იყო: თამილები სინჰალელ ფეოდალთა ჯარებში დაქირავებულ მებრძოლებად მიდიოდნენ და გვარიან გასამრჯელოსაც იღებდნენ. გარდა ამისა, ინდოეთთან ურთიერთობაშიც დიდ როლს ასრულებდნენ, რადგანაც მატერიკთან კვლავ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ. სინჰალელი ფეოდალებიც, რომლებიც ერთმანეთთან იყვნენ დაპირისპირებული, თამილ მეომრებს იყენებდნენ. თუმცაღა, როგორც ითქვა, თამილურ-სინჰალური კონფლიქტი კუნძულზე არასოდეს წარმოშობილა.

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან, როცა კუნძულზე ფეხი ინგლისელებმა მოიკიდეს, შრი-ლანკაზე „თამილური საკითხიც" ნელ-ნელა გამწვავდა, — ინგლისელთა წაქეზებით ჩრდილოეთში დასახლებულმა თამილებმა მათი საცხოვრისის ინდოეთთან მიერთება მოითხოვეს.

ამას სინჰალელთა პროტესტი მოჰყვა და ორ ერს შორის ურთიერთობა გაუარესდა. ცხადია, დაძაბულობით დიდმა ბრიტანეთმა ისარგებლა და მთელ კუნძულს დაეუფლა. სინჰალელები იძულებულნი გახდნენ, ისედაც შეკვეცილი თავიანთი უფლებები უფრო შეეკვეცათ და ინგლისელებს დამორჩილებოდნენ. ამაში კი სწორედ თამილები დაადანაშაულეს, თქვენ რომ უდროო დროს ხმაური არ აგეტეხათ, ინგლისელები თავზე ვერ დაგვასხდებოდნენო.

ინგლისელთა ბატონობის მთელ პერიოდში სინჰალელებსა და თამილებს შორის ურთიერთობას მშვიდობიანი აღარ ეთქმოდა, თუმცა სერიოზული შეტაკება არასოდეს მომხდარა, ვითარებას ბრიტანელები არეგულირებდნენ და დაძაბულობას სათავისოდ იყენებდნენ. ამიტომაც იყო, რომ ინდოეთიდან 1947 წელს წავიდნენ, შრი-ლანკამ კი ბრიტანეთის „მფარველობას" თავი 1971 წელს ძლივს დააღწია, — მაშინ საერთაშორისო საზოგადოებრიობის აქტიურობის გამო ლონდონმა უარი თქვა კუნძულზე და შრი-ლანკა დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა.



შრი-ლანკელი თამილების ლიდერი ველუპილაი პრაბჰაკარანი

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ რაღაც 5 წელი იყო გასული, როდესაც თამილებმა ჩრდილოეთში აჯანყება წამოიწყეს და თამილ-ილამის დამოუკიდებლობაც გამოაცხადეს. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტად თამილების ქარიზმატული ლიდერი ველუპილაი პრაბჰაკარანი აირჩიეს. თამილ-ილამი, ცხადია, არავის უცნია, მაგრამ შრი-ლანკის არმიამ სეპარატისტების განადგურება იმჟამად ვერ შეძლო, მხოლოდ შეავიწროვა.

1983 წელს ველუპილაი პრაბჰაკარანმა განაცხადა, რომ თამილები შრი-ლანკისგან საბოლოოდ გამოსაყოფად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ.

იმავე წელს თამილი ტერორისტები ქალაქ ჯაფნაში თავს დაესხნენ სამთავრობო არმიის ბაზას და 20 კაცი იმსხვერპლეს.

ასე დაიწყო „ილამის პირველი ომი", რომელიც 1987 წლამდე გრძელდებოდა. შრი-ლანკის ხელისუფლებამ ამ ომში გამარჯვება ვერ შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ თამილ სეპარატისტებს უკან დახევა აიძულა.

სწორედ მაშინ, როცა სამთავრობო ძალები გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლას აპირებდნენ, კონფლიქტში მეზობელი ინდოეთი ჩაერია და მხარეებს იარაღის დაყრისაკენ მოუწოდა. შრი-ლანკის მთავრობა იძულებული გახდა, ძლიერი მეზობლის თხოვნა-ულტიმატუმი შეესრულებინა.

1987 წელს შრი-ლანკაზე ინდოეთის შეიარაღებული ძალები შევიდნენ, რომელთაც სამშვიდობო მისია ჰქონდათ



ქალები „თამილ-ილამის გათავისუფლების ვეფხვების" წევრთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



„თამილ-ილამის გათავისუფლების ვეფხვები“ შრი-ლანკის ჯუნგლებში

დაკისრებული, მაგრამ საომარ მოქმედებებში ჩაერთვნენ და პრობლემები შეუქმნეს როგორც „თამილ-ილამის გათავისუფლების ვეფხვებს“, ისე შრი-ლანკის მთავრობასაც, რადგან ინდოელი ჯარისკაცები იარაღით არალეგალურად ვაჭრობდნენ და დიდძალ ფულსაც შოულობდნენ.

1990 წელს ინდოეთმა კუნძულიდან ჯარები გაიყვანა. შრი-ლანკის სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტებს შორის შეტაკებები განახლდა, დაიწყო „ილამის მეორე ომი“, რომელიც ოთხიოდე წელს გრძელდებოდა.

ამ დროს თამილი სეპარატისტები თვით ინდოეთშიაც გააქტიურდნენ, — მათ მოკლეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი რაჯივ განდი. ამიტომ შრი-ლანკის მთავრობას თამილ-ილამის „ვეფხვებთან“ ბრძოლა გაუადვილდა, — ინდოეთმა თამილების სეპარატისტული დაჯგუფებების მიმართ მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დაიკავა, რამაც საერთაშორისო საზოგადოებრიობაზეც დიდი გავლენა მოახდინა, — 1991 წელს მსოფლიოს 32-მა სახელმწიფომ (მათ შორის — აშშ-მაც) „თამილ-ილამის გათავისუფლების ვეფხვები“ ტერორისტულ ორგანიზაციად ცნო.

1995-2000 წლებში შრი-ლანკამ კიდევ ერთი, ამჯერად „ილამის მესამე ომი“ გადაიტანა. სამთავრობო ძალებმა ამ ომში წარმატებას კი მიაღწიეს, მაგრამ სეპარატისტთა ალაგმვა მაინც ვერ შეძლეს. მესამე ომის პერიოდში სამთავრობო სპეცრაზმმა გაანადგურა თამილთა ლიდერები, თუმცაღა ჩრდილოეთის სანაპიროებზე კონტროლი ვერ დაამყარა. თამილებმა ზავი მოითხოვეს, რაც 2002 წელს გაფორმდა კიდევაც, თუმცაღა 2006 წელს საომარი მოქმედებები ისევ განახლდა. ამჯერად სამთავრობო ძალებმა სეპარატისტთა განადგურება სამიოდ წელიწადში შეძლეს, მოკლეს თამილ-ილამის პრეზიდენტი ველუპილაი პრაბჰაკარანი, შეიარაღებული ძალების უფროსი ბალასინგამ ნადესანი და სხვა ლიდერები. ტყვედ აიყვანეს ათასობით სეპარატისტი და დაიკავეს მათი კონტროლირებადი ტერიტორია. „თამილ-ილამის რესპუბლიკამ“ არსებობა შეწყვიტა.

## კონფლიქტის საერთაშორისო ექო: „თამილებმა საინფორმაციო ომი წააგეს“

სამხრეთი აზიის ამ ერთ-ერთ მწვავე კონფლიქტში პირდაპირ თუ ირიბად ჩართული იყვნენ ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა ინდოეთი, მალაიზია, ტაილანდი, სინგაპური და ასე გასინჯეთ, ავსტრალიაც კი.

საქმე ის არის, რომ ამ ქვეყნებში თამილთა დიასპორა მეტად მრავალრიცხოვანია და მათ პოლიტიკაშიც სიტყვა ეთქმით. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს თამილური დიასპორა შრი-ლანკელ თამილებს თანაუგრძნობდა და ფინანსებსაც არ იშურებდა მათ გასამარჯვებლად, შრი-ლანკის მთავ-

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

რობამ ძალისმიერი მეთოდით წარმატებას მაინც მიაღწია.

ამის მიზეზი კი, როგორც დასავლური მასმედია აღნიშნავდა, რა თქმა უნდა, ინდოეთის პოზიციის ეტაპობრივი ცვლილება გახლდათ, — ოფიციალური დელი თავიდან თამილთა მიმართ აშკარად სიმპათიით იყო განწყობილი.

შემდგომ, როცა პრემიერ-მინისტრი რაჯივ განდი იმ ქვეყნად სწორედ თამილმა ტერორისტებმა გაისტუმრეს, ინდოეთის მესვეურებმა შრი-ლანკელი თამილებისადმი მიდგომაც შეცვალეს, რამაც შრი-ლანკის მთავრობას გადამწყვეტი ქმედებების შესაძლებლობა მისცა.

ძნელი სათქმელია, როგორ წარიმართებოდა შრი-ლანკის კონფლიქტი, დელის რომ ძველი პოზიცია შეენარჩუნებინა და „თამილ-ილამის გათავისუფლების ვეფხვების“ რიგებში ინდოეთის მოქალაქეთა გაწევრებაზე ან ინდოეთიდან დაფინანსებაზე თვალი უწინდებურად დაეხუჭა.

„აღსანიშნავია, რომ ინდოეთში 1991 წლამდე ყველას ეგონა, თითქოს შრი-ლანკის თამილები პროინდურად იყვნენ განწყობილი და როგორც ბრიტანეთის მმართველობის დროს ამჟამადაც ინდოეთთან შეერთებას ითხოვდნენ... მოვლენათა განვითარებამ ამის საწინააღმდეგო რამ დაამტკიცა, — დელის რომ შრი-ლანკის მთავრობისთვის მხარი არ დაეჭირა, თავის ტერიტორიაზევე მიიღებდა დიდ სისხლის ღვრას“, — ასე განაცხადა 2009 წელს ავსტრალიელმა ექსპერტმა საერთაშორისო საკითხებში ჯეკ დოუსონმა. მისივე თქმით, თამილები საინფორმაციო ომს მაღალ დონეზე აწარმოებდნენ, მაგრამ წააგეს, რადგან ჯერ ერთი, სიმართლე მათ მხარეს არ იყო და მეორეც — შრი-ლანკაში ომზე უარი არავის უთქვამს: „მთავრობამ სეპარატისტების მიერ თავს მოხვეულ ომს კარგად გაართვა თავი და უკან არც კი დაუხევია. ამავე დროს, საერთაშორისო ვითარება უცებვე შეიცვალა და თამილები განწირული აღმოჩნდნენ“, — განუცხადა დოუსონმა ამერიკულ გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმზს“ 2009 წელს.

სხვათა შორის, შრი-ლანკის კონფლიქტის ჩაქრობაში დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ ოფიციალურმა კოლომბომ თამილებით დასახლებულ ჩრდილოეთის რაიონების კეთილმოსაწყობად და იქაურების ადგილზევე დასასაქმებლად სახსრები არ დაიშურა და „თამილთა გათავისუფლების ვეფხვების“ ყოფილ მებრძოლებს, მათ, ვისაც ომი აღარ სურდათ და მთავრობას თავისი ნებით ჩაჰბარდნენ, პასუხისმგებლობა მოუხსნა. ამით შრი-ლანკის მთავრობამ ორი კურდღელი დაიჭირა: სეპარატიზმს საფუძველი შეურყია და თამილთა ნდობაც მოიპოვა. პარალელურად, ტერორისტ „ვეფხვთა“ განადგურებით თამილურ მოსახლეობაში პოზიცია გაიმყარა. კონფლიქტის მოგვარებამ ხელი შეუწყო იმ საკითხების გადაჭრასაც, რაც ინდოეთ-შრი-ლანკის ურთიერთობაში პრობლემურად ითვლებოდა.



თამილი ბავშვები ამიერიდან შრი-ლანკელ პატრიოტებად იზრდებიან

**ქვეყნები, რომლებსაც ნახევრად ლეგალური ურთიერთობა ჰქონდათ „თამილ-ილამის რესპუბლიკასთან“:**
ინდოეთი, ინდონეზია, მავრიკი, მალაიზია, მალდივის კუნძულები, ტაილანდი, ფილიპინები, ფიჯი.

*მიხეილ ლაბაძე*


შრი-ლანკის სამთავრობო ჯარების მებრძოლი

არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# Canadair CL-415 Filling




# ბრიტანული ჯავშანტექნიკა

## თანამედროვე მუხლუხებიანი ჯავშანმანქანები

1920-იანი წლების ბოლოს Vickers-Armstrongs-ისთვის პრიორიტეტული ტანკეტების პროექტირება-დამზადება იყო, მაგრამ გავიდა რამდენიმე წელი, მისი უპერსპექტივობა სრულად გამოჩნდა და სამხედრო სამინისტრომაც ტანკეტების შესყიდვები შეაჩერა.

ბოლო მოდელის ტანკეტი Carden-Loyd MkVI-ც კი საბრძოლო საშუალებად აღარ განიხილებოდა და არმიაში დამხმარე დანიშნულებით, ტყვიამფრქვევების გადასატანად იყენებდნენ.

მიუხედავად ამისა, „ვიკერსში“ მიაჩნდათ, რომ ტანკეტის, როგორც სამხედრო მანქანის, კონსტრუქციული შესაძლებლობები სრულად ამოწურული არ იყო.

იმ შემთხვევაში, თუ ჯავშანკორპუსი ბრძოლის ველზე დაკვირვების საშუალებებით აღიჭურვებოდა და ტყვიამფრქვევი საცეცხლე მხარდამჭერის ფუნქციებს შეიძენდა, მაშინ ეკიპაჟი თავს ბევრად დაცულად იგრძნობდა და მანქანის საბრძოლო ღირებულებაც მოიმატებდა.

საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებიც ამ ამოცანის გადაწყვეტისკენ წარიმართა და ამისათვის მსუბუქი, 3-ტონიანი საარტილერიო გამწის Light Dragon MkIII-ის სავალი ნაწილი შეირჩა.

1934-36 წლებში, რამდენიმე საცდელი ნიმუშის დამზადების შემდეგ, 1937 წელს „ვიკერსმა“ მომავალი ჯავშანტრანსპორტიორი Carrier Machine Gun N2 MkI წარმოადგინა.

ოთხკუთხედი თავლია კორპუსის წინა ნაწილში ძრავა-ტრანსმისია, შუაში — მართვის განყოფილება და ბოლოში კი სატრანსპორტო ნაკვეთური მოთავსდა.

მართვის განყოფილებაში წინა მარჯვენა ადგილი — მძღოლ-მექანიკოსმა და მარცხენა კი მეთაურმა დაიკავა, ხოლო ეკიპაჟის მესამე წევრისთვის უკანა დაჯავშნული ნაკვეთური იყო განკუთვნილი.

1938 წლისთვის ჯავშანტრანსპორტიორის კონსტრუქცია უფრო დაიხვეწა, შეიარაღებაში მსუბუქი ტყვიამფრქვევი Bren-ი დაემატა და სერიული წარმოებაც დაიწყო.

შეკვეთა 5 კომპანიაზე გადანაწილდა და სახაზო მანქანებთან ერთად მზადდებოდა მექანიზებული საკავალერიო პოლკებისთვის განკუთვნილი მოდელი (Cavalry Carrier MkI), ასევე სადაზვერვო (Scout Carrier MkI) ჯავშანტრანსპორტიორები.

Universal Carrier MkI: მასა — 4,5 ტ, ეკიპაჟი — 2 კაცი, დესანტი — 3-4 კაცი, ჯავშანი — 4-10 მმ, კარბურატორიანი ძრავა 60-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 48 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 225 კმ, შეიარაღება — 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი ან 14 მმ-იანი ტანკსაწინააღმდეგო თოფი



თითოეულმა კომპანიამ კონსტრუქციაში ცვლილებები შეიტანა, რის გამოც მრავალრიცხოვანი მოდიფიკაციის წარმოება ეკონომიკურად აღარ ამართლებდა.

1940 წლისთვის კონსტრუქციის ერთიან მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა მოხერხდა და ჯავშანტრანსპორტიორმა სახელად Universal-ი მიიღო.

„უნივერსალი" დასახელებას სრულად შეესაბამებოდა. მისი დანიშნულება იყო ქვეითების გადაყვანა (Bren Carrier MkI/MkII) და საბრძოლო მასალების ტრანსპორტირება, საარტილერიო გამწევის, სადაზვერვო მანქანის, საარტილერიო დაკვირვების მანქანისა (AOP Carrier MkI/MkII) და კიდევ სხვა დანიშნულებათა შესრულება.

1943 წელს „უნივერსალის" შასიზე საინტერესო კონსტრუქციის საბრძოლო მანქანა Praying Mantis-ი აიგო.

ჯავშანტრანსპორტიორის სტანდარტულ შასიზე დაყენებულ კოლოფისებრ დაჯავშნულ ორ კოჭს შუაში ორი ტყვიამფრქვევით აღჭურვილი საბრძოლო მოდული ჰქონდა და მასში მსროლელი მწოლიარე მდგომარეობაში იყო.

ჰიდროამძრავების დახმარებით საბრძოლო მოდული 3,35 მ სიმაღლეზე იწევდა და მსროლელს დიდი კუთხით დამიზნებით ეფექტური ცეცხლის წარმოება შეეძლო.


„უნივერსალის" შასზე დამზადებული საბრძოლო მანქანა Praying Mantis-ი

წარმოებასა და ექსპლუატაციაში მარტივ „უნივერსალს" ბრიტანეთის თანამეგობრობის შემავალი ქვეყნებიც აშზადებდნენ. კანადა — Universal Carrier MkI-ს (C0IUC), ავსტრალია — MG Carrier-ს (LP №1, 2, 2A), აშშ — Universal Carrier T16-სა და ახალი ზელანდია — LPN1/LPN2-ს უშვებდა.

სხვადასხვა ქვეყანაში დამზადებულ „უნივერსალებს" შორის მცირე განსხვავება კონსტრუქციასა და ტექნოლოგიებში იყო. მაგალითად, ბრიტანეთში ჯავშანტრანსპორტიორის კორპუსი მოქლონებით, ავსტრალიაში — ელექტროშედუღებით, კანადაში კი ორივე საშუალების გამოყენებით მზადდებოდა.

კანადური „უნივერსალების" ზოგიერთი მოდელი 76 მმ-იან ნაღმსატყორცნსა და 42 მმ-იან ტანკსაწინააღმდეგო


FV432 Trojan: მასა — 15,3 ტ, ეკიპაჟი — 2 კაცი, დესანტი — 10 კაცი, ჯავშანი მაქსიმალური — 16 მმ, დიზელის ძრავა 240-ცხ. ძალიანი, შეიარაღება — 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

ეროვნული ბიბლიოთეკა




FV510 Warior: სრული მასა — 25 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, დესანტი — 7 კაცი, დიზელის ძრავა 550-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 35-75 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 660 კმ, შეიარაღება — 30 მმ-იანი ქვემეხი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

ქვემეხს ატარებდა, ხოლო Wasp-ზე კი ცეცხლსატყორცნი საშუალებები იყო დაყენებული და ცეცხლს 50-60 მეტრზე გატყორცნიდა.

1935 წელს ავიაკატასტროფაში დაიღუპა ცნობილი გამომგონებელი სერ ჯონ კარდენი და კომპანიის აქციონერებმა „ვიკერს-არმსტრონგიდან" გამოსვლისა და დამოუკიდებელი კომპანია Vivian Loyd & Co-ს შექმნა გადაწყვიტეს.

ახალი კომპანიის მუშაობის სფერო ავტომობილ „ფორდის" აგრეგატების საფუძველზე მუხლუხებიანი პატარა მანქანების წარმოებას მოიცავდა.

1940 წელს კომპანიამ პირველი მოდელი — Loyd Carrier-ი ააწყო და ამისთვის Fordson-ის სატვირთო ავტომობილის (4X2) ძრავა, რადიატორი და გადაცემათა კოლოფი გამოიყენა.

„ლოიდის" ჯავშანტრანსპორტიორის სავალი ნაწილი ორ წყვილ ურიკად შეკრული 4 საყრდენი საგორავისა („უნივერსალს" 3 საყრდენი საგორავი ჰქონდა) და 2 დამჭერი გორგოლაჭისგან შედგებოდა.

„ლოიდი" სიგრძეშიც „უნივერსალზე" (სიგრძე 3657 მმ) თითქმის 50 სმ-ით მეტი იყო.

უიარაღო „ლოიდის" ერთადერთ მოვალეობას ქვეითების, მსუბუქი საველე ქვემეხებისა და საბრძოლო მასალების ტრანსპორტირება წარმოადგენდა.

ჩრდ. აფრიკის უდაბნოს ბრძოლებში „ლოიდის" მანქანებმა, როგორც დაჯავშნულმა სატრანსპორტო საშუალებამ გაამართლა და არმიაში მასზე მოთხოვნამ მოიმატა.

„ლოიდების" წარმოებას კანადაც შეუდგა, სადაც ლიცენზიით ჯავშანტრანსპორტიორის Windsor Carrier MkI (C49WC) ვერსია მზადდებოდა.

ომის დასრულებამდე ყველა ქვეყანამ „უნივერსალის" საფუძველზე სხვადასხვა მოდიფიკაციის 90 ათასზე მეტი ჯავშანტრანსპორტიორი გამოუშვა და მათ შორის დაახლოებით 57 ათასი ბრიტანეთზე მოდის.

1944 წელს დასრულდა „უნივერსალის" მოდერნიზებული ვერსიის CT20 Oxford-ის აგება.

„ოქსფორდში" ძრავის კორპუსის წინა ნაწილში გადმოტანით უკანა სივრცე თითქმის მთლიანად გამოთავისუფლდა და ტევადობაც გაიზარდა, თუმცა კორპუსი ისევ თავღია დარჩა და უამინდობისას ეკიპაჟი ბრეზენტის შალითის ამარა იყო დარჩენილი.

შეიარაღება გათვალისწინებული არ იყო და ძირითად დანიშნულებად ისევ საარტილერიო გამწის მოვალეობა დარჩა.

1953 წლიდან დაიწყო თავღია მუხლუხა ჯავშანტრანსპორტიორთა ბოლო წარმომადგენლის — FV401 Cambridge-ის სერიული წარმოება.

„კემბრიჯს" სპეციალურად შექმნილი შასი ჰქონდა და კორპუსში ჩასხდომა-გადმოსხდომის გასაადვილებლად გადასაწევი ბორტებით იყო აღჭურვილი.

1,8 მ-მდე სიღრმის წყლის დაბრკოლებებს საკუთარი სვლით სძლევდა და კორპუსის წყლის მოხვედრისგან დასაცავად ბრეზენტის გადასაწევი შალითით იყო აღჭურვილი.

„კემბრიჯის" ბაზაზე შეიქმნა სამეთაურო მანქანა (FV402), საარტილერიო გამწე (FV403) და სხვა ტექნიკა.

ომის შემდგომ პირველი თაობის ყველა ჯავშანტრასპორტიორი ტევადობითა თუ დაცულობით დროის მოთხოვნებს უკვე აღარ პასუხობდა. საჭირო იყო მთლიანად დახურულკორპუსიანი დაჯავშნული მანქანა, რომელიც იმავდროულად სხვადასხვა სახის მსუბუქი ჯავშანტექნიკის შესაქმნელი ბაზის დანიშნულებასაც შეასრულებდა.

1960 წელს დასრულდა უნივერსალური დაჯავშნული პლატფორმა FV430-ის აგება ახალი სავალი ნაწილით, რომლის თითოეული მხარე ხუთ-ხუთი საყრდენი საგორავისა და მუხლუხების დამჭერი ორ-ორი გორგოლაჭისგან შედგებოდა. ყველა საყრდენი საგორავი ინდივიდუალური ტორსიონული დაკიდებით იყო აღჭურვილი.

მოთხოვნების შესაბამისად, FV430 გათვლილი იყო ჯავშანტრანსპორტიორების, თვითმავალი საარტილერიო დანადგარების, ტექნიკური მომსახურების მანქანების, კავშირის მობილური საშუალებებისა და სხვა საბრძოლო თუ არასაბრძოლო მანქანების დასამზადებლად.

1963 წლიდან დაიწყო ამერიკული M113-ის ბრიტანული ანალოგის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

FV430-ის საფუძველზე დამზადებული ჯავშანტრანსპორტიორ FV432 Trojan-ის სერიული წარმოება.

„ტროუჯენში“ მართვის ორგანოები ჯავშანკორპუსის წინა ნაწილში მარჯვნივ იყო, ხოლო მარცხენა კი ძრავა-ტრანსმისიას ჰქონდა დაკავებული.

ალუმინის შენადნობისგან დამზადებული ჰერმეტული კორპუსი დროის სიახლით ჰაერის ფილტრაციისა და შემათბობელ-გამმაგრებელი მოწყობილობით იყო აღჭურვილი, ხოლო შესაბამისი აღჭურვილობის დაყენების შემთხვევაში „ტროუჯენს“ წყლის დაბრკოლებათა დაძლევაც შეეძლო.

ჯავშანტრანსპორტიორის სერიული წარმოება 1971 წელს შეწყდა და გამოშვებული სხვადასხვა მოდიფიკაციის მანქანის საერთო რაოდენობამ 3 ათასი შეადგინა.

1969-71 წლებში საბრძოლო მანქანების კვლევებისა და პროექტირების სამმართველოში „ტროუჯენის“ შემცვლელ მანქანაზე ტექნიკური დავალება მომზადდა, რომელიც დიზელის ძრავის, 30 მმ-იანი ქვემეხისა და მრავალშრიანი ჯავშნის Chobham-ის გამოყენებას მოითხოვდა.

ამ მოთხოვნებმა საბრძოლო მანქანის ღირებულება გაზარდა და ამის გამოც უარი ითქვა, თუმცა შასი მაინც გამოიცადა.

1972 წელს გამოცხადდა ქვეითთა საბრძოლო მანქანის პროექტზე (MCV-80) მუშაობის დაწყება და ძირითად მენარდედ კომპანია GKN Sankey შეირჩა.

მომავალი საბრძოლო მანქანისთვის წინ წამოიწია ძვრადობამ, შემდეგ მოდიოდა დაცულობა და საცეცხლე ძალა.

წინასერიულმა 12-მა მანქანამ რთული და მრავალმხრივი გამოცდა გაიარა, — 200 ათასი კმ გარბენი სხვადასხვა სახის გზებსა თუ უგზოობის პირობებში შესრულდა, შემოწმდა ჯავშანკორპუსზე საცეცხლე საშუალებათა ზემოქმედება და მისი შედეგები, დისტანციურად მართვადი მანქანა კი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმის აფეთქებაზე გამოიცადა.

გარდა ამისა, ორი მანქანა გამოცდას ახლო აღმოსავლეთში და ოთხი კი დასავლეთ გერმანიაში სწავლებებზე გადიოდა.

1981 წელს სამხედრო სამინისტრომ წარმოებას 1053 ცალი MCV-80 შეუკვეთა, საიდანაც 602 ცალი ავტომატური 30 მმ-იანი ქვემეხით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი.

პირველმა ბრიტანულმა ქვეითთა საბრძოლო მანქანამ სახელი FV510 Warior-ი მიიღო და 1986 წლის იანვარში კონვეიერიდან პირველი სერიული მანქანები ჩამოვიდა.

„უორიორში“ კორპუსის წინა მარჯვენა ნაწილში ძრავა-ტრანსმისია, მარცხენაში კი მძღოლ-მექანიკოსია განთავსებული.

შუა ნაწილი ორადგილიან საბრძოლო კოშკურას და უკანა კი მთლიანად სადესანტო განყოფილებას აქვს დათმობილი, სადაც სამი-ოთხი მედესანტე ერთმანეთის პირისპირ, სახით სხდება.

ჩასხდომა-გადმოსხდომის გასაადვილებლად ბორტებს სპეციალურად ამბრაზურები არ დაუტოვეს და სანაცვლოდ კიჩოში ფართო კარი ჩაუყენეს.

სავალი ნაწილის ბორტები რეზინის ეკრანებით არის დაცული, ხოლო ალუმინ-მაგნიუმ-თუთიის შენადნობისგან დამზადებული კორპუსი 14,5 მმ-იანი ტყვიებისა და 155 მმ-იანი ჭურვების ნამსხვრევისგან დაცვაზეა გათვლილი.

„უორიორების“ საბრძოლო ნათლობა 1991 წელს სპარსეთის ყურეში შედგა, სადაც ექვსი მოდიფიკაციის 300 საბრძოლო მანქანა გამოიცადა.

საბრძოლო მოქმედებათა დაწყებამდე ყველა „უორიორის“ თითოეული ბორტი პასიური დაცვის „ჩობჰემის“ ექვს-ექვსი ჯავშანპანელით შეიმოსა, რომელსაც ეკიპაჟები საარტილერიო ჭურვების მსხვილი ნამსხვრევებისა და РПГ-7-ის ჭურვებისგან უნდა დაეცვა.

ჯავშანპანელებზე ზევიდან ჩამოკიდებული იყო კალათები სამარჯვებითა და ინსტრუმენტებით, წყლიანი კანისტრები და სათადარიგო ტრაქები, რაც ჯავშანდაცვას აძლიერებდა.

ამ ცვლილებების შემდეგ წონამ 2,5 ტ-მდე მოიმატა, მაგრამ ძრავის სიმძლავრის მარაგი წონის მომატებას კომპენსირებას მაინც უკეთებდა. ამ-

FV107 Scimitar: მასა — 7,8 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, კარბურატორიანი ძრავა 195-ცხ.ძალიანი, სიჩქარე ხმელეთზე/წყალში — 87/6,4 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი ხმელეთზე — 640 კმ, შეიარაღება — 30 მმ-იანი ქვემეხი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი



გვარ გადაკეთება-აღჭურვას ეკიპაჟი საკუთარი ძალებით დაახლოებით 2-4 სთ-ს ანდომებდა.

გარდა ამისა, ყველა „უორიორი“ თანამგზავრული ნავიგაციის სისტემით იყო აღჭურვილი, ხოლო მეწინავე მანქანები განიერი თხრილების დასაძლევად წვრილი დიამეტრის პლასტმასის მილების კონებს ატარებდნენ.

სპარსეთის ყურეში ჯერ კიდევ საბრძოლო მოქმედებათა დაწყებამდე აღმოჩნდა, რომ საწვავის გამჭვირვალე ავზები მედესანტეებში ზღვის ავადმყოფობისმაგვარ შეგრძნებას იწვევდა. და ბევრმა ეკიპაჟმა ამის გამო ავზები შეღება.

ამგვარად მოდერნიზებულ ქვეითთა საბრძოლო მანქანებს სახელად Warrior Desert Storm-ი დაერქვა.

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ „უორიორები“ მორიგ მოდერნიზაციას გაივლიან და ორ სიბრტყეში სტაბილიზებული 40 მმ-იანი ქვემეხით აღიჭურვებიან, ხოლო კორპუსზე თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებული ჯავშნის დასამაგრებელი ახალი სისტემა დამონტაჟდება.

ამის შემდეგ „უორიორების“ ექსპლუატაცია სულ მცირე კიდევ 30 წლით გახანგრძლივდება.

ერაყისა და ავღანეთის ომებმა მსუბუქ ჯავშანტექნიკაზე მოთხოვნები გაზარდა და თანაც ამ ომების თავისებურებებმა ბრიტანული ჯავშანტექნიკა სრულიად ახალი სირთულეების წინაშე დააყენა.

პრობლემის დასაძლევად სამხედრო სამინისტრომ გამოსავალი FV430 სერიის ძველი ჯავშანტრანსპორტიორების მოდერნიზაციაში მონახა.

მოდერნიზებული მანქანების FV430 Mk3 Bulldog-ების ბორტები სამ-სამი ჯავშანპანელითა და კორპუსის წინა ნაწილში მძღოლ-მექანიკოსის მხარე ჯავშანფილებით დაიფარა, ხოლო შუბლის მარცხენა ნაწილს კი დამცავი მესერი დაემატა. ჯავშნით სავალი ნაწილის ზედა მხარეც არის დაფარული.

თვითნაკეთ ფეთქებად საშუალებებზე ზემოქმედებისთვის ყველა „ბულდოგი“ დამცავი ელექტრონული სისტემებით აღიჭურვა. შეიცვალა ძრავა-ტრანსმისია და ამის ხარჯზე გაუმჯობესდა გამავლობა, მოიმატა მაქსიმალურმა სიჩქარემ, სვლის მარაგმა და საიმედოობამ.

საჰაერო-სადესანტო ჯარებისა და სადაზვერვო ქვედანაყოფების საცეცხლე შესაძლებლობათა გასაძლიერებლად 1978 წლიდან ბრიტანეთის არმიის შეიარაღებაში Scorpion-ის ტიპის მსუბუქი ტანკის ბაზაზე შექმნილი მცურავი ჯავშანტრანსპორტიორი FV103 Spartan-ი შევიდა.

„სკორპიონის“ ძრავის განყოფილების დამოკლებითა და სანაცვლოდ სიმაღლეში მომატებით ტანკის უკანა ნაწილში ოთხი მედესანტის მოსათავსებელი სივრცე შეიქმნა.

საშტატო ტყვიამფრქვევის გარდა, პატარა კოშკურა სხვადასხვა სახის მსუბუქი შეიარაღების დაყენებაზეა გათვლილი.

არმიულ სამსახურს განაგრძობს ასევე „სკორპიონის“ საფუძველზე შექმნილი საბრძოლო სადაზვერვო მანქანა FV107 Scimiter-ი. ტანკისგან მას მხოლოდ შეიარაღება (30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი და შეწყვილებული 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი) განასხვავებს.

ხანდაზმულობის მიუხედავად, ბრიტანული წარმოების მუხლუხებიანი მსუბუქი ჯავშანტექნიკა თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამება და ინგლისელი სამხედროები ცხელ წერტილებში იყენებენ.

**თემურ ჩაჩანიძე**





# თავდასხმა მეჰრანის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე

2011 წლის 22 მაისს პაკისტანის დედაქალაქ ყარაჩის მახლობლად მდებარე სამხედრო-საზღვაო ძალების ავიაბაზას თავს დაესხა ბოევიკთა ჯგუფი. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ისლამურმა ორგანიზაცია „თეჰრიკ-ე-თალიბან პაკისტანმა“ იკისრა.

ეს არ იყო ქვეყნის სამხედრო ობიექტებზე ისლამისტების პირველი თავდასხმა, თუმცა ბოლო შემთხვევა სპეციალისტთა შეფასებით 1971 წლის შემდეგ ყველა ადრინდელზე ბევრად უკეთ იყო ორგანიზებული.

უფრო მეტიც, ტერორისტთა სალიკვიდაციო მოქმედებები პაკისტანის ფლოტის საგანგებო სამსახურის Special Service Group Navy – SSG (N)-ის ისტორიაში ყველაზე მსხვილმასშტაბიანი ოპერაცია აღმოჩნდა.

ფლოტის საგანგებო სამსახურს უკანასკნელი მსგავსი ოპერაცია, კოდური სახელწოდებით „ჯეკპოტი“, 1971 წელს ჰქონდა ჩატარებული.

## დანაშაულებრივი გულგრილობა

უსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციის ცნობის გამოქვეყნებიდან რამდენიმე საათი იყო გასული, როცა „ალ-ქაიდამ“ თავისი საინფორმაციო არხებით განაცხადა, რომ ლიდერის მკვლელობისთვის შურს იძიებდა და პაკისტანის სამხედრო ობიექტებს თავს დაესხმოდა.

მუქარა მალე აასრულეს ჯერ პოლიციის გასამხედროებული ქვედანაყოფების მომზადების ცენტრს, ხოლო შემდეგ კი აშშ-ის კონსულის ავტომანქანას დაესხნენ თავს.

რამდენიმე თვეში თვითმკვლელთა მოწყობილ ტერაქტებს 80 უდანაშაულო კაცის სიცოცხლე შეეწირა.

პაკისტანში ისლამისტი ტერორისტების გააქტიურების მხოლოდ ბინ ლადენის მკვლელობასთან დაკავშირება მართებული არ იქნებოდა. 2011 წლიდან პაკისტანის სამხედრო-საზღვაო ძალების დაზვერვის სამსახურმა ორჯერ გააფრთხილა სარდლობა, რომ „თეჰრიკ-ე-თალიბან პაკისტანი“ ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების ობიექტებზე თავდასხმას აპირებდა.

არსებობდა ინფორმაცია, რომ ტერაქტი კარაჩიში 2011 წლის იანვრისთვის იგეგმებოდა. სწორედ მაშინ დააპატიმრა საზღვაო პოლიციამ ყოფილი საზღვაო ქვეითი თალიბანის თანაგრძნობისთვის. მან აღიარა, რომ აპირებდნენ თავდასხმებს ნავთობგადამმუშავებელ ქარხნებზე, სამხედრო-საზღვაო ძალების მეჰრანის ავიაბაზასა და საზღვაო-საინჟინრო შეიარაღების დირექტორატზე.

როგორც ვხედავთ, ამ ტერორისტულ გეგმებსა და ბინ ლადენის მკვლელობას ერთმანეთთან კავშირი არა აქვს. ამ დროს ხომ ტერორისტების ლიდერი მშვიდად ცხოვრობდა თავის ვილაში აბათაბადში.

მიზეზი სხვა იყო. საქმე ის არის, რომ პაკისტანის სამხედრო-საზღვაო ფლოტი და ფლოტის საგანგებო სამსახური თალიბების გასანადგურებელ ოპერაციებში Path to Salvation-სა („ხსნის გზა“) და Black Thunderstorm-ში („შავი წვიმა“) აქტიურად მონაწილეობდა.

ფლოტის დაზვერვისთვის ცნობილი შეიქნა, რომ დაპატიმრებული საზღვაო ქვეითი სამხრეთ ვაზირისტანში მცხოვრებ მასჰუდის ტომთან იყო დაკავშირებული.

ეს მებრძოლი ტომი თალიბანის მოძრაობას მხარს უჭერს და პაკისტანის ხელისუფლებას მედგარ წინააღმდეგობას უწევს.

დაინტერესებულმა მხარეებმა ინფორმაცია შესაძლო თავდასხმის შესახებ დროულად მიიღეს, თუმცა ამას ადეკვატური მოქმედება არ მოჰყოლია.

აპრილის ბოლოს პაკისტანის სამხედრო-საზღვაო ძალებს კარაჩის სხვადასხვა რაიონში უცნობი ტერორისტები თავს ორჯერ დაესხნენ.

ეროვნული



ფლოტის სპეცდანიშნულების მებრძოლები გემის აბორდაჟის ელემენტებს ამუშავებენ

პირველი თავდასხმისას, 2011 წლის 21 აპრილს, ტერორისტებმა ფლოტის პერსონალით სავსე ორი სამგზავრო ავტობუსი ააფეთქეს.

მეორე შემთხვევის დროს, 28 აპრილს, თავდასხმის ობიექტი სამხედრო-საზღვაო ფლოტის საკაბოტაჟე ხომალდი აღმოჩნდა.

ტერაქტების შედეგად სამედიცინო სამსახურისა და ფლოტის 12 მოსამსახურე დაიღუპა.

მიუხედავად ამისა, სამხედრო ბაზის ხელმძღვანელობამ დაცვის გასაძლიერებლად პრევენციული ზომები არ მიიღო, ხოლო ტერორისტებს კი საჭირო ინფორმაციის შეგროვებისა და თავდასხმის მომზადებისთვის კარგი პირობა შეექმნათ.

## თავდასხმის ობიექტი

ავიაბაზა „მეჰრანი“ 1975 წლის 26 სექტემბერს გაიხსნა. იგი კარაჩის საერთაშორისო აეროპორტ „ყაიდ-ი-აზარიდან“ 10 კმ-ით არის დაშორებული.

ეს ჩვეულებრივი ავიაბაზა არ არის. აქ განთავსებულია პაკისტანის სამხედრო-საზღვაო ავიაციისა და ფლოტის საჰაერო შეიარაღების სარდლობები და სამსახურს გადის პაკისტანის საზღვაო ავიაციის სამეთაურო შემადგენლობის რამდენიმე უმაღლესი ოფიცერი. აქვეა დისლოცირებული ხუთი საავიაციო ესკადრილია, რომელთა შემადგენლობაში თვითმფრინავები, ჰიდროთვითმფრინავები და შვეულმფრენები შედიან, ასევე, საზღვაო ავიაციის 28-ე ესკადრილიის ორი მზვერავი თვითმფრინავი P-3C Orion-ი, რომლებიც 2010 წლის აპრილში აშშ-მა პაკისტანს გადასცა.

„ორიონები“ აღჭურვილია აკუსტიკური ტივტივებიდან სიგნალების მიღება-დამუშავების მოწყობილობით. მასზე დამონტაჟებულია რადიოელექტრონული დაზვერვის გაუმჯობესებული მოწყობილობები, დამატებითი რადარი და „უხმაურო“ წყალქვეშა ნავების აღმომჩენი გადამწოდები.

თვითმფრინავს შეუძლია ერთიან საბრძოლო მოქმედებათა ინტეგრირებულ სქემაში მოქმედება, როგორც საკუთარ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე რადიოელექტრონული დაზვერვის სხვა წყაროების გამოყენებით.

თვითმფრინავს მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების აღმოჩენასთან ერთად მისი განადგურების საშუალებებიც აქვს.

„ორიონის“ შეიარაღებაში შედის 9000 კგ საერთო წონის ნაღმები, სიღრმის ბომბები, ტორპედოები და რაკეტები.

პაკისტანის სამხედრო-საზღვაო ძალები კიდევ რვა „ორიონის“ მიღებას აპირებდა და ამ თვითმფრინავებით არაბეთის ზღვაში წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო დაცვის გაშლა იყო ჩაფიქრებული.

მეჰრანის ბაზაში ასევე იმყოფებოდნენ შეერთებული შტატების შვიდი სამხედრო მრჩეველი და თერთმეტი ჩინელი ტექნიკური სპეციალისტი ბაზის პერსონალისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის თანამდებობის პირთა მოსამზადებლად.

ბაზას გარშემო დაცვის კოშკურები და გარს მავთულხლართი ჰქონდა შემოვლებული. ვიდეოკამერები მთელ პერიმეტრს აკონტროლებდა და ინფორმაციას ვიდეოკონტროლის პოსტს აწვდიდა.

## თავდასხმისთვის მზადება

ბაზასთან ახლოს მცხოვრები ტერორისტები თავდასხმისათვის დიდხანს ემზადებოდნენ. საჭირო ინფორმაციას სხვადასხვა წყაროსგან იღებ-

დნენ. უპირველეს ყოვლისა, თვითონ აკვირდებოდნენ ობიექტს. იქვე ახლო არის ხიდი, საიდანაც ბაზის ჩრდილო ნაწილის პანორამული ხედები იშლება.

**კარგი ფოტოტექნიკისა და ძლიერი ოპტიკის მეშვეობით შესაძლებელი იყო ობიექტის საინტერესო ელემენტებისთვის დაწვრილებითი ფოტოსურათების გადაღება, ხოლო ჭოგრიტით პოსტებზე ყარაულის შეცვლის გრაფიკის დადგენა.**

გასაკვირი არც არის, რომ ტერორისტები ყველა საჭირო ინფორმაციას ფლობდნენ და შესაბამისად, თავდასხმის დაგეგმვისას გამოიყენეს.

**დასაშვებია, რომ მათ ბაზის პერსონალში თავისი კაცი ჰყავდათ, რომელმაც მათ ვიდეოთვალთვალის მკვდარი ზონების ადგილმდებარეობის ზუსტი მონაცემები მიაწოდა.**

ინფორმაციის მოპოვების პარალელურად, ისლამისტებმა ბაზის ახლოს იარაღის სამალავიც მოაწყვეს. ყოველივე ამას სჭირდებოდა საკმარისი დრო და აქტივობა დაცული ობიექტის ახლო პერიმეტრზე, მაგრამ უსაფრთხოების სამსახურმა ეს ვერ გამოავლინა და ვერც თავდასხმა აღკვეთა.

**ტერორისტთა ჯგუფი 15-17 კაცისაგან შედგებოდა. საბჭოთა წარმოების ავტომატების AK-47-ების გარდა, მსუბუქი ტყვიამფრქვევებითა და РПГ-7-ის ტიპის ყუმბარსატყორცნებით იყვნენ შეიარაღებული.**

მათ განკარგულებაში იყო სნაიპერის შაშხანები მაყუჩიანი და უალო სროლის მოწყობილობებით, ღამის ხედვის ხელსაწყოები და საინჟინრო შეიარაღება (თვითმფრინავების განადგურებისთვის საჭირო სპეციალური მუხტები და ასაფეთქებელი მასალები). გამორიცხული არ არის, კუსტარული ცეცხლგამჩენი საშუალებებიც ჰქონოდათ.

ჯგუფის შემადგენლობა ინტერნაციონალური იყო: ტერორისტთა მოიერიშე ჯგუფში სამი შუააზიელი შედიოდა, ისინი ქალაქში ბრძოლის სპეციალისტებად ითვლებოდნენ.

სპეცსამსახურების ექსპერტების შეფასებით, ჯგუფმა წვრთნა ერთ-ერთ საერთაშორისო ბანაკში გამოცდილი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით გაიარა.

თავდასხმის მიზანი „ორიონების“ განადგურება და უცხოელი ინსტრუქტორების მძევლებად აყვანა იყო.

## მეჰრანის ავიაბაზაზე თავდასხმა

**ავიაბაზაზე თავდასხმა 22 მაისის საღამოს 20.30 სთ-ზე დაიწყო. 15-მა შავფორმიანმა ტერორისტმა ბაზის ტერიტორიაზე შეღწევა პაკისტანის სამხედრო-საჰაერო ძალების ახლომდებარე აეროდრომ „ფეისალიდან“ მოახერხა.** ამ ობიექტის სათვალთვალო კოშკებს შორის მანძილი 100 მეტრია და ტერორისტები ზუსტად იმ ადგილას გადავიდნენ, სადაც ვიდეოკამერების სექტორები ერთმანეთს ვერ კვეთდნენ და მკვდარ ზონას ქმნიდნენ.

ტერორისტებს ზუსტი მონაცემები ჰქონდათ ვიდეოკამერების არა მარტო ადგილმდებარეობაზე, არამედ მუშაობის დროსა და ხედვის სექტორებზეც, ამიტომ დაცვის პოსტებს ობიექტთან მათი მიახლოება გამოეპარათ.

თავდამსხმელთა ოთხკაციანმა ჯგუფმა ეკლიანი მავთული სწორედ იმ ადგილას გადაჭრა, სადაც ვიდეოკამერებისთვის მკვდარი ზონა იყო და ობიექტის ტერიტორიაზე შეუმჩნევლად შევიდა.

ბაზას ტერორისტებმა სამი მხრიდან შეუტიეს, თითოეულიდან 4-5 კაცი მოქმედებდა. მათ კარგად იცოდნენ ობიექტის ყველა ელემენტის განლაგება და სიბნელის მიუხედავად, გზას შეუცდომლად იკვლევდნენ.

**თავიდან ცეცხლი ყუმბარსატყორცნებით გახსნეს და ღია სადგომზე „ორიონი“ დააზიანეს. შემდეგ ანგარში შეიჭრნენ და მეორე „ორიონი“ ააფეთქეს მცირეგაბარიტიანი მუხტით, რომელსაც დამანგრეველი ძალა და შედარებით დაბალი ხმა აქვს. ორივე მზვერავი თვითმფრინავი განადგურდა.** სხვათა შორის, ტერორისტებს ყურადღება არ მიუქცევიათ მოძველებული თვითმფრინავისთვის Fokker F-27-ი და ჩინური ZA-6 ტიპის შვეულმფრენისთვის, რომლებიც იქვე იდგნენ, არც ღია სადგომებსა და ანგარებში მდგარი შვეულმფრენ Sea King Mk45-ისა და SA-319B Aloutte III-ისთვის, ჩინური წარმოების Harbin Z-9 EC-ისთვის, აგრეთვე, თვითმფრინავები Fokker-ისა და Atlantic I-ისთვის.

ხანძრის გაჩენის შემდეგ ბაზაში შუქი გამოირთო და ტერორისტები ღამის ხედვის აპარატურის გამოყენება დაიწყეს.

ტრაგიკულად დასრულდა სამი მეხანძრისა და ორი რეინჯერის მცდელობა, რომ ანგარში ხანძარი ჩაექროთ. ხუთივე სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა.

სნაიპერმა მწყობრიდან გამოიყვანა ასევე ავიაბაზის დაცვისა და მომსახურე პერსონალის რამდენიმე წევრი.

ტერორისტთა შეტევის მომდევნო ობიექტი ახლომდებარე შენობა შეიქნა, სადაც ბაზის კიდევ რამდენიმე მოსამსახურე მოკლეს და იერიში ობიექტის ცენტრზე მიიტანეს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



პაკისტანის სამხედრო-საზღვაო ძალების ავიაციის საპატრულო თვითმფრინავი P-3C Orion-ი

# ედუარდ III

## 1312-1377

ედუარდ III-მ ინგლისი საფრანგეთთან ასწლიან ომში ჩააბა, თუმცა საყოველთაოდ ცნობილი მაინც 1346 წელს კრესის ომში გამარჯვებით გახდა, სადაც მისმა ჯარმა ინგლისური გრძელი მშვილდების წყალობით ფრანგები დაამარცხა.





მეფე ედუარდ III და მისი ვაჟი ედუარდი — „შავი პრინცი“

### ქრონოლოგია

* 1312 — დაიბადა 13 ნოემბერს უინძორში.

* 1327 — 29 იანვარს გვირგვინი დაიდგა. ებრძვის შოტლანდიელებს.

* 1330 — როჯერ მორტიმერი სიკვდილით დასაჯა.

* 1333 — ისევ შოტლანდიელებს ებრძვის.

* 1340 — საფრანგეთის მეფის ტიტული მიიღო.

* 1346 — ნორმანდიაში ჩავიდა. 26 აგვისტოს კრესისთან ფრანგებს სძლია.

* 1347 — კალე აიღო.

* 1355 — საფრანგეთსა და შოტლანდიას შეუტია.

* 1356 — გამარჯვება პუატიესთან. შოტლანდია დანებდა.

* 1377 — გარდაიცვალა 21 ივნისს შინის სასახლეში, სურეის საგრაფოში.

### ბიჭი მეფე

ედუარდ II-სა და ფრანგ პრინცესა იზაბელას ედუარდ III 1312 წელს ბერქშირში შეეძინათ. ედუარდი უფროსი ვაჟი იყო. 1325 წელს აკვიტანიის ჰერცოგი გახდა. 1326 წელს იზაბელა და მისი საყვარელი როჯერ მორტიმერი საფრანგეთიდან შეიჭრნენ ინგლისში და მეფე გადააგდეს, მოგვიანებით კი სასტიკი წამებით გამოასალმეს სიცოცხლეს. 15 წლის ედუარდს გვირგვინი დაადგეს თავზე, მაგრამ მომდევნო ოთხი წელიწადი მისი სახელით დედამისი და მორტიმერი მართავდნენ ქვეყანას.

მათი ეგიდით ედუარდმა 1327 წელს შოტლანდიელთა წინააღმდეგ მარცხიან ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა.

იძულებული გახდა, დაედო ნორთჰემპტონის ზავი, რომლის ძალითაც შოტლანდია დამოუკიდებელ სამეფოდ იქნა ცნობილი. მალე საკუთარ დამოუკიდებლობაზე დაიწყო ზრუნვა. 1330 წელს ედუარდმა მორტიმერი დააპატიმრა და სიკვდილით დასაჯა; ამით იზაბელას პოლიტიკური გავლენაც დასრულდა. ედუარდმა ისევ შოტლანდიისკენ შეატრიალა ინტერესთა სფერო და მეფედ თავისიანი დანიშნა.

### ასწლიანი ომი

ედუარდს საფრანგეთის ტახტზეც ეჭირა თვალი, ამიტომ 1339-1340 წლებში ქვეყანაში რამდენჯერმე სცადა შეჭრა. 1346 წელს შერბურში ჩავიდა თავის უფროს ვაჟთან, უფლისწულ ედუარდთან — „შავ პრინცთან“ ერთად. მეფემ ნორმანდიაში ხმლით გაიკვლია გზა და კანიც დაიმორჩილა. როგორც კი გაიგო, მეფე ფილიპ VI პარიზთან ახლოს ჯარს რაზმავდა, ედუარდი ჩრდილოეთით გაემართა, რათა ფლანდრიისკენ გაეკაფა უკან დასახევი გზა. მაგრამ სომის გადალახვის შემდეგ, მას ფრანგებთან მოუხდა შეტაკება სოფელ კრესისთან, პონთიოში, სადაც 1346 წლის 26 აგვისტოს საქვეყნოდ მოიხვეჭა სახელი და ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთი ჩაიგდო ხელში.

ამის შემდეგ ალყაში მოაქცია და აიღო კალე, მაგრამ რეზერვის ნაკლებობის გამო, 1347 წლის სექტემბერში, ხანმოკლე ზავის დადებამ მოუწია.

ედუარდი ოქტომბერში ინგლისში ტრიუმფით დაბრუნდა და გამარჯვება ზეიმებითა და ლხინებით აღნიშნა. მომდევნო წელს წმინდა საღვთო რომის იმპერატორობა შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა. მან მცირემასშტაბიანი შეტევები განაგრძო შოტლანდიასა და საფრანგეთზე, მისმა ვაჟმა ედუარდმა — „შავმა პრინცმა“ კი 1356 წელს მამის თავდაცვითი ტაქტიკა გამოიყენა პუატიესთან ბრძოლაში.

1359 წელს ედუარდმა დაიმორჩილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეიმსი, სადაც საფრანგეთის გვირგვინის მიღებას გეგმავდა, მაგრამ ადგილობრივთა მედგარმა წინააღმდეგობამ ედუარდი აიძულა, შეთანხმებაზე წასულიყო და იქაურობას გასცლოდა. საფრანგეთის გვირგვინის სურვილი კი გულიდან ვერ ამოიგდო.

ედუარდმა სიბერის მოახლოება რომ იგრძნო, ბრძოლების წინამძღოლობა თავის ვაჟებს, ედუარდ „შავ პრინცსა“ და ჯონ გონტს გადასცა. მაგრამ საფრანგეთში ეროვნული მოძრაობის მომძლავრების გამო სამფლობელოები ერთიმეორის მიყოლებით დაკარგა. როდესაც 1376 წელს „შავი პრინცი“ გარდაიცვალა, ედუარდმა ჩათვალა, მამაჩემის ტახტი რომ მივითვისე, ვაჟი ამიტომ დავკარგეო. ერთი წლის თავზე ის შინში, სურეიში გარდაიცვალა. მისი ცხედარი უესტმინსტერის სააბატოში დაკრძალეს.


ახლა უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომი!

საქართველოს ისტორიის ოთხტომეული უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე

„კვირის პალიტრასთან“ ერთად თვეში ერთხელ თითო ტომი





11-დან 18 ივნისამდე
ტომი II
IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე

წიგნის სპეციალური ფასი 9 ლარი





იქონიე საქართველოს ისტორია შენს თაროზე!

პირველი ტომის ტირაჟი მთლიანად გაიყიდა. ხალხის ნაწილი დარჩა წიგნის გარეშე, ამიტომ მეორე ტომის გამოსვლისას კიდევ ერთხელ გაძლევთ პირველი ტომის შეძენის შესაძლებლობას გაზეთთან ერთად გამონაკლისის სახით.


## კრესის ბრძოლა

- 1333 წელს ჰალიდონ ჰილთან შოტლანდიელებთან ბრძოლაში ედუარდმა თავდაცვითი ტაქტიკა სრულყო, რაც საფრანგეთშიც გამოადგა. მან მძიმედ შეჭურვილი მხედრები ჩამოაქვეითა, მათ გარშემო კი მოისარები განალაგა. როდესაც შოტლანდიელებმა ცენტრიდან შეუტიეს, ისინი ინგლისელმა შუბოსნებმა შემუსრეს. ინგლისელთა საპასუხო შეტევაზე კი შოტლანდიელები გაიქცნენ.
- კრესის ბრძოლამდე ედუარდმა პოზიციები გონივრულად შეარჩია, — მარცხენა ფლანგიდან ტყე იცავდა, გარდა ამისა, ჯარისკაცებს სანგრების გათხრა უბრძანა, მარჯვენა ფლანგი კი მდინარითა და ორმოებით იყო დაცული, რათა ფრანგთა შეტევა უკუეგდოთ. ედუარდმა ქარის წისქვილისკენ დაიხია, რათა ზემოდან გადაეხედა ბრძოლის ველისთვის. მძიმედ შეჭურვილ მეომრებს ჩამოქვეითება უბრძანა, მოისარები მათში აირივნენ, მათ უკან კი მხედრები რეზერვად იდგნენ, რათა საჭიროებისამებრ კონტრშეტევაზე გადასულიყვნენ. საფრანგეთის მეფე ფილიპ VI ხაფანგში მოექცა. სამმაგად მრავალრიცხოვანი ჯარით მან ედუარდს ჯიქურ შეუტია. ფრანგებს ინგლისელებმა ისრები და შუბები დაუშინეს და მოცელეს. იერიშების განმეორება უკვე შეუძლებელი გახდა, რადგან ფრანგთა პოზიციებს თანდათან ინგლისელები იკავებდნენ.



კრესის ბრძოლაში ინგლისელებმა ფრანგები დაამარცხეს

*მოამზადა*
***ლევან ინასარიძემ***

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პარაშუტები მეორე მსოფლიო ომში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N8-11, 2012

## გერმანელი პარაშუტისტების ტრიუმფი

ბელგიის დაპყრობის შემდეგ გზა ჰოლანდიის, დანიისა და ნორვეგიისკენ გათავისუფლდა.

ჰოლანდიაში დაწყებულ საბრძოლო მოქმედებებში ვერმახტის სარდლობამ ორი მთავარი მიზანი დასახა:

— არ დაეშვა ხიდების აფეთქება;

— ყველა მნიშვნელოვანი აეროდრომისა და ქვეყნის სიღრმეში არსებული საკომანდო პუნქტების დაკავება თითქმის ერთდროულად უნდა მომხდარიყო;

ამოცანების სირთულიდან გამომდინარე, მასში გადამწყვეტი როლი პარაშუტისტებს უნდა ეთამაშათ.

გერმანელებს დაბრკოლებას უქმნიდა მდინარე ვაალზე განეპის ხიდი და მისი აღების შემთხვევაში გზა როტერდამისკენ თავისუფალი იყო, ამიტომაც ხიდი ჰოლანდიელებმა სახელდახელოდ დანაღმეს.

საპარაშუტო დესანტის გამოყენება აზრს კარგავდა, რადგან ჰაერში ჩამოკიდებული პარაშუტისტების დანახვისთანავე ჰოლანდიელები ხიდს ააფეთქებდნენ. ამავე მიზეზით საპლანერო დესანტზეც უარი ითქვა.

სადესანტო ჯარების მე-7 დივიზიის ოფიცრებმა ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღეს, მდინარე ვაალზე ხიდის მახლობლად „დორნიეს“ ტიპის 12 ჰიდროთვითმფრინავი დაეშვა. ზუსტად ისეთები, როგორსაც ჰოლანდიის არმია იყენებდა. გერმანელებმა ეს იცოდნენ და ამიტომაც ოპერაციის წინ თვითმფრინავებზე განმასხვავებელი ნიშნები წაშალეს.

სანამ ჰოლანდიელები თვითმფრინავების კუთვნილების დადგენას ცდილობდნენ, მედესანტეებმა დანებითა და ხიშტებით დეტონატორების სადენები გადაჭრეს. როცა ხიდის დამცველები გონს მოეგნენ და სროლა ატეხეს, გვიან იყო.

მსგავს სიტუაციებში გერმანელებმა ნორვეგიასა და დანიაში მრავალი სტრატეგიული ობიექტები დაიკავეს.

პარაშუტისტების მოქმედებით გამოწვეული მოულოდნელობის ფაქტორი სამხედრო ოპერაციებში გადამწყვეტ როლს თამაშობდა, ხოლო ობიექტების დამცველები „მწვანე ეშმაკებს“ პრაქტიკულად უბრძოლველად ბარდებოდნენ. ამიტომაც ევროპაში მედესანტეებმა თავიანთი შესაძლებლობების სრულად დემონსტრირება ვერ შეძლეს.

## ოპერაცია „მერკური“

ნორვეგიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ, ჰიტლერმა მზერა ხმელთაშუა ზღვას მიაპყრო, სადაც მას ბალკანეთისა და კუნძულ კრეტის დაპყრობა სურდა.

ბალკანეთის კამპანიაში გერმანელებმა ჯერ 1941 წლის 17 აპრილს იუგოსლავია, 23 აპრილს კი საბერძნეთის ოკუპაცია მოახდინეს. დადგა კრეტის ჯერი. თუმცა, აქ გერმანელები ბევრ პრობლემას წააწყდნენ, — კუნძულის დაპყრობა მხოლოდ საზღვაო ან საჰაერო დესანტის გამოყენებით იყო შესაძლებელი.

კრეტის დამცველ ბრიტანულ გარნიზონს კუნძული თავდაცვითი ნაგებობებით ჰქონდა გამაგრებული, ხოლო მიმდებარე წყლებს ბრიტანული ფლოტი სრულად აკონტროლებდა.

ერთადერთი ძალა, რომელსაც წარმატების მოტანა შეეძლო, პარაშუტისტები იყვნენ და საჰაერო-სადესანტო ოპერაცია „მერკურის“ ხელმძღვანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად პარაშუტისტების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი კურტ შტუდენტი დაინიშნა.

დესანტის გადასხმის წინ კუნძულის გამაგრებული ობიექტები ავიაციას უნდა დაებომბა, ხოლო მოპიკირე ბომბდამშენებს კი მწყობრიდან ბრიტანული ფლოტი უნდა გამოეყვანა.

პარაშუტისტების გადმოსხმა ორ ტალღად ერთდროულად ოთხ რაიონში იგეგმებოდა და აქედან სამი აეროდრომი იყო.

მალემეს, რეტიმნონესა და ირაკლიონის აეროდრომების დაკავებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და გერმანელებმა ყველა საპარაშუტო ნაწილი გამოიყენეს. ერთ-ერთი აეროდრომის დაკავების შემთხვევაშიც კი მას პლაცდარმად გამოიყენებდნენ და სატრანსპორტო ავიაციით დამატებითი ძალების გადასროლას შეძლებდნენ.

ოპერაციის დაგეგმვაში გერმანელებმა დიდი შეცდომა დაუშვეს. დაზვერვის მონაცემებით, საბერძნეთიდან ევაკუირებული ბრიტანული ქვედანაყოფები ეგვიპტეში იყვნენ და კუნძულს მხოლოდ 5-ათასიანი გარნიზონი იცავდა.



ოპერაცია „მერკურის“ დაწყება. „მწვანე ეშმაკები“ სადესანტო თვითმფრინავებში ჩასასხდომად ემზადებიან

ეს ინფორმაცია მცდარი აღმოჩნდა. კრეტაზე შეიარაღებულ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად 15000 ბრიტანელი, 7750 ავსტრალიელი, 6700 ახალზელანდიელი და 11000-მდე ბერძენი ჯარისკაცი იყო.

ამასთან, ბრიტანელებმა გერმანული შიფროგრამების წაკითხვა შეძლეს და ოპერაციის ჩატარების შესახებ წინასწარ იყვნენ ინფორმირებული.

გენერალ შტუდენტის განკარგულებაში 22750 მედესანტე იყო. აქედან 750-ის პლანერებით, 10000-ის კი პარაშუტებით გადასხმა იგეგმებოდა. კიდევ 5000 და 7000 ჯარისკაცი კუნძულზე სატრანსპორტო თვითმფრინავებითა და ზღვით მოხვდებოდა. მათ საჰაერო მხარდაჭერას 280 საფრონტო ბომბდამშენი, 150 მოპიკირე ბომბდამშენი და 150 გამანადგურებელი უზრუნველყოფდა.



პარაშუტისტების მოქმედებით გამოწვეული მოულოდნელობის ფაქტორი, სამხედრო ოპერაციებში გადამწყვეტ როლს თამაშობდა

ოპერაცია „მერკური“ გერმანული ავიაციის ყოველდღიური დაბომბვებით დაიწყო. იბომბებოდა კუნძული და მასთან მყოფი ბრიტანული ფლოტის ხომალდები.

საჰაერო იერიშების შედეგად შვიდი ბრიტანული ხომალდი და ბერძნული საესკადრო ნაღმოსანი „ლეონი“ ჩაიძირა, ხოლო კუნძულზე მყოფი ბრიტანული ავიაგამანადგურებლები გერმანული თვითმფრინავებთან უძლურნი აღმოჩნდნენ.

1940 წლის 20 მაისის დილის 4 სთ-ზე გერმანელმა პარაშუტისტებმა თვითმფრინავებში ჩასხდომა დაიწყეს. ვერმახტის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური საჰაერო-სადესანტო ოპერაციისთვის Ju-52-ის ტიპის 500-მდე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი გამოიყო.

პარაშუტისტებისა და პლანერების დაშვების წინ, მოწინააღმდეგის პოზიციები გერმანულმა ბომბდამშენებმა კიდევ ერთხელ დაბომბეს, ხოლო შემდეგ მედესანტეთა პირველი ჯგუფები მალამესის აეროდრომზე გადასხდნენ. 600 მ-იანი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის მიუხედავად, ოპერაციისთვის მას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

აეროდრომზე დაშვებული 11 პლანერიდან გადმოსულმა ჯარისკაცებმა პირველად საზენიტო ბატარეა გაანადგურეს. ამის შედეგად პირველი ნაკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა




დის დესანტირებისას, სატრანსპორტო თვითმფრინავებმა მინიმალური დანაკარგი განიცადეს.

გეგმით, მეორე ნაკადის გადმოსხმა შუადღის 4 სთ-ზე იყო დაგეგმილი, მაგრამ ამ დროისთვის გერმანელთა გეგმები აირია.

ბრიტანელები მომზადებულნი აღმოჩნდნენ და „მწვანე ეშმაკებს" მასირებული ცეცხლით დახვდნენ, ხოლო მიწაზე დაშვებულ პარაშუტისტებს თავის აწევის საშუალება არ ჰქონდათ და რაც მთავარია, მოულოდნელობის ეფექტის გამოყენება ვერ შეძლეს. ბევრი პარაშუტისტი ჰაერში ან სულაც სადესანტო თვითმფრინავში დაიღუპა.

პრობლემები საჰაერო დესანტის მეორე ტალღასაც შეექმნა. საბერძნეთის აეროდრომებზე ძლიერი მტვერის გამო, Ju-52-ები რიგრიგობით ფრინდებოდნენ. მათი ჯგუფებში შეკვრა კი უკვე ჰაერში ხდებოდა. ამის გამო, პარაშუტისტებმა, რომლებსაც ჰერაკლიონის აეროდრომი უნდა დაეკავებინათ, დააგვიანეს.

მალემეს აეროდრომის აღება, გერმანელებმა მხოლოდ მეორე დღის ბოლოს შეძლეს.

ოპერაცია „მერკური" 31 მაისს დასრულდა. კუნძულის დაკავებას „მწვანე ეშმაკებმა" 11 დღე მოანდომეს, როცა გეგმით ყველაფერი რამდენიმე დღეში უნდა დასრულებულიყო.

კუნძულის დამცველების გარდა, დიდ პრობლემას კრეტის რელიეფი ქმნიდა. სადესანტო პლანერების ნაწილი დაშვებისას კლდეებზე დაიმსხვრა. უკეთეს მდგომარეობაში არც პარაშუტისტები იყვნენ. ბევრმა მათგანმა ქვიან რელიეფზე დაშვებისას სხვადასხვა სახის ტრავმა მიიღო, მათ შორის — კიდურების მოტეხილობა. შესაბამისად, დესანტის ერთი ნაწილი მწყობრიდან ჯერ კიდევ ბრძოლაში ჩართვამდე გამოვიდა.

ძლიერი საზენიტო ცეცხლის გამო პარაშუტისტების გადმოსხმა დიდ ფართობებზე მიმდინარეობდა და მიწაზე დაშვებულებიც მოწინააღმდეგის ცეცხლში ექცეოდნენ. მხოლოდ პირადი იარაღის ამარა (პისტოლეტი და დანა) დარჩენილი „მწვანე ეშმაკები" ტყვიამფრქვევებს ვერ გაუმკლავდნენ, იარაღიანი კონტეინერების მოძებნის საშუალებას კი მათ მოწინააღმდეგის ცეცხლი არ აძლევდა.

**Ju-52 გერმანელების მთავარი სადესანტო თვითმფრინავი იყო და ბორტზე 12 მედესანტეს იტევდა. დესანტირების წინ თვითმფრინავები რგოლებად იკრიბებოდნენ (რგოლში სამი თვითმფრინავი იყო) და მჭიდრო მწყობრით მიფრინავდნენ. წესისამებრ, პარაშუტისტები 120 მ სიმაღლიდან ხტებოდნენ. დესანტირების წინ თვითმფრინავების ფრენის სიჩქარე 150 კმ/სთ-მდე მცირდებოდა.**

ოპერაცია „მერკურში" სრულად გამოჩნდა გერმანელი პარაშუტების დიდი ნაკლი — სრული აღჭურვილობით გადმოხტომის შეუძლებლობა.

კრეტის ოპერაცია გერმანელებისთვის უდიდესი დანაკარგით დასრულდა. არსებული მონაცემებით, პარაშუტისტებმა დაღუპულებისა და დაჭრილების სახით შესაბამისად 3986 და 2594 ჯარისკაცი დაკარგეს. ამის მიზეზი მედესანტეთა სათანადო საარტილერიო-საჰაერო მხარდაჭერით უზრუნველყოფის შეუძლებლობა იყო.

მეტწილად მხოლოდ შაშხანებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულ პარაშუტისტებს რიცხობრივად ძლიერ მეტოქესთან გამკლავებამ მოუწიათ, რომელსაც ზურგს არტილერია და ჯავშანტექნიკა უმაგრებდა.

არანაკლებ დიდი დანაკარგი სატრანსპორტო ავიაციამ განიცადა. 493 თვითმფრინავიდან ოპერაციის დასრულებისთვის გამართულ მდგომარეობაში მხოლოდ 185 დარჩა. მარტო მალემეს აეროდრომზე 80-მდე დაზიანებულ-განადგურებული Ju-52 იყო. გერმანულმა სატრანსპორტო ავიაციამ ომის დასრულებამდე ამ დანაკარგის შევსება ვეღარ შეძლო.

სხვათა შორის, Ju-52-ის დეფიციტმა როლი სტალინგრადის ბრძოლებშიც ითამაშა, როცა ალყაშემორტყმული ფელდმარშალ პაულიუსის არმიისთვის ტვირთების გადასაზიდად საკმარისი თვითმფრინავები აღარ იყო.

დიდი დანაკარგის მიუხედავად, კუნძულის დაპყრობა გერმანიისთვის



ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი წარმატება იყო. ხმელთაშუა ზღვაში ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორია მათ ხელში გადავიდა.

მხოლოდ ავიაციის მოქმედების შედეგად, ბრიტანულმა ფლოტმა 4 კრეისერი, 6 საესკადრო ნაღმოსანი, 1 მტრალავი და 11 მცირე ტონაჟის ხომალდი დაკარგა. საბერძნეთის არმიამ კი პრაქტიკულად არსებობა შეწყვიტა.

„მერკურის" მსვლელობისას, პარაშუტისტების გარდა, Ju-52-ებმა კუნძულზე 353 მსუბუქი საარტილერიო დანადგარი, 771 მოტოციკლეტი, 5358 კონტეინერი და 1090 ტ სხვადასხვა ტვირთი გადაიტანეს.

კრეტაზე გერმანელებმა უკანასკნელი მსხვილი საჰაერო-სადესანტო ოპერაცია ჩაატარეს.

„მერკურის" შემდეგ, „მწვანე ეშმაკების" გამოყენება ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა.

1941 წლის ივნისში პარაშუტისტები ქვეითებს მდინარე დვინაზე ხიდის დაკავებაში დაეხმარნენ.

1943 წლის სექტემბერში სადესანტო პლანერების გამოყენებით ოტო სკორცენის დივერსანტებმა მუსოლინი ტყვეობიდან გაათავისუფლეს.

1944-45 წლებში კი პარაშუტისტების გამოყენებას არდენებსა და აღმოსავლეთ ფრონტზე ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. თუმცა კრეტას შემდეგ ომის დასრულებამდე „მწვანე ეშმაკები" ჩვეულებრივ საჯარისო ოპერაციებში ელიტური ქვეითი ნაწილების სახით მონაწილეობდნენ.

**ალექსანდრე აფაქიძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



გერმანელების გადმოსხმა კრეტაზე. ვითომდა ჩამოგდებული Ju-52-ის კვამლი და თავად თვითმფრინავი, ბრიტანელებმა ფოტოზე პროპაგანდის მიზნით მიახატეს



კრეტაზე მიღებული დანაკარგების შევსება, გერმანულმა სატრანსპორტო ავიაციამ, ომის დასრულებამდე ვერ შეძლო



# კუბაში შეჭრა

**(დასასრული, დასაწყისი იხ. „არსენალი“ N11, 2012)**

16-17 აპრილს ცსს-მ ორგანიზება გაუკეთა ყურადღების გადასატან ქმედებებს პინარ-დელ-რიოს პროვინციაში, ქალაქ ბაია-ონდასთან.

მცირე ზომის გემებზე მიბმულ ტივებზე დამონტაჟებული საგანგებო აღჭურვილობა დესანტირების ხმაურის იმიტირებას ახდენდა, რაც სრულმასშტაბიანი სადესანტო ოპერაციის სურათს ქმნიდა.

ამან მიზანს მიაღწია, რადგან ფიდელ კასტროს მხარდამჭერთა ძალების ყურადღებამ კოჩინოსის ყურის რაიონიდან ბაია-ონდასკენ გადაინაცვლა.

17 აპრილს 00-00 სთ-ზე ორ ხუთხუთკაციან წყალქვეშა განაღმვის ჯგუფს უკან მოჰყვა ოთხი სატრანსპორტო გემი Houston-ი, Rio Escondido, Caribo და Atlantico, რომლებზეც „ბრიგადა 2506“-ის 1400-მდე მებრძოლი, რამდენიმე ტანკი და სატრანსპორტო საშუალება იყო განთავსებული.

მცურავ საშუალებათა დაზიანების თავიდან ასაცილებლად დესანტირება ღამით არ შედგა, რამაც ნაპირზე განლაგებულ კუბელ მილიციელთა საგუშაგოებს ცენტრის გაფრთხილების საშუალება მისცა.

იმავე დღის 06-30 სთ-ზე კუბის სამხედრო-საჰაერო ძალების სამმა Sea Furie-მ, ერთმა B-26-მა და ორმა T-33-მა დარტყმა მიაყენეს კონტრრევოლუციონერებთა გემებს.

პლაია-ლარგას სამხრეთით რამდენიმე რაკეტა Houston-ს მოხვდა და დააზიანა, რის გამოც კაპიტანი იძულებული გახდა და კოჩინოსის ყურის დასავლეთ რაიონში დესანტი იძულებით გადასხა.

დესანტირებული 270 მებრძოლიდან დაახლოებით 180-მა თავისი იარაღი და აღჭურვილობა ზღვაში დაკარგა და შემდგომ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა ველარ შეძლო.

07-00 სთ-ზე უკვე კონტრრევოლუციონერთა ორმა ბომბდამშენმა B-26-მა შეუტია და პინის კუნძულების მახლობლად კუბელთა საპატრულო ხომალდი El Baire ჩაძირა.

7-30 სთ-ზე ოპერაცია „შევარდნის“ ფარგლებში ხუთმა სატრანსპორტო C-46-მა და ერთმა C-54-მა 177-კაციანი საპარაშუტო დესანტი გადასხა, მაგრამ ჰაერიდან ჩამოყრილი საბრძოლო მასალების დიდი ნაწილი ჭაობებში დაიკარგა და ამის გამო სან-ბლასა-იაგურამას რაიონების საგზაო კომუნიკაციის სრულად დაბლოკვა არ მოხერხდა.

დაახლოებით 09-00 სთ-ისთვის მილიციით გაძლიერებულმა კუბის რევოლუციურმა ძალებმა დესანტის გადასხმის რაიონების გარშემო კონცენტრირება დაიწყეს.

დღის განმავლობაში მათ ტანკები და არტილერია შეემატათ. იმავე პერიოდში კუბელთა Sea Furie-მ და T-33-ებმა ხირონიდან 3 კმ-ის დაშორებით რაკეტების ცეცხლით კონტრრევოლუციონერთა სატრანსპორტო გემი Rio Escondido ჩაძირეს.

დარჩენილმა გემებმა უკან დახევა და ნეიტრალური წყლებისკენ გასვლა ამჯობინეს, თუმცა მათზე საჰაერო თავდასხმები არ შეწყვეტილა, რომლის დროსაც კუბის ავიაციამ ბომბდამშენი B-26 დაკარგა.

11-00 სთ-ზე ფიდელ კასტრომ კუბის მოსახლეობას მიმართა და „რევოლუციის იმპერიალიზმის აგენტებისგან დაცვისკენ“ მოუწოდა.

12-00 სთ-ზე კუბის მილიციის კადეტებმა ქვეითი შეტევა დაიწყეს, მაგრამ კონტრრევოლუციონერთა B-26-ისგან მძიმე დანაკარგი მიიღეს. ასევე გააქტიურდა კუბის სახმელეთო ძალების სხვა დანაყოფებიც.

16-00 სთ-ისთვის საბრძოლო მოქმედებების რაიონში თავად ფიდელ კასტრო ჩავიდა ჟოზე რამონ ფერნანდესის თანხლებით, რომელიც იმავე დღის ბოლოს საბრძოლო ოპერაციის ხელმძღვანელად დაინიშნა.

17 აპრილს არომა დე ველასკესის რაიონში კუბელმა სამხედროებმა შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს კასტროს ხელისუფლების წინააღმდეგობის ხელმძღვანელი ოსვალდო რამირესი.

21-00 სთ-ზე სამი B-26-ი კუბის სამხედრო-საჰაერო ძალების სან-ანტონიო-დე-ლოს-ბანოსის საავიაციო ბაზას დაესხა თავს, თუმცა მფრინავთა მოუმზადებლობისა და ავდრის გამო ამას შედეგები არ მოჰყვა.

უკვე 18 აპრილის 10-30 სთ-დან კუბის შეიარაღებულმა ძალებმა და მილიციამ ტანკებისა და არტილერიის ცეცხლის მხარდაჭერით კონტრრევოლუციონერთა თანდათან შევიწროება და მათი პოზიციების დაკავება დაიწყეს.

მათი ჯიუტი წინსვლა ვერც ცსს-ის მიერ დაქირავებული მფრინავებით მართულმა ექვსი B-26-ის საჰაერო დარტყმებმა და ამით გამოწვეულმა მძიმე დანაკარგმა შეაჩერა.

კონტრრევოლუციონერთა საჰაერო მხარდაჭერა ნულამდე დავიდა მას შემდეგ, რაც საჰაერო ბრძოლებში კუბელმა მფრინავებმა ორი B-26 ჩამოაგდეს და რასაც 4 ამერიკელი მფრინავის სიცოცხლე შეეწირა.

საჰაერო მხარდაჭერისა და საბრძოლო მასალის ნაკლებობის გამო „ბრიგადა 2506“-მა ზღვის სანაპიროსკენ დაიხია და დაცვის საბოლოო ხაზი დესანტის

გადასხმის თავდაპირველი პლაცდარმის პერიმეტრის საზღვრებში მოაწყო.

19 აპრილს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების საესკადრო ნაღმოსნებმა Eaton-მა (კოდური სახელწოდება Santiago) და Murray-მ (კოდური სახელწოდება Tampico) კოჩინოსის ყურიდან კონტრრევოლუციონერთა ევაკუაციის ოპერაცია დაიწყეს.

21-22 აპრილს ამ ხომალდებმა სხვა მცურავ საშუალებათა დახმარებით კოჩინოსის ყურის მიმდებარე მთელი სანაპირო ზოლის რაიონები დაათვალიერეს და კიდევ 30-მდე მეამბოხის კუბელთა ტყვეობისა და სიკვდილისგან დახსნა შეძლეს.

**კუბელებმა 1200-მდე მებრძოლი ტყვედ აიყვანეს და ციხეებისკენ ტრანსპორტირებისას 9 მათგანი უჰაერობისგან გადაჭედილ სატვირთო ავტომობილების ძარაში გაიგუდა.**

**1961 წლის აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით ფორტალესა-დე-ლა კაბანასა და ელ-მოროს ციხეებში ასეულობით მეამბოხე და მათი მხარდამჭერი სიკვდილით დაისაჯა.**

**1962 წლის 21 დეკემბერს ფიდელ კასტრომ 1113 კონტრრევოლუციონერი 53 მლნ დოლარის მედიკამენტებსა და სურსათში გადაცვალა.**

**ტყვეებთან ერთად კუბა დატოვეს და აშშ-ში გადასახლდნენ მათი ოჯახის წევრებიც.**

## პოლიტიკური შედეგები

მარცხიანმა სამხედრო კამპანიამ პრეზიდენტ კენედის ადმინისტრაციას დიდი დარტყმა მიაყენა და უკიდურესობამდე დაძაბა ვითარება აშშ-სა და სსრკ-ს შორის, რაც შემდგომში „კუბის კრიზისში" გადაიზარდა.

21 აპრილს პრესკონფერენციაზე ამერიკის პრეზიდენტმა განაცხადა: „ნათქვამია, გამარჯვებას ჰყავს ასეულობით მამა, ხოლო დამარცხება ყოველთვის ობოლიაო... ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ერთ ფაქტს: მე ვარ მთავრობის პასუხისმგებელი ოფიცერი და არ გავურბივარ მას".

თავის მხრივ, ჩე გევარამ პრეზიდენტ კენედის 1961 წლის აგვისტოში რიჩარდ ნ. გუდვილის სახელით შეუთვალა: „მადლობა პლაია-ხირონისთვის! შემოჭრამდე რევოლუცია სუსტი იყო. ახლა ის ისეთი ძლიერია, როგორიც არასდროს".

## სამხედრო შემადგენელი

კუბის კამპანიამ დაადასტურა სპეციალურ ოპერაციათა აქსიომა – „წარმატება მოაქვს მხოლოდ იმას, რაც პირველად კეთდება".

გვატემალაში 1954 წლის გადატრიალების სცენარისა და მეთოდების თითქმის უცვლელად კუბაზე მორგება კატასტროფის ტოლფასი აღმოჩნდა.

მოგვიანებით, კუბის რევოლუციის ექსპორტის მცდელობა სხვა ქვეყნებში თავად ჩე გევარასაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

კუბაში შეჭრის ოპერაციის ჩავარდნის მთავარ მიზეზებად ასევე შესაძლებელია განვიხილოთ შეზღუდული საჰაერო მხარდაჭერა, ქვეყანაში არსებული იატაკქვეშა მოძრაობის ძალის გადაჭარბებული შეფასება, საბრძოლო მასალების ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე თავმოყრა, რომლის დაკარგვამაც დესანტის ბრძოლისუნარიანობას დაღი დაასვა, პოლიტიკური გაუბედაობა და სხვ.

1961 წლის ნოემბერში ცსს-ს ინსპექტორ-გენერალმა ლიმან ბ. კირკპატრიკმა წარმოადგინა კვლევა „კუბის ოპერაციის შეფასება", რომელიც 1996 წლამდე გრიფ „საიდუმლოს" ატარებდა. მასში დასკვნის სახით ნათქვამი იყო:

1. ცსს-მა გადაჭარბებულად შეაფასა თავისი შესაძლებლობები პარტიზანული მოქმედებებიდან ღია საომარი ოპერაციის დაგეგმვა-ჩატარებისას;
2. არასწორად იქნა შეფასებული რისკები და არაადეკვატურად მიწოდებული ინფორმაცია მთავრობის მაღალი ეშელონის წევრებისთვის;
3. არაეფექტურად იქნა გამოყენებული კუბიდან ემიგრირებული ლიდერები;
4. ფაქტობრივად ჩავარდნა იყო კუბის შეიარაღებული ძალების სადაზვერვო შეფასება;
5. არაეფექტურად იყო ორგანიზებული წინააღმდეგობის მოძრაობის მხარდაჭერა თავად კუბაში;
6. სუსტი იყო კამპანიის შიდა მენეჯმენტი და კომუნიკაცია;
7. კამპანიის მართვის შტაბი არაეფექტურად იყო დაკომპლექტებული შესაბამისი პერსონალით;
8. არასაკმარისად დაკომპლექტდა ესპანური ენის მცოდნე ინსტრუქტორებით მრჩეველთა აპარატი და საწვრთნელი ბანაკები;
9. სტრატეგიულ დონეზე არ არსებობდა საქმის ბოლომდე მიყვანის ნება და სათადარიგო გეგმა.

კუბაში ხელისუფლების დამხობის მცდელობას გადაჰყვა ცსს-ის დირექტორი ალენ დალესი, ის თანამდებობიდან ვადაზე ადრე გადადგა.

ასევე თანამდებობები დატოვეს: დალესის მოადგილემ ჩარლზ ქაბელმა, დაგეგმარების საკითხებში მოადგილე რიჩარდ ბისელმა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებმა.

**ვახტანგ კაპანაძე**
*ბრიგადის გენერალი, გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი*



ბრიგადა „2506" მებრძოლთა ტყვეობა მძიმე აღმოჩნდა — ზოგი გაასამართლეს და დახვრიტეს, ზოგიც ავტომობილის ძარაში გაიგუდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვაზიანიდან ყანდაარში

## 28 წლის წინ საქართველოდან მივლინებული გამანადგურებლები ავღანურ ყიშლაყებს ბომბავდნენ...

ავღანური ეპოპეა დღესაც აქტუალურია დამოუკიდებელი საქართველოს რეალობაში, რადგან ხელისუფლებას და საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ ავღანეთში ISAF-ის ოპერაციაში მრავალრიცხოვანი ქართული სამხედრო კონტინგენტის მონაწილეობა ჩვენს ქვეყანას აახლოებს NATO-სთან.

სინამდვილეში, რა იქნება, უახლოესი წლები დაგვანახვებს, ამ სტატიაში კი ვეცდებით გავიხსენოთ კიდევ ერთი ავღანური ეპოპეა, რომელიც საბჭოთა პერიოდს უკავშირდება.

1979-1989 წ.წ.-ებში, როდესაც საბჭოთა საოკუპაციო ძალები ავღანეთის ტერიტორიაზე იბრძოდნენ, ავღანეთში საქართველოდან მარტო წვევამდელებს როდი გზავნიდნენ. ის სამხედრო ნაწილები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში საქართველოში იყო დისლოცირებული, ავღანეთში საომრად როტაციის პრინციპით იგზავნებოდა. მათ შორის საავიაციო ნაწილებიც, რომლებსაც ვაზიანიდან, კოპიტნარიდან, ცხინვალიდან თუ დიდი შირაქიდან უწევდათ მივლინებით ავღანეთის ომში ჩაბმა.

არასწორია დამკვიდრებული აზრი, თითქოს ავღანეთს დიდი შირაქიდან ან კოპიტნარიდან ბომბავდნენ. ამ აეროდრომებზე განთავსებული ბომბდამშენები რამდენიმე თვით გადაჰყავდათ შუა აზიის აეროდრომებზე, საიდანაც ისინი ავღანეთში ახორციელებდნენ საბრძოლო გაფრენებს.

ვაზიანის გამანადგურებლებს კი მივლინებამ უშუალოდ ავღანეთში, ყანდაარის აეროდრომზე მოუწიათ. ისინი ყანდაარიდან ბომბავდნენ უშუალოდ ჰილმენდის პროვინციის რაიონებს, სწორედ იქ, სადაც დღეს ქართული სამხედრო კონტინგენტის ძირითადი ნაწილია განთავსებული.

1984 წლის ივნისში, ვაზიანში დისლოცირებულ 982-ე გამანადგურებელთა საავიაციო პოლკში მივიდა საიდუმლო ბრძანება, რომლის თანახმად, МиГ-23МЛД ტიპის გამანადგურებლების ერთი ესკადრილია სასწრაფოდ ავღანეთში, ყანდაარის აეროდრომზე უნდა გადაეგზავნათ.

ვაზიანის კეთილმოწყობილი სამხედრო პოლკისა და ქართული ღვინის მიტოვება პილოტებსა და საინჟინრო შემადგენლობას ბარემ ეძნელებოდათ კიდეც, მაგრამ ბრძანება ბრძანებაა და უმოკლეს ვადაში ვაზიანიდან ყანდაარში 14 ცალი МиГ-23МЛД და ორი ორადგილიანი МиГ-23УБ გადაფრინდა. სიჩქარის გამო ვერ მოხერხდა გამოცდილი პილოტების შერჩევა, ამიტომ ავღანეთში ვაზიანის პოლკის მეორე ესკადრილიის საშტატო შემადგენლობა გაიგზავნა, ახალგაზრდა და ნაკლებად გამოცდილი ლეიტენანტების ჩათვლით.

მართალია, ავღანელ მოჯაჰედებს ავიაციის მსგავსი არაფერი ჰყოლიათ, მაგრამ საბჭოთა გენერლები შიშობდნენ, რომ ამერიკული და პაკისტანური თვითმფრინავები შეეცდებოდნენ ავღანეთის ცაში შეჭრას და სწორედ ამი-



ვაზიანის აეროდრომზე 44 ასეთი გამანადგურებელი თვითმფრინავი იდგა




ასე გამოიყურება ვაზიანის აეროდრომი კოსმოსიდან

**ჩვენი დოსიე:** ვაზიანის აეროდრომზე პირველი საბჭოთა საავიაციო შენაერთი 1942 წლის აგვისტოში ჩამოყალიბდა. ეს იყო 982-ე გამანადგურებელთა საავიაციო პოლკი, რომელსაც თბილისის საჰაერო თავდაცვა ევალებოდა.

1951 წლამდე ვაზიანის პოლკის შეიარაღებაში Як-9 ტიპის ხრახნიანი გამანადგურებლები ირიცხებოდა. 1951-1955 წ.წ.-ებში ვაზიანში უკვე პირველი სერიული რეაქტული გამანადგურებლები МиГ-15 გამოჩნდნენ, რომლებსაც ვაზიანიდან 12 კმ-ში მდებარე თბილისის საავიაციო ქარხანაში აწყობდნენ. 1954 წლიდან МиГ-15-ები გაუმჯობესებულმა МиГ-17-ებმა ჩაანაცვლეს, რომლებიც თბილისის ცას 1962 წლამდე იცავდნენ. 60-იანი წლების დასაწყისისთვის МиГ-17-ები უკვე მოძველებულ გამანადგურებლებად მიიჩნეოდა და ისინი ვაზიანის 982-ე საავიაციო პოლკში იმ დროისათვის ახალი МиГ-21-ებით შეცვალეს.

МиГ-21-ებს ვაზიანის აეროდრომზე ბაზირებამ 1978 წლამდე მოუწიათ. 1973 წლიდან მიმდინარეობდა მათი ნაწილობრივი ჩანაცვლება მოდერნიზებული МиГ-21СМ-ებით, მაგრამ 1980-იანი წლების დასაწყისისთვის ისიც უკვე აღარ პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს. ამიტომაც 1978 წელს ვაზიანის აეროდრომზე იმ დროისთვის ჯერ კიდევ თანამედროვე МиГ-23МЛА ტიპის ზებგერითი გამანადგურებლები გაჩნდა, რომლებიც მალევე მისი მოდერნიზებული ვარიანტით МиГ-23МЛД-თ შეცვალეს.

ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ პარიზში მიღებული ხელშეკრულების ფარგლებში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელების მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში ეწერა, რომ 1990 წლის ნოემბრისთვის საქართველოში, ვაზიანის აეროდრომზე დისლოცირებული 982-ე გამანადგურებელთა საავიაციო პოლკის შემადგენლობაში 44 ცალი МиГ-23МЛД-ს ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავი ირიცხებოდა.

ეს თვითმფრინავები სამ საავიაციო ესკადრილიაში იყო გადანაწილებული და ისინი დაცულ, ბეტონირებულ ანგარებში ინახებოდა ვაზიანის აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ვაზიანის აეროდრომის ბეტონირებული ასაფრენ-დასაფრენი ზოლის სიგრძე 2,5 კმ-ს, ხოლო სიგანე კი 60 მ-ს შეადგენდა.

ვაზიანის 982-ე პოლკი ორგანიზაციულად ექვემდებარებოდა 283-ე საავიაციო დივიზიას, რომელშიც ასევე შედიოდა მიხა ცხაკაიაში (სენაკში) დისლოცირებული 176-ე გამანადგურებელთა საავიაციო პოლკი (შეიარაღებაში 35 МиГ-29 და 4 МиГ-23У) 841-ე გვარდიული გამანადგურებელი-ბომბდამშენების საავიაციო პოლკი მახარაძეში (მერია) (შეიარაღებაში გამანადგურებლები МиГ-23М), 529-ე გამანადგურებელთა საავიაციო პოლკი ბომბორაზე (გუდაუთა) (შეიარაღებაში Як-28П ტიპის გამანადგურებელ-გზაგადამჭრელები).

ვაზიანის აეროდრომზე გარდა 982-ე გამანადგურებელთა საავიაციო პოლკის МиГ-23МЛД-ებისა, განთავსებული იყო 313-ე ცალკეული სადაზვერვო საავიაციო პოლკის Су-17М3Р ტიპის სადაზვერვო გამანადგურებელი-ბომბდამშენებიც.

ოფიციალური ინფორმაციით, 982-ე გამანადგურებელთა საავიაციო პოლკმა ვაზიანის აეროდრომი ერთ დღეში, 1992 წლის 1-ელ იანვარს დატოვა და უკვე დამოუკიდებელი საქართველოდან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადაფრინდა.

ავღანეთში, ყანდაარის აეროდრომზე ვაზიანიდან ჩაფრენილი გამანადგურებლები



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩვენი დოსიე:** МиГ-23МЛД ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავის სიგრძე 16,7 მ-ს, ხოლო სიმაღლე კი 5 მ-ს შეადგენდა. ბოლომდე გაშლილი ფრთების სიგრძე 14 მ-მდე აღწევდა, დაკეცილით 7,8 მ-ს.

ცარიელი გამანადგურებელი 10 ტ-ს იწონიდა. მაქსიმალური ასაფრენი მასა კი 20 ტ-ს აჭარბებდა, აქედან 3,7ტ საწვავზე მოდიოდა.

ერთი ტურბორეაქტული ძრავა თვითმფრინავს მაქსიმალური 2500 კმ/სთ სიჩქარის (მაღალ სიმაღლეზე) განვითარების საშუალებას აძლევდა. კრეისერული სიჩქარე 990 კმ/სთ-ს შეადგენდა. საბრძოლო მოქმედების რადიუსი 1450 კმ-ს უტოლდებოდა, ფრენის პრაქტიკული „ჭერი“ კი 18,6 კმ-ს.

გამანადგურებელზე ეყენა ერთი 23 მმ კალიბრის ავტომატური საავიაციო ქვემეხი 200 ჭურვის მარაგით. საბრძოლო დატვირთვის სახით მას 2 ტონა საერთო მასის ბომბები და რაკეტები მიჰქონდა, რომლებიც 5 პილონზე იკიდებოდა.

ტომ მიავლინეს ვაზიანიდან გამანადგურებელი МиГ-23МЛД-ების მთელი ესკადრილია.

მოსკოვის შიშის მიუხედავად, ავღანეთის ცაში ამერიკული საბრძოლო თვითმფრინავები არ გამოჩენილან და ვაზიანელ პილოტებს საჰაერო ბრძოლების ნაცვლად ავღანური ყიშლაყების დაბომბვამ მოუწიათ.

იმ დროისათვის МиГ-23МЛД საბჭოთა საბრძოლო ავიაციის ყველაზე თანამედროვე გამანადგურებელ თვითმფრინავად მიიჩნეოდა და იგი ნაკლებად იყო განკუთვნილი მიწაზე ზუსტი საჰაერო დარტყმების მისაყენებლად. მიუხედავად ამისა, ვაზიანიდან მივლინებულები დღეში რამდენჯერმე ათობით 250 და 500 კგ-იანი ბომბებს ყრიდნენ და ასობით უმართავ რაკეტებს უშვებდნენ.

ერთი წლის შემდეგ, 1985 წლის ივნისს, ვაზიანის პოლკის მე-2 ესკადრილია პირველმა ჩაანაცვლა, რომელსაც ასევე ერთი წელი, 1986 წლის ივნისამდე მოუწია ავღანეთში ბრძოლამ.

ომი ომია და მიუხედავად იმისა, რომ ვაზიანელ МиГ-23МЛД-ებს არ მოუხდათ ავღანეთის ცაში პაკისტანურ F-16-ებთან საჰაერო ბრძოლებში ჩართვა, მათ საბრძოლო დანაკარგი მაინც განიცადეს.

1985 წლის 21 ივნისს ყანდაარიდან აფრენილი ვაზიანის 982-ე საავიაციო პოლკის МиГ-23МЛД სავარაუდოდ, მიწიდან გახსნილი საზენიტო ცეცხლის ზემოქმედების შედეგად ჩამოვარდა. პილოტი დაიღუპა.

ცოტა ხანში, 1985 წლის 8 აგვისტოს ვაზიანის МиГ-23МЛД ყანდაართან მთას შეეჯახა, პილოტი დაიღუპა. არსებობდა ეჭვი, რომ შეჯახებამდე ის მოჯაჰედებმა საზენიტო ცეცხლით დააზიანეს.

1985 წლის 18 ოქტომბერს ვაზიანელი პილოტი თავისი МиГ-23МЛД-თი ჰაერში მეორე ასეთივე გამანადგურებელს შეეჯახა. ამ უკანასკნელმა მოახერხა ყანდაარის აეროდრომზე დაბრუნება. ვაზიანელმა პილოტმა კი მოასწრო კატაპულტირება და გადარჩა.

საერთო ჯამში ავღანეთის ომის დროს საბჭოთა კავშირმა 11 ცალი სხვადასხვა მოდიფიკაციის МиГ-23 ტიპის გამანადგურებელი დაკარგა, მათ შორის სამი — ვაზიანიდან გაგზავნილი МиГ-23МЛД-ე.

***ირაკლი ალადაშვილი***



ელექტრონული ბიბლიოთეკა



# ბილი დიქსონის „საუკუნის გასროლა“

აშშ-ში სამოქალაქო ომის დაწყებამ კომანჩერიის მდგომარეობა დროებით გამოასწორა. შიდა დაპირისპირების გამო ტეხასის ფრონტირს ხელისუფლების ყურადღება მოაკლდა და შედეგად კომანჩების სამხედრო რეიდებიც გახშირდა.

ინდიელთა მარბიელმა თავდასხმებმა პიკს 1865 წლის განმავლობაში მიაღწია და სამოქალაქო ომის დასრულებისთანავე ხელისუფლებამ ტეხასს ყურადღება კვლავ მიაქცია — ფრონტირზე წარმოქმნილი პრობლემები სასწრაფო მოგვარებას საჭიროებდა.

1867 წელს ხელისუფლებასა და კომნანჩებს შორის გაფორმდა მედისინ ლოჯის სახელით ცნობილი სამშვიდობო ხელშეკრულება და კომანჩების ძირითადი ეთნოგრაფიული ჯგუფები დათანხმდნენ რეზერვაციაში გადასვლას.

მიუხედავად ამისა, ხელისუფლებისთვის სასურველმა მშვიდობამ ჯერ ვერ დაისადგურა. ტეხასში ჯერ კიდევ რჩებოდა დამოუკიდებლად მომთაბარე კომანჩების ერთი ჯგუფი — ქუაჰადი კომანჩები. მათი წინამძღოლი კომანჩების უკანასკნელი სამხედრო ლიდერი ქუანა პარკერი იყო.

ქუანა გამოირჩეოდა სიბრძნით, საოცარი სიმამაცით, საკუთარი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და თავდადებით. იყო ნიჭიერი სტრატეგი და შეუდრეკელი მეომარი.

პარკერის მეთაურობით კომანჩები რეიდებს ცენტრალურ და ჩრდილოეთ ტეხასში ახორციელებდნენ, მაგრამ ქუანას საკმარისი რესურსი არ ჰქონდა, წინ რომ აღდგომოდა კომანჩების სამომთაბარეო ტერიტორიებზე მოზღვავებულ თეთრ მოსახლეობას.

ინდიელთა სამოძრაო სივრცე ყოველდღიურად მცირდებოდა. სულ უფრო ჭირდა ბიზონების მოძებნა და ბანაკისთვის უსაფრთხო ადგილის შერჩევა.

კომანჩებმა გადამწყვეტი სამხედრო კამპანიისთვის საბოლოო ძალები მოიკრიბეს. 1874 წელს ტეხასის ინდიელთა ომების ისტორიაში უკანასკნელი „რედ რივერის“ სახელით ცნობილი ომი დაიწყო, რომლის პროვოცირება 1874 წლის 27 ივნისს მომხდარმა ედობი უოლსის ბრძოლამ მოახდინა.

ედობი უოლსის ბრძოლა მრავალმხრივაა მნიშვნელოვანი. განსაკუთრებით საინტერესოა ეს დაპირისპირება სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, რადგან მასში გამოჩნდა კომანჩების ტრადიციული, ყველაზე ძლიერი ტაქტიკის სუსტი და არაეფექტური მხარეები. ამავე ბრძოლაში „საუკუნის გასროლით“ სახელი გაითქვა ამერიკელმა ბილი დიქსონმა.

ტეხასის ჩრდილოეთში ბიზონებზე ამერიკელ მონადირეთა მცირე დასახლება ედობი უოლსი მდებარეობდა, სადაც ირგვლივმდებარე ტერიტორიებზე მყოფი მონადირეები იკრიბებოდნენ.

ედობი უოლსის დასახლება ორი მაღაზიის, რესტორნისა და სამჭედლო სახელოსნოსგან შედგებოდა. იქვე იყო ნახირის სადგომიც. შესაბამისად, საფორტიფიკაციო კუთხით ედობი უოლსი თითქმის დაუცველი იყო.

დღეს რთულია იმის თქმა, ზუსტად რამდენი ადამიანი იმყოფებოდა ბრძოლისას ედობი უოლსში. სავარაუდოდ, დასახლებაში ალბათ სულ 29 ადამიანი თუ იქნებოდა და მათგან მხოლოდ ნახევარი პროფესიონალი მონადირე იყო. მათ შორის იყო ბილი დიქსონი. ბიზონებზე სახელგანთქმული მონადირე და შემდგომში აშშ-ის არმიის სკაუტი-დიქსონი სროლისას ზუსტი დამიზნებით გამოირჩეოდა.

ამერიკელ მონადირეთა მიერ ბიზონთა უმოწყალო განადგურება სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსის გარეშე ტოვებდა ადგილობრივ ინდიელებს. არადა, დაბლობის ტომები 100%-ით ბიზონებზე დამოკიდებულნი იყვნენ.

პრობლემის მოგვარების მიზნით



ბიზონებზე მონადირე ამერიკელები

კომანჩების ბელადები შაიენების ტომის წინამძღოლს შეხვდნენ. საბჭოზე ბელადებმა ედობი უოლსის დასახლების განადგურება გადაწყვიტეს, რადგან ამერიკელ მონადირეთა საქმიანობა ტომების თვითმყოფად ცხოვრებას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა.

ქუაჰადი კომანჩების შამანმა ისა-ტაიმ იწინასწარმეტყველა, რომ ედობი უოლსზე თავდასხმისას მაგიური ძალების ზემოქმედებით ამერიკელთა ტყვიები ინდიელ მეომრებს ვერაფერს დააკლებდნენ, ხოლო კომანჩებს ტყვია-წამალი არ გამოელეოდათ.

ისა-ტაის მოწოდებით ოთხი დღე მიმდინარეობდა ბრძოლისთვის რიტუალური მზადება და შამანის ქადაგებამ მეომრების საბრძოლო სულისკვეთებაც აამაღლა.

კომანჩებსა და შაიენებს კაიოვებიც შეუერთდნენ და ინდიელთა რაზმში დაახლოებით 200-დან 300-მდე მეომარი გაერთიანდა. აღსანიშნავია, რომ მეომართა დიდი ნაწილი ძალიან ახალგაზრდა იყო და მათ საბრძოლო გამოცდილება არ ჰქონდათ.

ოთხი დღის მანძილზე ედობი უოლსში ამერიკელებს ხმები მოსდიოდათ, რომ მიმდებარე ტერიტორიებზე ინდიელები ბიზონებზე მონადირეებს თავს ესხმოდნენ და ისინიც ფხიზლად იყვნენ.

27 ივნისს ადრე დილით, მეომრები ედობი უოლსის ირგვლივ ბორცვებზე შეგროვდნენ და ამერიკელებისთვის შეუმჩნევლად დასახლება ალყაში მოაქციეს. ედობი უოლსი მოწყვეტილი იყო ფრონტირის ხაზის დასახლებებისგან და იქ მყოფნი დროულ დახმარებას ვერსაიდან მიიღებდნენ.

ინდიელებმა აღარ დააყოვნეს და შეტევა დააპირეს. ბელადები ვარაუდობდნენ, რომ დასახლებაში ყველას ეძინა. თუმცა, ზუსტად თავდასხმის წინ ჯიმ ჰანრაანის სალუნში სახურავის დამჭერი ბოძი ჩამოინგრა. ხმაური იმდენად დიდი იყო, რომ თითქმის ყველას გამოეღვიძა.

მოსახლენი სახურავის გარემონტებას შეუდგნენ და ხმაურზე ბილი დიქსონსაც გაეღვიძა. მან და ჰანრაანმა სანადიროდ წასვლა გადაწყვიტეს.

ჰანრაანმა ცხენების მოსაწესრიგებლად ბილი ოგი გაგზავნა, სწორედ მან შენიშნა კომანჩი მეომრები და სასწრაფოდ სალუნში დაბრუნდა.

ამასობაში მეომრებს თვალი თავად დიქსონმაც მოჰკრა და ჰაერში სასიგ-



ბრძოლა ედობი უოლსის კედლებთან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალო გასროლა მოახდინა. ინდიელებმა მოულოდნელობის ფაქტორი დაკარგეს.

თავდაპირველად, დიქსონს ეგონა, რომ კომანჩებს მხოლოდ ცხენების გატაცება სურდათ, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ თავდასხმა დასახლებაზე იგეგმებოდა.

დასახლებაში ჰანრაანის სალუნს 11 კაცი იცავდა, ხოლო დანარჩენ ორ შენობაში 12 და 7 ამერიკელი იყო გამაგრებული. მოსახლეებმა ფანჯრები და კარები ბარიკადებით ჩახერგეს.

ხილვადობა ძალზე ცუდი იყო, ჯერ კიდევ ბნელოდა და ინდიელებმა ამით ისარგებლეს — მხედრების რამდენიმე ნაკადი დასახლებაში შეიჭრა. მეომრებმა შენობები მოძრავ წრიულ ალყაში მოაქციეს და კარებებსა თუ ფანჯრებში სროლა დაიწყეს.

ხის დარაბები, ფანჯრებთან მოწყობილი ბარიკადები, გამომწვარი აგურის კედლები ინდიელთა ტყვიებსა თუ ისრებს აკავებდა და თავდასხმა შედეგს არ იძლეოდა.

საინტერესოა, რომ კომანჩების რაზმში იბრძოდა ერთი აფროამერიკელი მეომარიც. მას სახე საბრძოლოდ ჰქონდა მოხატული, ხოლო თავზე კომანჩების ტრადიციული ბუმბულებიანი თავსაბურავი ეხურა.

შეტევისას ინდიელებმა აშშ-ის არმიის ტაქტიკური ელემენტი გამოიყენეს. აფროამერიკელ მეომარს არმიელ კავალერისტთა საყვირი ჰქონდა და საყვირის ხმაზე ინდიელები შენობებს უტევდნენ, მორიგ სიგნალზე კი მეომრები უკან იხევდნენ, გადაჯგუფდებოდნენ და მორიგი იერიშისთვის კვლავ მესაყვირის ნიშანს ელოდებოდნენ. საფიქრებელია, რომ აფროამერიკელი აშშ-ის არმიის საკავალერიო პოლკის დეზერტირი იყო.

ბრძოლაში ქუანა თავდაუზოგავად მოქმედებდა. იგი არ შეუშინდა ამერიკელთა ცეცხლს და დაჭრილი თანატომელის გადასარჩენად ცხენით გაიჭრა ერთ-ერთი შენობის კარებისკენ. ბელადი უნაგირიდან გადაიხარა, მიწაზე გადმოვარდნილი მხედარი თავის ცხენზე გადააწვინა და სამშვიდობოს უვნებლად გააღწია.

ბრძოლის დროს ბელადი რამდენიმე მეომართან ერთად სახურავზეც აძვრა. ინდიელები შეეცადნენ სახურავში ხვრელები გაეკეთებინათ და ზემოდან ესროლათ შენობაში მყოფთათვის.

ამერიკელ მონადირეთა ზუსტმა და აქტიურმა საპასუხო ცეცხლმა ინდიელებს შენობებში შეჭრის საშუალება არ მისცა, გაჭენებულ ცხენებზე მჯდომი წრიულად მოძრავი მხედრების მიზანში ამოღება კი საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

მაგრამ მონადირეებს თვალი უჭრიდათ და ამასთან ბიზონებზე სანადირო 50-კალიბრიან შაშხანებზე ოპტიკური დამიზნების საშუალებები ჰქონდათ დამაგრებული.

შაშხანების გარდა ამერიკელებს ხელთ ჰქონდათ უფრო სწრაფი და ეფექტური Colt-ის 1873 წლის 45-კალიბრიანი და Smith and Wesson-ის 44-კალიბრიანი რევოლვერები.



ბილი დიქსონი (1850-1913) ბიზონებზე ერთ-ერთ საუკეთესო მონადირედ ითვლებოდა



1874 წლის მოდელის Sharp-ის შაშხანა

მონადირეების აქტიურმა ცეცხლმა თავდამსხმელები დააფრთხო. ინდიელებმა უკან კი დაიხიეს, მაგრამ ორი დღე ალყა არ მოუხსნიათ.

წარუმატებელი შეტევის შედეგად მეომრებმა საბრძოლო ენთუზიაზმი დაკარგეს და ერთგვარი დემორალიზაცია განიცადეს. შამანის ისა-ტაის სიტყვებიც არ გამართლდა.

მესამე დღეს ბილი დიქსონმა თავისი ისტორიული გასროლა 1874 წლის მოდელის 50-კალიბრიანი Sharp-ის შაშხანით 1538 იარდის (1,40634 კმ) მანძილზე შეასრულა და ბორცვზე მყოფ კაიოვას ტომის ინდიელი მხედარი ცხენიდან გადმოაგდო.

დიქსონის ამ გასროლის შესახებ დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა. გავრცელებული მოსაზრებით, მანძილი მართლაც 1538 იარდი იყო, თუმცა მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ რეალურად გასროლის დისტანცია 1208 იარდს (0,940003 კმ) შეადგენდა.

თავად დიქსონს არასდროს უთქვამს, რომ ინდიელს 1538 იარდზე მოარტყა. საფიქრებელია, რომ გასროლის შესახებ მან თავის მეუღლეს — ოლივ დიქსონს უამბო.

ქმრის გარდაცვალების შემდეგ 1914 წელს ოლივ დიქსონმა გამოსცა წიგნი „ბილი დიქსონის თავგადასავლები" და ფენომენალური გასროლისადმი მიძღვნილ თავში აღნიშნული იყო, რომ ბილიმ 1200 იარდზე (1,09728 კმ) გაისროლა.

წიგნის მეორე გამოცემაში კი 1924 წელს ეს მონაცემი რატომღაც შეიცვალა და 1538 იარდი შეადგინა.

გასროლის მანძილთან ერთად არსებობს განსხვავებული მოსაზრებები დიქსონის იარაღის კალიბრის სიდიდესთან დაკავშირებითაც.

ბრძოლაში ქუანა დაიჭრა. საბოლოოდ, ბელადის გადაწყვეტილებით ინდიელებმა ალყა მოხსნეს და ბრძოლის ველი დატოვეს.

თავდასხმის შედეგად ამერიკელებს 3 ადამიანი დაეღუპათ, ინდიელთა მხრიდან კი სავარაუდოდ 7 შაიენი და 6 კომანჩი იყო მოკლული.

მართალია, მონადირეებმა თავდასხმა წარმატებით მოიგერიეს, მაგრამ აშკარა გახდა, რომ კომანჩების სამომთაბარეო ტერიტორიების სიღრმეში დასახლება სახიფათო იყო.

ედობი უოლსი მალევე გაუქმდა, ხოლო აგვისტოში ინდიელებმა მიტოვებული შენობები დაანგრიეს.

ედობი უოლსის ბრძოლას მოჰყვა „რედ რივერის" ომის (1874-75) დაწყება. ომის დროს ტეხასში ჯაჭვისებური რეაქციით ერთმანეთს გადაება რამდენიმე მნიშვნელოვანი ბრძოლა ფედერალებსა და სამხრეთ დაბლობის ინდიელებს შორის.

არმია წარმატებით მოქმედებდა და ინდიელები საბოლოოდ დამარცხდნენ. „რედ რივერის" ომით ტეხასში ინდიელთა ომების ეპოქა დასრულდა.

**მიხეილ ბარნოვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლევან სეფისკვერაძე

# სიმონა პაპას თავგადასავალი

სიმონას რუსების არ ეშინია. რომც ეშინოდეს, მაინც არ იტყვის, ისეთი ჯიუტი და გულდიდი კაცია. აგერ უკვე მეოთხე წელია, მისი ბაღის ბოლოში რუსების საგუშაგოა, სიმონა კი მაინც ჯიუტად მიდის, ბაღსაც უვლის და ვენახსაც. ევროკავშირის ლურჯბერეტიანები ათჯერ მაინც მიადგნენ სიმონას და როგორ არ სთხოვეს, არ გინდა, პაპავ, შეეშვი იმ ბაღს, მაგ რუსებმა რამე ცუდი არ გიქნანო, მაგრამ სიმონა ის კაცი არაა, ასეთი დარიგებები შეისმინოს. გაიდებს ხოლმე მხარზე თოხსა თუ ბარს და მიუყვება ბაღისაკენ მიმავალ ერთთავად ტალახიან ბილიკს.

რამდენჯერმე, როდესაც სიმონა მუშაობაში იყო გართული, რუსებიც ესტუმრნენ. ერთხელ სთხოვეს, ხბო მოგვიყვანე და ფულს მოგცემთო. მეორედ არაფერი სთხოვეს, თევზის კონსერვები შეაძლიეს აქეთ, მაგრამ სიმონა თავს იკატუნებს, ვითომ რუსული არ ესმის და არც კონსერვებს მოჰკიდა ხელი. ამას წინათ, აღდგომა დღეს, რუსის ოფიცერიც კი მიადგა და ჰკითხა: „აპავ, შენ რად არ გადიხარ საფლავზეო“. სიმონამ, იმ დროს მოგროვებულ ხმელ ბალახებს ცეცხლს უკიდებდა და მაშინღა ჩაილაპარაკა ჩუმად და ბოღმიანად: „ჩვენს მკვდრებთან რაღა გესაქმებათ, თქვე კეთილმძაღლებოო“ და მეტი არაფერი უთქვამს.

სიმონამაც რა ქნას, კაცო, ეგეთია და რა ქნას... ცოლი 10 წლის წინ მოუკვდა, ერთი შვილი ჰყავს და ისიც სადღაც ავსტრიაში ეზიდება ბოსტნეულით სავსე ურიკებს. ერთი ბაღის მოვლაა მაგისი გართობა და ამ რუსების შიშით იმასაც თუ თავი მიანება, ხომ შეჭამს დარდი?! მერე ამ ხალხის ამბავი ხომ იცით, იტყვიან, აგე, სიმონამაც კი მიატოვა თავისი მამულიო და ჯერ ისედაც ყველა გაქცევაზეა და მერე, ალბათ, ყველა გაიკრიფება სოფლიდან. ახალგაზრდებმა კი ისედაც კარგა ხანია, დატოვეს სოფელი. ყველა იმას ამბობს, აქ ცხოვრება ჭირს, ქალაქში რამეს მაინც ვიშოვით და იმიტომ მივდივართო, მაგრამ სიმონამ კარგადაც იცის, რატომაც მიდიან. ახალგაზრდების გული სხვანაირია. იმათ უფრო უჭირთ ომის შემდეგ გაპარტახებული სოფლის და სოფლის ბოლოს მდგარი რუსი ჯარისკაცების ყურება.

სიმინდ-ლობიო, ცოტა მწვანილი, ბოსტნეული, ვაშლი, სახლეჩი ატამი, და ცოტა მსხალი – სულ ესაა სიმონას ბაღის გამორჩენაცა და მოსავალიც. მაგრამ მხოლოდ ამაში ხომ არაა საქმე?

— აგე, მამუკაანთ თუ მიატოვეს აქაურობა, რა ხეირი? ცხოვრობენ სადღაც ქოხში და წვალობენ. ან ბექანას შვილიშვილებმა რა ნახეს გორში? ისინიც წვალობენ და არაფერი გამოსდით. ჩემდა თავად, აქედან წამსვლელისაცა! – ფიქრობს სიმონა პაპა, მუხლჩახრილი მარგლავს ბოსტანს და თან ცალი თვალი რუსებისაკენ უჭირავს, რომლებიც იმ დღეს რატომღაც ძალიან გაბრაზებული და აფორიაქებული ჩანან. აქა-იქ ყვირილის ხმაც ისმის და ერთმა გაისროლა კიდეც. სიმონა რუსის ჯარში ნამყოფი კაცია და იმათი ამბავი ბევრზე კარგად იცის, მაგრამ ხომ გითხარით, ჯიბრიანია და იქამდე არ წამოდგა, სანამ უკანალში ჭიტლაყი არ იგემა. აიხედა და ხედავს, თავზე ხუთი რუსი ადგას. სახეებზეც ემჩნევათ ძალიან არიან გაბრაზებული, მაგრამ სიმონას რა რო? ჭიტლაყის ამომკვრელი ქეჩოში წასწვდა სიმონას, წამოაგდო და მისდა გასაკვირად, თითქმის უაქცენტო ქართულით ჰკითხა: „აბა, სად მოკალი ის სალდათი, ჩათლახო შენა?!“. „რა სალდათი, შვილო?“ – ჰკითხა დაბნეულმა სიმონამ. „არ იცი არა? ახლა რო წაგათრევ ცხინვალში, იქ ნახავდე, ვინც მოკალი“, – ცოტა ოსური კილოც გამოურია მომხდურმა. „რა გინდათ, კაცო, ის მაინც მითხარით?“ – ესა თქვა სიმონამ და ისე სწრაფად გააქანეს ვენახის ბოლოს მდგარი „ვილისისაკენ“, ვერც კი მიხვდა, სად იყო და სად მიჰყავდათ.

მიჰყავთ სიმონა მანქანით, მიჯაყჯაყებს ტანკებისაგან გადათხრილ გზაზე, აცვია ძველი „დესანტნი“ ბუშლატა, რეზინის ჩექმები და ხელები ჯერ ისევ მიწიანი აქვს. მიდის და ვერა ხვდება რას ერჩიან ეს კეთილმძაღლები. გზაში ისევ იმ ქართულად მოლაპარაკე ოსმა უთხრა, რომ სანამ სიმონა ბაღის მარგვლაში იყო გართული, მისი ბაღის ბოლოში მკვდარი რუსი ჯარისკაცის გვამი ეპოვათ. სისხამი დილა იყო და ამ დილით სამუშაოდ გასული სიმონას ნახვაც საეჭვოდ მიიჩნიეს. გასწი-გამოსწი, სიმონაც ხომ ქართველია... მერე რა, მოხუცი რომაა. რომ მოინდომოს, ერთ ჯარისკაცს კი გააფრთხობინებს სულს. მოკლედ, სიმონა მიხვდა, რომ რუსები მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარისკაცის მკვლელობას აბრალებენ და დასცხა. ისე დასცხა, რომ ბუშლატაც კი გაიხადა, მაგრამ მაინც ვერაფერი მოუხერხა ხვითქსა და ოფლს.

ოცი წუთიც არ მოუნდათ გზაში. ჩამოიყვანეს მანქანიდან და სიმონამ იცნო თავისი ძველი სამსახური. სიმონას ჯეელობისას აქ ცხინვალის ერთადერთი აგურის ქარხანა იყო, სადაც სიმონა დარაჯად მუშაობდა და 80 მანეთსაც უხდიდნენ. ბედის ირონიით, სწორედ იმ სარდაფში ჩააგდეს, რომელსაც სიმონა მთელი ხუთი წელი ყარაულობდა. ჩააგდეს, კარი მაგრად გამოუკეტეს და დაუბარეს: ხვალ მაიორი მოვა და მანამდე თუ ვერ გაიხსენე პარამიროვი (დაღუპული ჯარისკაცი პარამიროვი ყოფილა გვარად), მერე შენს თავს დააბრალეო. სიმონა ჭკვიანი კაცია და იცის, რუსებსაც რომ არ სჯერათ მისი დამნაშავეობა. მაგრამ ვიღაც ხომ უნდა დაიჭირონ? რუსის ჯარში მსახურობის დროს ხშირად უნახავს სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის დასჯილი უდანაშაულო ადამიანები. მაგათ ეგრე იციან. მთავარია, ვინმე დაისაჯოს და საქმეც მოგვარებულია! ასეთია მაგათი ბუნება!

დადის წელზე ბებრულად ხელებშემოწყობილი სიმონა პაპა და ათვალიერებს იქაურობას. სარდაფი თითქმის ისეთივე დახვდა, როგორიც ჯეელობიდან ახსოვდა. აგურების ნატეხების სუნიც კი ძველებურად იყო შემორჩენილი. ერთი ისაა, მიწიდან ოდნავ ამოზიდულ ფანჯრებზე ცხაურები დაუყენებიათ და როგორც ჩანს, საპატიმროდ ხმარობენ. წესიერად რომ არც გაჩხრიკეს, სიმონას ცოტა გულიც კი დასწყდა. ბებერი რომ ვარ, ვერ გავიქცევიო, მიხვდნენ და თავი არ შეიწუხესო. არც არაფერი აქვს ჯიბეში ვაზის შესაკრავი ძაფებისა და ერთი პატარა მოკაუჭებულცხვირიანი დანის მეტი. ამ დანით კაცს მოკლავს კი არა, მიწას ძლივს ამოჩიჩქნის კაცი, ისეთი ბლაგვი და მოუხერხებელი რამაა. მაგრამ სიმონას მაინც გაუხარდა „ცივი იარაღის“ ჯიბეში პოვნა. ამოიღო ეს ჟანგიანი დანა და დაჰყურებს. თან ფიქრობს, აქ რამე რომ დაემართოს, ვინ რას გაიგებს. ალბათ, მის საფლავსაც კი ვერავინ იპოვის. ასე დაჰყურებს დანას და ფიქრობს და ფიქრობს... ქართლელ კაცს თუ კიდევ საფიქრალი არა აქვს, აბა, არავის ჰქონია მაშინ...

და უცებ, როდესაც დანის უკან ჯიბეში ჩადებას აპირებდა სიმონას ისეთი რამ გაახსენდა, ეს ბებერი კაცი ჯეელი ბიჭივით სიხარულით შეხტა და შემოტრიალდა. გაახსენდა, რომ მის ახალგაზრდობაში ამ სარდაფში კონვეიერს უზარმაზარი მილის საშუალებით აგურები შემოჰქონდა. დააწყობდნენ კონვეიერზე აგურებს და ესკალატორის პრინციპით მომუშავე დანადგარი აგურებს საწყობიდან 300 მეტრის მოშორებით მდებარე საამქროში ეზიდებოდა. ასე, ენერგიის დაზოგვით, კეთდებოდა დიდი საქმე. სიმონას ის ადგილიც კარგად ახსოვდა, სადაც ადრე კონვეიერის მილი იყო. სარდაფში სიბნელის მიუხედავად, სულ ხელისცეცებით მიაგნო მილს, რომელიც აგურებით ამოქოლილი დაუხვდა, მაგრამ ხომ უკვე გითხარით, რომ სიმონა პაპა ქართლელი იყო და შესაბამისად, გვარიანად ჯიუტიც. ხელისცეცებითვე ამოიღო თავისი ჟანგიანი დანა და ისე მოხერხებულად გამოჩიჩქნა აგურებს შორის დანესტილი ცემენტის მასა, რომ სულ რაღაც ათიოდე წუთში კონვეიერის მილის შესასვლელი გაწმენდილი იყო.

ახლა იმას ფიქრობს, შეძვრეს თუ არა მილში... რომ შეძვრეს, ხომ არ იცის, სად გამოვა? იქნებ უარესი დაემართოს და მილის ბოლოს რუსები დაუხვდნენ. აი, მაშინ მთლად სიკვდილი თუ არა, კარგა მაგარი ცემა გარანტირებული აქვს. ფიქრობს, მაგრამ გული მაინც მილისაკენ მიუწევს. ბებერი კია, მაგრამ მასაც აქვს ნანახი ამერიკული ფილმები, სადაც ვინმე ვან დამი და რემბო მილებშიც დაძვრებიან და მარტოდმარტო უსწორდებიან რუსების ბატალიონებს. ამ ფილმების დიდად არ სჯერა, მაგრამ როდესაც შვილი შინ ჰყავდა, მასთან ერთად სიამოვნებით უყურებდა ასეთ ფილმებს და, რა თქმა უნდა, იმათკენ იყო, ვინც რუსებს მუსრს გაავლებდა. „ერთი ამის დედაცო“, – დაიძახა ბოლოს სიმონა პაპამ, ამოიხვნეშა და დურთა თავი ბნელსა და საშინლად მყრალ მილში, რომელიც ნესტისაგან ერთიანად გაწუწუხებულიყო.

მიხოხავს მილში და აღარ მთავრდება ეს ოხერი. თან თვალები და პირი ნადგომი ბინძური წყლით ევსება. მაგრამ ამას სიმონა არ დაგიდევთ. გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. რაც არის, ეგ არის! ადრე მილის ბოლოს სიცარიელე იყო, მაგრამ როდესაც კედელს მიარტყა თავი, სიმონა პაპა მიხვდა, რომ მილის მეორე ბოლოც ამოეშენებინათ. იმ სივიწროვეში რის ვაი-ვაგლახით, ხელახლა ამოიღო ჯიბიდან თავისი დანა და ახლა იქ დაიწყო ჩიჩქნა. ეს მხარე უფრო ნაკლებად დანესტილი და ძნელად საჩიჩქნი გამოდგა. ბოლოს, როდესაც მიხვდა, რომ სუნთქვა უჭირდა და მილში დარჩენილი ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, სიმონა პაპამ მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ნახევრად გამოფუღრულ აგურებს ძლიერი გლეხური ხელებით მიაწვა. მიაწვა და კედელი ისეთი ბრახაბრუხით ჩაინგრა, სიმონამ იფიქრა, აი, ახლა კი მართლა მოვლენ რუსები და ოთხში ამომიღებენო.

ჯერ გაჩუმდა და საშინელი ხმაჯაროს მოლოდინში თვალები დახუჭა. მერე, როცა მიხვდა, რომ ჩქამიც არ ისმოდა, თვალები გაახილა, მილიდან ძირს ჩამობობღდა და ირგვლივ მიმოიხედა. ჯერ ისევ დღე იყო. აგურის საამქრო, სადაც ადრე კონვეიერის მილი გამოდიოდა, აგურ-აგურ დაეშალათ და, ალბათ, გაეყიდათ. ახლა მის ადგილზე ჭაობის ბალახები ამოსულიყო და ნანგრევებზე ფეხის მოუტეხად სიარულს დიდი ვაჟკაცობა სჭირდებოდა. მაგრამ, როცა კაცმა ასეთი გასაჭირი გამოიარა და ამხელა შიში ჭამა, აგურებზე სიარულს შეუშინდებოდა?!

გადაფორთხდა ნანგრევებზე და ჭაობის ეკლიანმა ბალახებმაც თავ-პირი სულ დაუკაწრა. მაგრამ ახლა თითქმის სამშვიდობოს იყო და მდინარის გასწვრივ გაყოლებულ ბილიკზე ისეთი სისწრაფით გაიქცა, ასე სწრაფად სირბილი, ალბათ, ახალგაზრდობაშიც კი გაუჭირდებოდა. მირბის და მირბის... ფეხქვეშ აჩხაკუნებული კენჭების ხმაზეც კი იმის შიში აქვს, სადმე რუსი არ იყოს და არ ესროლოს და ისე მიაღწია ქართულ საგუშაგომდე, რუსის ნასახიც კი არსად უნახავს.

ქართველი ჯარისკაცები სიმონა პაპას კარგად იცნობდნენ და ძალიან გაუკვირდათ, როცა ცხინვალის მხრიდან მორბენალი და ერთიანად გაზუნზლული დაინახეს. სიმონა პაპა ჯერ იქვე მდგარ ჯარისკაცურ კარავში შევარდა, საწოლზე ჩამოჯდა და დაღლილი კაცის ქასქასს მოჰყვა. ჯარისკაცებიც უკან შეჰყვნენ და გაოგნებულები მიაჩერდნენ. ბოლოს ისევ მეგრელმა ბიჭმა (რატომღაც „კონგოს“ რომ ეძახდნენ მეგობრები) ჰკითხა: „ბოლოს და ბოლოს, გვითხარი, ბაბუ, რა დაგემართა, ჩვენც ხალხი ვართ“. სიმონა პაპაც ადგა და რაც იმ დღეს გადახდა, სულ წვრილად ჩამოარაკრაკა. როდესაც ამბის მოყოლას მორჩა, პაპამ ირგვლივ მიმოიხედა და გარშემო ჩამწკრივებული ქართველი ჯარისკაცების თვალებში უნდობლობა ამოიკითხა. „რაო, არა გჯერათ ხო, შვილო?“ – დაიჩურჩულა ნაწყენმა სიმონამ. „ეეეჰჰჰ...... დაგვიბერდი, პაპავ, დაგვიბერდი“, – ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა, ჩაიქნია ხელი და კარვიდან გავიდა. სხვა ბიჭებმაც მას მიჰბაძეს. დარჩა სიმონა პაპა კარავში მარტო და ატირდა. ძნელია იმის მიხვედრა, თავგადახდენილი ამბიდან ასე გადარჩენის სიხარული ატირებდა თუ ის, რომ ბიჭებმა მისი მონაყოლი არ დაიჯერეს. იჯდა და ტიროდა სიმონა. ქართლელი, ჯიუტი და უხიაგი პაპა და მუხლებზე ჩამოწყობილი ძარღვიანი, გამხმარი ხელები უცახცახებდა.

ს 65/20
ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხელით სასროლი მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანა

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სნაიპერებში (მათ შორის ქართული სპეცდანიშნულების რაზმებში) პოპულარობით სარგებლობს 12,7 მმ კალიბრის სნაიპერული შაშხანა M82 Barrett-ი, რომელიც 1500-1800 მ მანძილიდან მანქანის დაზიანების საშუალებას იძლევა.

ამ მართლაც მნიშვნელოვან შესაძლებლობასთან ერთად „ბარეტს“ არანაკლებ სერიოზული ნაკლიც აქვს — იგი ვაზნების გარეშე 12,9 კგ-ს იწონის, სიგრძეში 1448 მმ-ს აღწევს და მისი გადატანა არცთუ ისე მოსახერხებელია.

2012 წელს რონი ბარეტის ამჟამინდელმა თანამოქალაქემ, ავსტრალიელი წარმოშობის ამერიკელმა კონსტრუქტორმა ჩარლზ სენტ ჯორჯმა ახალი მსხვილკალიბრიანი და ამასთან, კომპაქტური სნაიპერული შაშხანა შექმნა, რომელიც, როგორც ჩანს, ღირსეულ კონკურენციას გაუწევს „ბარეტებს“.

ჯორჯის 12,7 მმ კალიბრის სნაიპერული შაშხანა, რომელსაც თავიდან Leader 50-ს უწოდებდნენ, ხოლო ახლა MD50 ჰქვია (სახელი იმიტომ გადაერქვა, რომ ამ შაშხანის სერიული წარმოება ამერიკულმა კომპანია Micor Defense-მ წამოიწყო), იმითაა გამორჩეული, რომ მისი სროლა ხელითაც შეიძლება.

**ჩვენი დოსიე:** თვითდამტენი მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანა MD50-ი 7,7 კგ-ს იწონის, მისი სიგრძე 990 მმ-ია (ლულის სიგრძე 609 მმ) და მჭიდში 12,7X99 მმ კალიბრის 10 ვაზნა ჩადის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს, ალბათ, ბევრისთვის წარმოუდგენელია, როგორ უნდა ისროლო მსხვილკალიბრიანი შაშხანა, როდესაც ის არ არის დაფიქსირებული მიწაზე და გასროლისას დიდი უკუცემის ძალა აქვს?

უკუცემის ძალის მნიშვნელოვნად შესამცირებლად და შაშხანის მასის დასაკლებად კონსტრუქტორებმა რამდენიმე ხერხს მიმართეს.

მათ იარაღის დაპროექტებისას „ბულპაპის“ სქემა აირჩიეს, როდესაც მჭიდი სასხლეტის უკანაა განთავსებული, რითაც შაშხანის საერთო სიგრძე შეამცირეს. მაგალითად, 1448 მმ საერთო სიგრძის „ბარეტს“ 737 მმ სიგრძის ლულა აქვს, მაშინ როდესაც MD50-ის ლულის სიგრძე 609 მმ-ს აღწევს, ხოლო საერთო სიგრძე კი მხოლოდ 990 მმ-ს.



ცნობილი მსხვილკალიბრიანი „ბარეტი“ ზომითაც და წონითაც მნიშვნელოვნად აღემატება MD50-ს

მასის შემცირების მიზნით ლულის კოლოფი ალუმინის შენადნობისგან დამზადდა და შაშხანის მასამ მხოლოდ 7,7 კგ შეადგინა, ანუ „ბარეტზე“ თითქმის 5 კგ-ით ნაკლები.

გასროლისას წარმოქმნილი უკუცემის ძალის შესამცირებლად ჯორჯმა კომპლექსური მეთოდი გამოიყენა. კონსტრუქციაში გამოყენებულია მოკლე სვლის აირდგუში, ხოლო საკეტის ჯგუფი (რომელიც საკეტის ჩარჩოსა და მობრუნებადი საკეტისგან შედგება) შედარებით კომპაქტური, ანალოგებზე ორჯერ მოკლეა. ეფექტური სალულე მუხრუჭის დაყენებამაც გარკვეულწილად შეამცირა უკუცემის ძალა, თუმცა გასროლის ხმა მაინც ძლიერი უნდა დარჩენილიყო.

იარაღის კორპუსის ზედა მხარეს მთელ სიგრძეზე მიჰყვება Picatinny rail ტიპის მიმმართველი, რომელზეც ყველა თანამედროვე სამიზნე მოწყობილობების დამაგრება შეიძლება. ასეთივე მიმმართველი დაყენებულია სალულეს ქვემოთაც, რომელზეც წინა ხელის მოსაკიდი მონტაჟდება, რაც მსროლელს საშუალებას აძლევს ეს მსხვილკალიბრიანი და შორსმსროლელი სნაიპერული შაშხანა ზუსტად ფეხზე მდგომმაც გაისროლოს. თავად ხელის მოსაკიდი უნივერსალური ტიპისაა, მას ორი გამოსაშლელი საყრდენი აქვს, რაც მსროლელს საშუალებას აძლევს იარაღი მიწაზე დააფიქსიროს და ისე ისროლოს.

***ირაკლი ალადაშვილი***



მსხვილკალიბრიანი, მაგრამ კომპაქტური MD50-იდან ზუსტი გასროლა ასეც შეიძლება



ISSN 1987 - 5061
9 771987 506007
F1557
2012
ეროვნული ბიბლიოთეკა